

ქართველი ერი

ქართული ეროვნული კომუნისტური ორბანო

№ 3/4

აგვისტო-სექტემბერი 1943

ბერლინი

შინაარსი:

- 1. საბედისწერო ჟამი
- 2. ომის რეალობანი — დოქტორ გოებელსის წერილი „დას რაის“-ში
- 3. შალვა ამირეჯიბი † პროფ. ზ. ავალიშვილი
- 4. აგვისტოს აჯანყება კ. ბოგაშელი სკოლის სკოლა
- 5. საქართველოს ცხოვრება და ბრძოლანი წარსულში პროფ. მ. წერეთელი
- 7. სტალინის საიდუმლო ბრძანება ვ. ტ. კატიო ქოტონიძე
- 6. ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრებითვან ძველი ლეგიონერი ე.ო. ხუციშვილი
- 8. გერა (ლექსი) გრიგოლ რობაქიძე
- 9. სამხედრო მასალათა უდიდესი ჭადილი
- 10. ქართველ ტყვეთათვის რ. გაბაშვილი
- 11. ახალი ევროპის საფუძვლები დ. თბილისელი ჯაიი სკოლის სკოლა
- 12. „ახალგაზრდებს გზა ხსნილი აქვთ ყველგან ჩვენში“ ნ. ზანდუკელი ნინო ქიქოძე
- 13. ხმა დასახვრეტთა საკანითვან გ. ხერგაისძე გივი სკოლის სკოლა
- 14. ქართველი (ლექსი) ვ. ველიძე ე.ო. ვილიძე
- 15. ჯემალ კაკაბაძის ხსოვნას გ. გოგინიძე გივი (გოგ) გოგინიძე
- 16. მძიმე მსხვერპლი საბჭოთა ჯარებისა

დამატება: ივანე ჯავახიშვილი... სიტყვა წარმოთქმული პროფ. მიხ. წერეთლის მიერ.

ჩ-941





საბედისწერო ქამი

მიზანნი მეომარ მხარეთა უკვე სრულიად გარკვეულნი არიან: ამერიკისა და ინგლისის მიზანია ევროპის დაკნინება ისე, რომ იგი ვერაოდეს წარმოადგენდეს დიდ ძალას პოლიტიკურს, სამეურნეოს, კულტურულს და სამხედროს. ამიტომ აქვს მათ გადაწყვეტილი, ბრძოლის ველზედ ჯერ დაუმარცხებელი ევროპა ყუმბარებითა და ცეცხლით ამოსწყვიტონ და გადაწვან, ხოლო თუ შესძლეს მისი დამარცხება, — თვის მოკავშირე ბოლშევიკებს გადასცენ სრულიად გასანადგურებლად. ბოლშევიზმთან კავშირი ამერიკასა და ინგლისს არა მარტო სამხედრო მიზნით აქვს დადებული, არამედ ამ სატანური პოლიტიკური მიზნითაც. და მწარედ სცდება ვისაც ჰგონია, რომ ამერიკა და ინგლისი ევროპაში შემოჭრილ ბოლშევიზმს შეაჩერებენ: იგინი მას არ შეაჩერებენ, რადგანაც მათი მიზანი სწორედ მის მიერ მოსპობაა ევროპისა, და ვერც შეაჩერებენ, რათგანაც ბოლშევიზმის შემოჭრა ევროპაში ნიშნავს მილიონობით ქვე-ადამიანთა აღჭურვას ყოველი საჭურვლით, რომელთაც ომით დასუსტებული ამერიკა და ინგლისი ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ. გარდა ამისა ამერიკაში, ინგლისში და რუსეთში გაბატონებული ურია, თვით მაწარმოებელი ამ ომისა, ნებას არავის მისცემს, რომ ევროპა ხელითგან გამოგლიჯოს ბოლშევიზმს, ვინაითგან ევროპის თვით გადარჩენა ბოლშევიზმისაგან — არა თუ გამარჯვება — ურიათა მზის ჩახვენებას მოასწავებს.

ბოლშევიზმი მილიონობით მსხვერპლის გაღებისათვის ამ ომში სამაგიეროს მოითხოვს ამერიკისაგან და ინგლისისაგან: მთელ აღმოსავლეთ ევროპას, ოსმალეთის სრუტეებს, შორეული აღმოსავლეთის ნავთ-სადგურთ, და ამასთანავე გავლენას მთელ ევროპაში, წინა აზიაში და შორეულ აღმოსავლეთში. ხოლო მისი უმთავრესი მიზანი მსოფლიო ბოლშევიკური რევოლუციისა მას უკუ არ უგდია, არამედ ეს მიზანია რომ ცხოველ ჰყოფს ბოლშევიზმს და მისი მიხწევით უნდა მას მთელი მსოფლიოს დაპყრობა და მასზედ საუკუნო ბატონობა. და ბოლშევიზმს აქ დიდი უპირატესობა აქვს თვის მოკავშირეთა წინაშე: თუ ამერიკასა და ინგლისს გარკვეულად აქვთ შემოხაზულნი საზღვარნი მათი ბატონობის

სფეროსა გამარჯვების შემდეგ, ხოლო ამ სფეროს შინაგანი ცხოვრების ძირითად გარდაქმნაზედ არ აზრობენ, აღიარებენ რა მათ სოციალურ და პოლიტიკურ სისტემას ღმერთის მიერ საუკუნოდ მოვლინებულად, რუსეთი, სახელმწიფო, თვისი მომავალი ბატონობის სფეროს საზღვრებს მსგავსადვე შემოხაზავს, ხოლო მისს ბოლშევიზმს არავითარი საზღვრები არა სწამს: იგი მსოფლიო სოციალური, ბოლშევიკური რევოლუციით მიისწრაფის წაშლას ეს საზღვრები და დაეპატრონოს მტერთა და მოკავშირეთა სამფლობელოებს, ეგულება რა ყველგან სხვა მოკავშირე — ქვე-ადამიანთა ბრბონი მთელი კაცობრიობის შემადგენელ საზოგადოებათა წიაღში.

აი ამ ორი მხრით მომდგარ საშინელ მტერთა წინააღმდეგ, ამ უდიდეს საფრთხეთა თავითგან ასაცილებლად იბრძვიან დღეს გერმანია და საუკეთესო, შეგნებული ნაწილები ევროპის ერთა. მათი გამარჯვება მოასწავებს ევროპის ხსნას ამერიკა-ინგლისის მიერ დამონებისაგან და კიდე უარესი უბედურებისაგან — ბოლშევიზმისაგან. მხოლოდ მათი გამარჯვება შეუქმნის ევროპის ერთა და სხვა ერთაც შესაძლებლობას ეროვნული და პოლიტიკური არსებობისა, სოციალური განახლებისა და კულტურული აღორძინებისა, როგორც იაპონიის გამარჯვებამ განათავისუფლა შორეული აზიის ერები ამერიკა-ინგლისის მიერ ჩაგვრისაგან და ექსპლოატაციისაგან და შეუქმნა მათ ახალი და მტკიცე საფუძველი ეროვნული ცხოვრებისა.

დღეს მხოლოდ რწმენით ბოლშევიკს ან შეუგნებელს შეუძლია ამერიკა-ინგლისისა დარუსეთის მომხრეობა და მათთან ერთად ბრძოლა ევროპის წინააღმდეგ, ე. ი. ერთა მომავლის მოსასპობად. და ყოველი ქართველიც, რომელსაც შეგნებული აქვს დღევანდელნი საქმენი და ბოლშევიკი არ არის რწმენით, გერმანელთა და მათ მოკავშირე ევროპიელთა რიგებში უნდა ჩადგეს და იბრძოლოს თვისი ერის მომავლისათვის. ბოლშევიზმი რაც არის, მან იცის, და ისიც უნდა იცოდეს, რომ ბოლშევიზმის გამარჯვება საქართველოს სრულიად აღგვას მოასწავებს პირისაგან მიწისა.



ხოლო გერმანიის დამარცხება დამარცხებულ რუსეთსაც კვლავ გამარჯვებულად ჰყოფს, ვინაიდან ბოლშევიკს დასაკარგავი არაფერი აქვს, ქვეყნის შესაჭმელად კი იგი ყოველთვის არის მზად — დამარცხებულიც, — თუ მისი ამლაგმელი და გამსრესი ძალა აღარ არსებობს.

ბოლშევიზმის ეს ამლაგმელი და გამსრესი ძალა გერმანიაა და შეგნებული ევროპა, და ჩვენც მათთან ერთად უნდა ვიბრძოლოთ.

უმთავრესი მიზანი ჩვენი ამ საბედის-წერო ჟამს,

თვით განთავისუფლება უნდა იყოს ჩვენი ქვეყნისა ბოლშევიკური რუსეთისაგან და უმთავრესი საშუალება ამ მიზნის მისაღწევად ბრძოლა გერმანიასთან ერთად ყველგან, სადაც კი მისი მტერი დგას, ბოლშევიკია ეს მტერი თუ მისი მოკავშირე ვინაითგან ბედი ჩვენი ერისა დიდი ხნითგან არის გადაბმული ევროპის კონტინენტის, კერძოდ გერმანიის ბედთან, და საქართველო ან მასთან ერთად ბრძოლაში დაიღუპება, ან მასთან ერთად მიეგებება ბრწყინვალე მომავალს.

ომის რეალობანი

იმპერიის მინისტრის დოქტორ გოებელსის წერილი კვირეულ ჟურნალ „დას რაის“-ში.

ზემოდ-მოყვანილ სათაურით აქვეყნებს იმპერიის მინისტრი დოქტორ გოებელსი კვირეულ ჟურნალ „დას რაის“-ში წერილს არსებულ ვითარების შესახებ. ამ წერილიდან მოგვყავს ჩვენი მკითხველისათვის ზოგიერთი ადგილი:

„ცხადია, რომ ამ ჟამად მოწინააღმდეგეთა ბანაკში დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს, თუ როგორ აფასებს გერმანელი ერი თანამედროვე მოვლენების განვითარებას, რადგან სწორედ მორალი ომის მწარმოებელ ერებისა არის ამ ომში, უფრო მეტად ვიდრე ეს მის წინამორბედ ომებში იყო, გადამწყვეტი ფაქტორი. ინგლისისა და შეერთებულ შტატების გაზეთებს ყოველდღიურად მოჰყავთ გრძელი ცნობები გერმანიის შინაური მდგომარეობის შესახებ, რომლებშიდაც ერთმანეთს ეჯიბრებიან სპეკულაციები და ცრუ იმედები. მეტად ბრიყვი უნდა იყო ადამიანი, რომ ვერ მიხვდებოდა, რომ მტრის საჰაერო ტერორი მხოლოდ იმით არის გამოწვეული, რომ ჩვენი სამხედრო მორალი დაკნინდეს და ამ რიგად გერმანელი ერი თავის მტრების მოკავშირე გახდეს. როგორც შემადრწუნებელი რამ უნდა აღინიშნოს, თუ ზოგიერთი თანამემამულენი აქა-იქ, თვით არსებულ გარემოების მიხედვით, თუნდაც უმეტეს შემთხვევაში შეუზღებლად, მოწინააღმდეგის პროპაგანდას სამსახურს უწევენ. ისინი უდიდეს ზარალს აყენებენ ჩვენს საქმეს, სახელდობრ სწორედ იმით, რომ ისინი თავიანთი მოქმედებით ამხნევენ მტერს, რომ განაგრძოს თავისი ბორო-

ტი ტერორი ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ და, თუ შესაძლებელია, იგი კიდევ უფრო გააძლიეროს. ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ, რომ ამ შემთხვევაში ცალკეულ მოვლენებთან გვაქვს საქმე, მაგრამ სწორედ ეს ცალკეული მოვლენები ყოველადღებიან მტრის მიერ და საღმრთო მიზნად მათი შემდგომი ნაბიჯისა ჩვენი მოსახლეობის წინააღმდეგ. მაშასადამე, დღეს საუკეთესოდ მხოლოდ ის ემსახურება სამშობლოს, ვინც პირდაპირ და გაბედულად ასრულებს თავის მოვალეობას, ერთგულად და შეუცდომლად ატარებს ჩვენი დიდი საქმის ოქმენას და ვინც არაფრით და არავის მიერ თავის რწმენის საბოლოო გამარჯვებაში არ დაეჭვდება.

რაც შეეხება ჩვენს დიდ საქმეს, იგი დაფუძნებულია და აშენებულია მაგარ საძირკველზე. ჩვენ არ ვაწარმოებთ ომს ცარიელ სივრცეში, და ჩვენ ვიცავთ აგრეთვე ჩვენს ერს, რათა იგი ერთი ილიუზიიდან მეორეში არ გადავარდეს. ჩვენ ვსჭრებთ მდგომარეობას მეტად რეალისტურად და ფხიზლად თავისი სუსტი მხარეებით, მაგრამ აგრეთვე თავისი შანსებითაც.

გერმანული ხელმძღვანელობა იცნობს არა მართლ იმ შესაძლებლობებს, რომლებიც ჩვენ დღეს გვაქვს მოცემული, არამედ იმათაც, რომლებიც ახლო და შორეულ მომავალში მოგვეცემიან. რომ ყველაფერი იმის, რაც მზადებაშია და რეზერვშია დამზადებული, ღიად თქმა შეიძლებოდა, მაშინ ალბად ჭკვიანიც ჭკუაზე მოვიდოდა. მაგრამ ქვეყნის ინტერესი გვიკრძალავს ვილაპარაკოთ მომავალზე და თითქმის აწმყოს მნიშვნელოვან შემადგე-

ნელ ნაწილებზე. უამისოდაც მეტია ლაპარაკი ამის შესახებ და ეს საქმეს არ ემსახურება. მაგრამ სწორედ ასეთ მომენტებში, რომლებშიდაც მოვლენები დრამატიულად ვითარდებიან და ერთს მეორე სცვლის, საჭიროა მთელი ერი სუვერენულ იმედით ფურერს შესცქეროდეს, რომელსაც მან თავისი ბედი ჩააბარა.

თუ გერმანული ხელმძღვანელობა სდუმს, მას მუდამ აქვს საბუთი დუმილისა. მაგრამ არასოდეს ყოფილა ამ დუმილის მიზეზი შინაგანი სისუსტე. თვით მდგომარეობის შესახებ შეიძლებაოდა დღეს ბუნებრივად მეტის თქმა, ვიდრე ეს ადამიანს ჩვეულებრივ წარმოუდგენია. მაგრამ არა მარტო გერმანელი ერი, არამედ მტრის სამხედრო ხელმძღვანელობაც იტანჯება ცოდნის წყურვილით. მაშასადამე პრანჭობით არ აიხსნება ის გარემოება, თუ ამ მომენტში დამამწვიდებელი სიტყვა არ ითქმება. რომ ასეთი ვითარება ჭორის ფაბრიკანტებს გზას უხსნის, ეს არის საძწუნხარო ფაქტი, რაიც ეროვნულ ინტერესების მიხედვით უნდა მოთქვნილ იქნას. მაგრამ ესენიც შეიგნებენ დაბოლოს თავიანთი მოქმედების სიგლახეს აქ განმარტებულ გარემოებათა მიხედვით. ისინი არიან ლაჩრები და ბრიყვები ამავე ორს. თავიანთ საქმეს ისინი უკეთ ვერ გააკეთებდნენ, რომ მტრისაგან ამაში საფასურიც მიეღოთ. ყველამ დაიხსომოს მათი გახრწნილი ლაპარაკი დღეს, რათა მოცემულ მომენტში იმათ მათივე ნალაპარაკები მარჯვნივ და მარცხნივ გაეწნას ყურის ძირში.

ჯერჯერობით ისინი თავიანთი ლაპარაკით მხოლოდ იმას აღწევენ, რომ მტერი ამ განმარტებებს იმით უპასუხებს, რომ მართლაც ჩვენი ომის მორალი ცუდათ უნდა იყოს, თუ ჩვენ ამის შესახებ საჯარო ლაპარაკს ვსაჭიროებთ. ეს რა თქმა უნდა სისულელეა; მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ლონდონში, ვაშინგტონში და მოსკოვში ასე სჯერათ. ეს არ სცვლის არაფერს თვით ომის ვითარებაში, მაგრამ მოწინააღმდეგე ბანაკს უღვიძებს იმედებს და ილიუზიებს, რომელთაც ჩვენთვის არავითარ შემთხვევაში სარგებლობა არ მოაქვთ; და ესეც კი ცოტა რამ არის. რაც ამჟამად ჩვენს შესახებ მტერთან ფანტაზიები იქმნება, აჭარბებს დიდი ხანია ნებდართულის ზომას. უნდა აღინიშნოს ერთი განსხვავება: როდესაც შეერთებულ შტატებში სამთა-მადნო წარმოების 600.000 მუშა იფიცება კვარების განმავლობაში, ჩვენ ამის შესახებ გერმანულ პრესაში ვიძლევიტ ხუთ-პწკარიან ცნობას. ჩვენ არ

გვწამს, რომ ასეთი გაფიცვით ომის ბედი გადაწყდება. როდესაც ჩვენთან 5 დამნაშავე, რომლებმაც მტრის გადმოცემა მოისმინეს და მათი ცნობები გაავრცელეს, დაისჯება, მაშინ მტრის პრესა ასკვნის აქედან, რომ ჩვენთან რევოლიუცია იწყება. ჩვენ ვფიქრობთ, ყოველ შემთხვევაში უფლება ვიქონიოთ დავუშვათ, რომ 600000 გაფიცული მუშა შეერთებულ შტატებისათვის უფრო მეტ საშიშროებას წარმოადგენს, ვიდრე 5 კრიმინალი უცხოეთის მსმენელი ჩვენთვის. ვის მხარეზე არიან ილიუზიები და ვისაზე რეალობანი?“

გოებელსი იძლევა ამის შემდეგ ნაკლებ წინადადებებით ამომწურავ სურათს ომის მდგომარეობის შესახებ: „როდის ჰქონია რომელიმე ერს ასეთი მძლავრი ქიდილის მეხუთე წლის გარიჟრაჟზე მსგავსი მოგების მომასწავებელი პოზიცია ომში, როგორიც დღეს ჩვენ გვაქვს. ფრონტები სდგანან შეურყევლად. სამშობლო უმკლავდება მორალურად და მატერიალურად მოწინააღმდეგის ბომბების ტერორს. სამხედრო მასალა მიმდინარეობს ჩვენი ქარხნებიდან. ახალი შემტევი იარაღი მტრის საჰაერო ბრძოლის წინააღმდეგ არის შენებაში. დღე და ღამ იღწვიან ამისათვის ურიცხვი ბეჯითი ხელები. მძიმე მოთმენის გამოცდაში ვართ, მაგრამ ეს მოთმენა ერთ მშვენიერ დღეს დაჯილდოვდება.“

გერმანიელ გლეხს შემოაქვს ბელელში კარგი რთველი. იგი სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ჩვენი კვებითი მდგომარეობა უზრუნველყოფილ იქნეს. მთელ რიგ დარგებს ჩვენს ომის წარმოებაში, რომლებშიდაც ჩვენ ამ ჟამად ჩვეულ აქტივობას არ ვიჩენთ, ახლო მომავალში გამოვაცოცხლებთ სავსებით. ჩვენ აღვნიშნავთ სიძნელეებს საკმარისად და უფრო მეტად, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის დაუძლეველი. ამას ემატება დიდი და კარგი საქმე, რისთვისაც ჩვენ ვიბრძვიტ და რომელსაც ისტორიის ღმერთი საბოლოო გამარჯვებას არ წაართმევს. ჩვენზეა ეხლა დამოკიდებული, უკანასკნელი და გარდაუვალი მიუმატოთ ყოველდღიურად, სახელდობრ, ვაჟაკობა, გაბედულება გულის, სწორი შეხელაულება და ღრმა გერმანული რწმენა.

აქ მდებარეობენ ომის რეალობანი. ისინი დაბოლოს უფრო ძლიერნი იქნებიან ვიდრე ჩვენი მტრების ილიუზიები, თუ ჩვენ მუდამ გამოვიყენებთ მათ. რადგან ომი არის ძალისა და ნებისყოფის საქმე, ვი-

საც გადაწყვეტილი აქვს ამ სულით უხელმძღვანელოს, იმისათვის გამარჯვება უზრუნველყოფილია. მას არ აქვს ნება თავის გზას ასცდეს. მან უნდა გაიკაფოს თავისი გზა ზევით ეკალსა და ბარდებში. შეიძლება ამ გზაზე ზოგჯერ ადგილები იყოს, საი-

დანაც იგი მიზანს ვერ ხედავდეს; ეს არ მოასწავებს იმას, რომ ეს მიზანი აღარ არსებობს.

იქნებ მან გადასდგას ხვალ ან ზევ ერთი ნაბიჯი ან აქეთ ან იქეთ და მაშინ მიზანი კვლავ გამოჩნდება ბრწყინვალე სიცხადით.

შალვა ამირეჯიბი ✦


შალვა ამირეჯიბი უნიჭიერესი მწერალი იყო, ჟურნალისტი, და მტკიცე შეგნების მამულიშვილი, სამშობლოსთვის ნამდვილი მებრძოლი. 1924 წლის აჯანყების კაცი, იგი თოფითაც ხელში იბრძოდა, მაშინ შიო-მღვიმის მონასტრის კედლებშიაც წამქეზებელ მადლსა და შესაფარს ეძებდა. ბოლოს ქაქუცა ჩოლოყაშვილთან და მის შეფიცულებთან ერთად „გარდაიარა კლდენი და ღრენი“ და დაეწაფა სენის ნაპირებზედ ქართველი ლტოლვილის ცხოვრებას, მისი განსაცდელით, შევიწროებული დგომარეობის პირობებითაც, რომლის ატანა მას, ვითარცა ნიჭიერ და შემოქმედების შემძლე ადამიანს, უფრო ადვილად შეეძლო.

შალვა ამირეჯიბი მებრძოლი მამულიშვილი იყო და სამშობლოსათვის ბრძოლაში თავის პიროვნებას და სისხლსაც კი არ ზოგავდა. მისი ბრძოლა, როგორც ყველა ქართველებისა, რა თქმა უნდა, მომავლისაკენ იყო მიმართული, ხოლო მას განსაკუთრებით იზიდავდა, და ეს მისი პირადი ელფერი იყო ძველი საქართველო. სახელდობრ საქართველო უკანასკნელი მეფეებისა და იმ თაობათა, რომელთა პირველ განიცადეს, რუსთა ხელში, ევროპის გავლენა, მაგრამ ჯერ სავსებით შენახული ჰქონდათ ქართული ყოფა-ცხოვრება და ქართული მწიგნობრული განათლება. ტფილისი ერეკლე მეორის დროისა, ქართული საზოგადოება ალექსანდრე ჭავჭავაძისა, ნიკოლოზ ბარათაშვილის და მანანა ორბელიანის, ეს იყო შ. ამირეჯიბის მიერ ამორჩეული სულიერი სამშობლო. მისი ნამდვილი ადგილი იქნებოდა მანანა ორბელიანის სალონში. ხოლო მან იცოდა რომ ეს საქართილო მართალი იყო და მისი აღდგენა შეუძლებელი იყო. და არც უნდოდა ვისაყ. ეს გახდა მისი ოცნების საგნად, იქ ეძებდა ადფრთოვანებას. სად არი, — ამბობდა იგი ხშირად — ის დრო, როცა ყველამ იცოდა (იგულისხმებდა ერთს ვიწრო წრეს!) ვინ და სადაური იყო და რომელი მშობლის შვილი. მას აზინებდა ბრბო უსახელო და უცნობი ხალხისა, რომელს მართლაც სხვა დარდები და მისწრაფებანი ჰქონდა და მანანა ორბელიანის სალონისა არა იცოდა რა.

შალვა ამირეჯიბი მხატვრული ფანტაზიით წარსულს ამკობდა, ეს იყო მისი სიხარული და ნუგეზი. და ეს მისი სულიერი განწყობილება უნდა გვესმოდეს როგორც წმინდა და ნამდვილი რომანტიზმი. ის იყო, მართლაც, ქართველი რომანტიკოსი. ამასთანავე იბრძოდა კალმით ან და თოფით ხელში ქართველი ერის მომავლისათვის და იყო ამ მხრივ თავისი ქვეყნის ერთგული და თავდადებული შვილი.

საუკუნო იყოს ხსენება მისი!

ზ. ავალიშვილი.



სამოქალაქო პანაშვილი

ბერლინის ქართველთა კოლონიის ინიციატივით მოეწყო განსვენებული მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შალვა ამირეჯიბის სამოქალაქო პანაშვილი, რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო. სამგლოვიარო სხდომა გახსნა კოლონიის თავმჯდომარემ ბ. ტიტე მარგველაშვილმა, რომელმაც მოკლე სიტყვით დაახასიათა განსვენებულის ღვაწლი და დამსახურება სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ბ. გრიგოლ დიასამიძემ დაახასიათა შალვა ამირეჯიბი, როგორც ნიჭიერი ჟურნალისტი და აღნიშნა მისი ღვაწლი განსაკუთრებით ემიგრაციის პრესაში. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ბ. ბ. დ. ვაჩნაძემ, ლ. კერესელიძემ და ვ. ნოზაძემ. ყველა ორატორმა გულისტკივილით აღნიშნა ის მძიმე დანაკლისი, რასაც მებრძოლი ქართველობა განიცდის შ. ამირეჯიბის დაკარგვით.



1924 წლის აგვისტოს აჯანყება

1924 წ. 28 აგვისტოს, ქართველი ერი აღსდგა იარაღით ხელში მონობის უღლის გადასადგებად და დაკარგულ უფლებათა დასაბრუნებლად.

ჩვეული სიმამაცით და თავგანწირვით მტერს ეკვეთა იგი და სიკვდილით სიცოცხლის დაბრუნება მოისურვა.

მტრის სიმრავლემ სძლია საკუთარი ძალების ანაბარა დარჩენილ ჩვენ ერს.

საქართველო დამარცხდა.

მოწინააღმდეგემ შური იძია და ველური სისასტიკით აჯანყება სისხლში ჩაახრჩო.

გლოვის სუდარა გადაეფარა აცრემლებულ სამშობლოს. სისხლით გაიჟინთა მისი მთა და ველი.

საქართველოს ისტორიის მომხიბლავი ფურცლები კვლავ დამშვენდა ახალ გმირთა სახელებით.

შვიდ ათას ქართველმა თავი დასდო სამშობლოს უკვდავებისათვის. შვიდი ათასი მამულიშვილი მის დიდებას შეეწირა. ბრწყინვალეთ დაიმსახურეს მათ საფლავი იმ სახელოვან წინაპართა გვერდით, რომელთაც დაგვიტოვეს მემკვიდრეობად ყოველგვარ ნივთიერ სიმდიდრეზე უძვირფასესი განძი — **სამშობლოსათვის ბრძოლისა და თავდადების ტრადიცია**. უსოვარ დროითგან მომდინარე ეს დიადი ანდერძი მათ სამაგალითოდ და საამაყოდ შეასრულეს.

მართალია, ქართველი ერი დამარცხდა უსწორო ბრძოლაში, მან ვერ განდევნა მტერი თავის საზღვრებთგან, მაგრამ მორალურად ამ აჯანყებიდან იგი გამარჯვებული გამოვიდა.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი საუკუნის გასწვრივ მტერი მთელი თავისი ტლანჩი ბუნებით აწვა მას და ღრნიდა და სწამლავდა მის სხეულსა და სულს, მიუხედავად იმისა, რომ უცხოეთიდან შემოსული ანტიეროვნული მოძღვრებაც დიდი ხნის განმავლობაში ძირს უთხრიდა მის ეროვნულ შეგნებას და მთლიანობის იდეას, ქართველ ერს მაინც აღმოაჩინდა საკმაო ძალა და ენერგია, რომ იარაღით ხელში **ერთსულოვნად** გამოსულიყო დამპყრობი ძალის წინააღმდეგ და უხვად დანთხეული სისხლით ემცნო მსოფლიოსთვის თვისი მტკიცე ნებისყოფა და გარდაუვალი უფლება დამოუკიდებელ არსებობისა.

28 აგვისტოს აჯანყებამ კიდევ ერთხელ გამოააშკარავა ჩვენი ერის დაუშრეტელი სიცოცხლის ძა-

ლა. გაღებული მსხვერპლით დაამტკიცა მან, რომ საუკუნეთა მანძილზე ნაწამები ქართული სულის ჯადოსნური ძალა უძლეველია, რომ ქართველი ერი მონობას არასოდეს არ შეურიგდება.

მისი ორი ათას ხუთასი წლის ისტორია ხომ ბრძოლაა მისი უფლებისათვის და კიდევ ბევრჯერ გაითხრება ეროვნული საფლავები.

მრავალჯერ განგმირეს გული საქართველოსი მისმა უამრავმა მტრებმა, მრავალჯერ გადაიარეს მის მკერდზე ცეცხლითა და მახვილით უხეშმა უცხო ძალებმა, მაგრამ ვერასოდეს ვერ შეეხნენ მის მაღალ და ამაყ სულს, ვერასოდეს ვერ გასტეხეს და დაამონეს იგი.

საქართველო მუდამ ცოცხალი, უშიშარი სდგას ჩვენ წინ, ყოველთვის განმზადებული მისი ეროვნული თავისუფლების დასაცავად.

მოვიგონოთ დღეს, აგვისტოს აჯანყების 19 წლის თავზე, მოწიწებით და სიყვარულით სამშობლოს თავისუფლებისათვის წამებულნი და თავდადებულნი.

ვატაროთ ღირსეულად მათ უმანკო სისხლში განზანილი ქართული დროშა და სახელოვნად გადავცეთ იგი შემდეგ თაობას.

კ. ბოგაშელი

აგვისტოს აჯანყების 19 წლის თავი

29 აგვისტოს უსტრაუს საგანგებო ბანაკში მოეწყო საქართველოს 1924 წლის აჯანყების ცხრამეტი წლის თავის აღსანიშნავი საღამო. საღამოს ესწრებოდნენ არა მარტო უსტრაუში მყოფი ქართველები, არამედ სხვა მეზობელ ერთა წარმომადგენლებიც — სომხები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები, ჩრდილო კავკასიელები და სხვები. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ბ. დ. კ-მა. ვრცელი მოხსენებით აგვისტოს აჯანყების შესახებ გამოვიდა ბ. გ. ჭ.

სიტყვა წარმოსთქვა სომეხთა წარმომადგენელმა ბ. ტ-იანმა, რომელმაც მოუწოდა კავკასიის ერებს ერთიანობისაკენ თავის საერთო მტრის — ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველათ იმ თავისუფლების მოსაპოვებლად, რომელსაც თავი შესწირეს საქართველოში აგვისტოს გმირებმა.

დასასრულ გაიმართა მეტად შინაარსიანი კონცერტი ადგილობრივ ძალების მონაწილეობით.

აგვისტოს აჯანყების მონაწილეთა მოსაგონარი საღამო მოეწყო აგრეთვე ბერლინში ქართველთა კოლონიის ინიციატივით.

საქართველოს ცხოვრება და ბრძოლანი წარსულში

საქართველო როგორც ქვეყანა, ნაწილი კავკასიისა, — უმნიშვნელოვანესი ნაწილი მისი—ევროპის მიწა-წყალთა სისტემას ეკუთვნის. ამიტომ ჰქონდა კავკასიის ხალხებს, მათ შორის უმთავრესად ქართველ ერს, უხსოვარი დროითგან მჭიდრო განწყობილება იმ ხალხებთან და იმ ერებთან, რომლებიც სცხოვრობდნენ ევროპის კონტინენტზედ. ჩრდილოეთითგან მდინარეთა შთასვლით შავ-ზღვაში და შავი-ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაპირებითგან, თუ ფრაკიითგან ბოსფორზედ გადმოსვლით მცირე აზიაში და იმავე შავი-ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთი ნაპირებითგან, თუ კავკასიონის ქედის გადმოლაზებით, მის უღელ-ტეხილთა გავლით ეხებოდნენ ევროპითგან მოძრავი ერები საქართველოს, და ეს შეხება მრავალ-ფეროვანი თვისებისა იყო: იგი იყო ევროპის ხალხთა მოძრაობა ჩრდილოეთით სამხრეთისაკენ კავკასიონის კართა განვლით საქართველოზედ, მაგრამ აგრეთვე ურთი-ერთობა სავაჭრო შავი-ზღვის ნაპირებზედ არსებულ კოლონიათა საშუალებით, რომელნიც დაარსებულნი იყვნენ სამხრეთი ძველი ევროპის უდიდესი ხალხის, ბერძენთა მიერ, რასაც შედეგად ჰქონდა საუკუნეთაგანმავლობაში კულტურული ურთი-ერთობა ქართველთა და ევროპიელთა. იყო აგრეთვე ხშირი შეხვედრა ისტორიის სივრცეზედ ევროპიელთა და ქართველთა, გამოწვეული სხვა და სხვა მიზეზებით, და ამან ყოველმან ისეთი მაგარი ჯაჭვებით გადააბა ბედი საქართველოსი ევროპასთან, რომ ეს ბედი ჩვენი დღესაც განუშორებელია ევროპის ბედისაგან და მათი შემაერთებელი ჯაჭვები ისევე მტკიცე, ვითარცა მრავალ საუკუნეთა უწინარეს.

უმნიშვნელო მოვლენა არ არის, რომ ქართულ ენაში უძველესი ინდო-გერმანული ელემენტები მოიპოვება. მსგავსება პრომეთეოსისა და ამირანის მითოსისა გვიჩვენებს უძველეს სულიერ ურთი-ერთობას საბერძნეთისა და საქართველოს ქვეყანათა, არგონავტების ამბავი უკვე ნამდვილ კავშირს საბერძნეთისა და კოლხეთისა. ხოლო ისტორიული დრო მოწმობს, რომ საქართველოს დასავლეთი, შავ-ზღვაზედ მიყრდნობილი ნაწილი უშუალო მეზობელი იყო ქრ. წ. უკვე პირველი ათასეულითგან დაარსებულ ბერძენთა შავი-ზღვის კოლონიათა, რაზედაც ბევრს მოგვითხრობენ ძველი ისტორიკოსები ბერძენთა.

ბერძენმა გეოგრაფოსმა და მოგზაურმა სტრაბონმა თვით იხილა პირველ საუკუნეში ქრ. წინად ორივე ნაწილი საქართველოსი, დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო, კოლხეთი და იბერია, პოლიტიკურად მოწესრიგებული და ძლიერი, სამეურნეო ცხოვრებით დაწინაურებული და კულტურის მაღალ საფეხურზედ მდგომი,

ურთი-ერთობის მქონე მაშინდელ კულტურულ მსოფლიოსთან, განსაკუთრებით საბერძნეთთან და ერთობ რომის იმპერიასთან.

ქართველი ერის ერთობა, როგორც იმ ცოტა ცნობათაგან სჩანს, რომელნიც ჩვენ მოგვეპოვებია ქრ. წინად რაოდენიმე საუკუნისათვის ჩვენი ცხოვრებისა, უკვე შექმნილი იყო საქართველოს ისტორიის ქრისტიანობის უწინარეს ხანაში. ქართველ ტომებს აერთებდნენ მათნი ურთი-ერთის უშუალო მეზობლად მდებარე მიწა-წყალნი, მონათესავე ენები და დიალექტები, რომელთა შორის აღბათ ქართული იყო უხსოვარი დროითგან მიჩნეული საერთო ენად, საერთო საწარმართო სარწმუნოება, თქმულებანი, ზნე-ჩვეულებანი და სხვა. ამიტომ ებრძოდა საწარმართო საქართველო მაზდაისტურ სპარსეთს, რომელთანაც იგი აგრეთვე რთულ ურთიერთობაში იყო, არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეროვნულ-სარწმუნოებრივადაც. სპარსეთმა, მიუხედავად ხშირად საქართველოს ძლევისა პოლიტიკურად, ვერ შესძლო ვერც გადაგვარება ქართველთა ეროვნულად და ვერც მოსპობა ქართული ეროვნული საწარმართო სარწმუნოებისა და აპურა-მაზდას სარწმუნოებაზედ მიქცევა საქართველოსი. ამ ეპოქითგან დარჩა მხოლოდ საქართველოში შემოსული ელემენტები სპარსთა ენისა, სარწმუნოებისა, ერთობ კულტურისა, მეტი არაფერი, — მოვლენა, რომელიც ყველა მეზობელ ერთა ურთი-ერთობაში აუცილებელია, — და, რაიცა აქ ძლიერ საყურადღებოა, — იგი, არაოდის განილებული ანტიპათია ქართველთა სპარსთა მიმართ. და ნურავის ჰგონია და ნურავინ იტყვის, თითქოს — მაგალითად ეროვნული სარწმუნოების სიყვარული ქართველთა მიერ და არ მიღება უმაღლესი სარწმუნოებისა, მაზდაიზმისა მთელი ერის მიერ, ქართველთა დიდ სულიერ სიმაღლეს არ ამტკიცებდეს. იმ დროს ზარატუსტრას მოძღვრება უკვე მოკლებული იყო თვის ძველ სიწმიდესა, სიღრმესა და სიმაღლეს და ისე გახრწნილი მრავალ უცხო, მცირე-აზიურ კულტურათაგან და სარწმუნოებრივ წარმოდგენათაგან, რომ საქართველოში შემოტანილი მაზდაიზმი ჩვენ პირველ მეფეთა დროისა ჩვენ ეროვნულ წარმართობაზედ ბევრით მაღლა არ იდგა. ამით აიხსნება, რომ მას იღებდა ქართველობის მხოლოდ მცირე ნაწილი, ან პოლიტიკური ანგარიშით, ან სპარსელ მოგვთა პროპაგანდით ძლეული, ან შიშით, ხოლო იგი ქართულ ეროვნულ სარწმუნოებად არ გამხდარა და ვერც გახდებოდა.

სტრაბონის შემდგომად, იმავე პირველ საუკუნეში ქრ. წინად, რომის დიდი სარდალი პომპეუსი შემოვიდა საქართველოში (65 წ. ქრ. წ.). ეს დიდი მოვლენა იყო საქა



თველოს ცხოვრებაში. რომს მაშინ დიდი ბრძოლა ჰქონდა პონტოს სახელმწიფოსთან და სპარსეთთანაც და მისთვის სომხეთისა და საქართველოს, ერთობ კავკასიის დაჭერას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქართველები შეებრძოლენ რომაელებს, მაგრამ რასაკვირველია უძლიერესი მსოფლიო იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლას ისინი ვერ შესძლებდენ. ამიტომ მალე ზავი არჩიეს რომთან. პომპეუსი კოლხეთშიაც გადვიდა და თვის მოკავშირედ განიმტკიცა კოლხეთის მეფეც. ქართველებმა კიდევ სცადეს რომის ბატონობისაგან განთავისუფლებულიყვნენ, მაგრამ მიზანს ვერ მიახწიეს და ბოლოს დაიდვა რომისა და საქართველოს შორის მეგობრობა და კავშირი, განმტკიცებული საერთო მიზნებით, განსაკუთრებით კავკასიის დაცვისათვის ჩრდილოეთის ბარბაროსთა შემოსევისაგან. ქართველთა მხედრობა აგრეთვე სპარსთა წინააღმდეგაც ეხმარებოდა რომაელებს. რომიც მადლობელი იყო თვისი მოკავშირისა. რომის კეისრებმა ნიშნად მადლობისა ქართველთა მეფეს მცხეთას ზღუდეები აღუმართეს წარწერით 1 საუკუნეში ქრ. შემდეგ. მე-2 საუკ-ში ერთი ქართველი მეფის ოჯახი კეისრის მიერ რომში იყო მიწვეული და უაღრესად პატივ-ცემული, როგორც მეგობარი და მოკავშირე რომის ერისა. მე-3 საუკ-შიაც გრძელდება ეს კავშირი და მეგობრობა რომისა და საქართველოსი, მათი საერთო ბრძოლა საერთო მტერთა წინააღმდეგ, განსაკუთრებით სასანიდების სპარსეთისა. ამგვარად თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში იყო საქართველო რომის მფარველობის ქვეშ, მაგრამ მისი მოკავშირე, და რომის გავლენაც საქართველოზე დიდი იყო ამ დროის განმავლობაში. მაშინ გაფართოვდა ის საფუძველი, რომელზედაც შეიქმნა შესაძლებელი დამყარება ქართული ქრისტიანობისა. ქართველთა ევროპიელობას უძველესი ძირები ჰქონდა, ხოლო რომთან ხანგრძლივმა ურთი-ერთობამ იგი სამუდამოდ განამტკიცა და შესაძლებელ ჰყო გაევროპიელებული ახალი სარწმუნოების შეთვისება და სამუდამოდ პყრობა მისი ქართველთა მიერ.

1—4 საუკუნეებში ქრ. შემდეგ საქართველო რომაელებთან და ბერძნებთან ურთი-ერთობის მიერ ევროპიულად მომზადებულ ნიადაგს წარმოადგენდა სულიერ-კულტურულად,—შეიძლება უფრო მომზადებულს, ვიდრე სხვა ქვეყანანი, მაშინ იმავე გავლენის სფეროში მყოფნი. ქრისტიანობა მე-2—3 საუკ-ში ისე დაემყნო პელაგენიზმს, რომ იგი ნამდვილ ევროპულ სარწმუნოებად იქცა. ამას თავისი ღრმა მიზეზები ჰქონდა, რომელთა გარკვევა აქ უადგილოა. და როგორც ევროპიული სარწმუნოება გავრცელდა იგი მთელ მაშინდელ კულტურულ ევროპაში და იმ ქვეყნებში, რომლებიც პელაგენიზმის გავლენას განიცდიდენ, რომის იმპერიის მფარველობის ან ბატონობის ქვეშე მყოფნი,—და საქართველოშიაც, სადაც ქრისტიანული მისი ძველი ამბავი იყო, მე-4 საუკ-ში კი ქრისტიანული სარწმუნოება იქ სახელმწიფო, ეროვნულ სარწმუნოებად გახდა და გამოცხადდა. ეს იყო საუკუნოდ გადაბმა საქართველოსი ევროპასთან, ხოლო უშუალოდ საბერძნეთთან, სადაც უკვე გადატანილი იყო სამეფო, —რომითგან კონსტანტინეპოლში. ქრისტიანულ დოგმათა სისტემის შექმნისა, შესწორებისა და შეცვლისა, რაიცა იყო საქმე

მსოფლიო კრებათა, საქართველო შეგნებულად მონაწილე იყო, დინტიერესებული კულტურულად და პოლიტიკურადაც, ვინაითგან თვით ოფიციალურ აღსარებას ქრისტიანობისა ეროვნულ სარწმუნოებად პოლიტიკური და კულტურული ნიადაგი ჰქონდა ქართველ ერში. და აქ არის ერთი ფრიალ საყურადღებო მოვლენა აღსანიშნავი. მაშინ როდესაც სირიაში და სომხეთში, აგრეთვე ეგვიპტეშიაც, მსოფლიო კრებათა მიერ დადგენილ რომელიმე დოგმას არა სცნობდენ, საქართილო მისი მიმდევარი ხდებოდა ბოლოს და ბოლოს, მისდევდა რა რომაელთა და ბერძენთა ეკლესიების აღსარებას. ასე მოხდა მაგალითად ქალკედონის კრების შემდეგ (451 წ. ქრ. შ.), ოოდესაც ორი ბუნება ქრისტესი ბევრმა ეკლესიამ აღმოსავლეთს არ იწამა, ხოლო საქარველომ იგი მიიღო საბოლოოდ და ამ ნიადაგზედ განეყო საქართველოს ეკლესია მე-7 ს-ის დამდეგს სომხეთის ეკლესიას, რომელიც მონოფიზიტურად დარჩა დღემდე. საქართველოს ეკლესიამ მართლმადიდებელ რომთან და საბერძნეთთან, საქრისტიანო ევროპასთან არჩია დარჩენა და ამით საქრისტიანო აღმოსავლეთსაც ჩამოშორდა. ხოლო როდესაც შემდეგ თვით საბერძნეთი იყო ხშირად შერყეული მრავალგვარი მწვალებლობით, ხოლო რომი მუდმივი დამცველი „მართლმადიდებლობისა“, საქართველოს ეკლესიას არც ერთი მწვალებლობა არ გაუზიარებია, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტური და იურიდიული კავშირი მისი საბერძნეთის ეკლესიასთან იყო და საეკლესიო წესებიც მას ბერძნული ჰქონდა. ტყვილა არ ეუბნებოდა გიორგი მთაწმიდელი ანტიოქიის პატრიარქს, რომლისპრეტენზიებისაგან იგი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას იცავდა: „იყო ჟამი, რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობაა არა იპოვებოდა. და იოანე გუთელ ეპისკოპოსი მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსად“—ო (მე-8 საუკ-ში). და იგივე გიორგი მთაწმიდელმა ბიზანტიის კეისარს მოახსენა: „ესე არს სარწმუნოება მართალი ნათესავისა ჩვენისა და, რაჟამს ერთგვის გვიცნობიეს, არღარა მიღრეკილ ვართ მარცხულ გინა მარჯულ და არცა მიედრკები“—ო. რომაელებზედაც იგივე ჰკადრა მან კეისარს: „ხოლო ჰრომთა ვინაითგან ერთგვის იცნეს ღმერთი, არა ოდეს მიღრეკილ არიან და არცა ოდენ წვალებაა შემოსრულ არს მათ შორის“—ო. ამიტომ ჰქონდა გიორგი მთაწმიდელს სიმპათია რომისა და ერთობ საქართველოს ეკლესიას, თუმცა შემდეგ განყოფილს რომისაგან მსგავსად საბერძნეთის ეკლესიისა, მუდამ კარგი განწყობილება რომის მსოფლიო ეკლესიასთან. და ეს უბრალო შემთხვევითი მოვლენა არ იყო. ქართულ ეკლესიას თავისუფალს სწადდა კავშირი უდიდეს, მსოფლიო და ამავე დროს ევროპის ეკლესიასთან.

ქრისტიანობის დამკვიდრებამ საქართველოში საბოლოო, განსაზღვრული კულტურული სახე მისცა ქართველ ერს, და ეს სახე მსგავსი იყო მაშინდელი ევროპის ქრისტიანე ერთა კულტურული სახისა. ქრისტიანობის ნიადაგზედ გართულდა სულიერი ურთი-ერთობა საქართველოსი და ევროპისა. საქართველო ამიერიტგან ევროპის კულტურულ სფეროს ეკუთვნოდა. ამ სფეროში განვითარდა ახალი ეროვნული კულტურა საქარფველოისა, ევროპიულ-ქრისტიანული თვისებისა, შეიქმნა ის საქართველო, რომელიც

ჩვენ ვიცით იმ დროითგან, რომელსაც ეკუთვნის პირველი ქართულად დაწერილი საბუთები მე-5 საუკუნე-დან, დღემდე. და ამ ევროპულ-ქრისტიანულმა თვისებამ ქართველი ერისა განსაზღვრა სამუდამოდ უმთავრესი ხაზები და მიზნები საქართველოს პოლიტიკისა, რომელნიც დასაბამითგან უცვლელნი სჩანან მის ისტორიაში დღემდე, და მათ ვერ ჰფარავენ ჟამთა სრბოლაში განსაკუთრებულ მდგომარეობათაგან გამოწვეულნი რყევანი და გადახვევანი, მოქნილი დიპლომატია და პირველი შეხედვით არა-ბუნებრივი კავშირნი.

მე-4 საუკუნე-დან — მე-7 საუკუნემდე ვერც სპარსულმა მაზდაიზმმა და ვერც სპარსეთის პოლიტიკურმა მიმდევრებამ ვერ აღმოჰკვეთა ქართველთა ვერც ქრისტიანობა და მის ნიადაგზედ წარმოშობილი და გაზრდილი ახალი კულტურა ქართული, ვერც ქართველი ერის სახელმწიფოებრივობა და მარადისი მიზანი ხშირად დაკარგული პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენისა. მაზდაიზმი ისევე მკაცრად ებრძოდა ქართულ ქრისტიანობას, როგორც წინად ქართულ ეროვნულ წარმართობას, მაგრამ, თუ მან შესძლო ქართველთა მცირე რაოდენობის მიქცევა მაზდაიზმად, ქართველ ერს თვის ეროვნულ სარწმუნოებად აროდეს აღუარებია მაზდაიზმი, არამედ ქართული ქრისტიანობა თვისი ძლიერივე პროპაგანდით უპასუხებდა მის ძლიერ პროპაგანდას და თვით სპარსელებს აქრისტიანებდა: წმიდა მოწამენი ევსტათე მცხეთელი და რაქდენი სპარსნი იყვნენ ეროვნებით. საქართველოს, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს, მეორე მხრით სპარსეთის მებრძოლ ქრისტიანულ ბიზანტიასთან, აღმოსავლეთის რომთან ჰქონდა კავშირი, — და უმტკიცესი, ვითარცა კავშირი კულტურულ-სარწმუნოებრივი. სპარსეთში ქრისტიანობამ ისე სუსტად მოიკიდა ფეხი, რომ ქართულ ქრისტიანობას იქ ზურგი აროდეს ჰქონია გამაგრებული,

ხოლო ბიზანტიის ქრისტიანობა თვით მსოფლიო ქრისტიანობისათვის იყო სახის მიმცემი. ამიტომ ბიზანტია გახდა მისაყრდნობი ქრისტიანული საქართველოსი, — და მისი ძლიერი პოლიტიკური მისაყრდნობიც, და მიუხედავად ბიზანტიის ხშირად ცუდი პოლიტიკისა საქართველოს მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო, შეწუხებული ბიზანტიის მიმდევრებისაგან, ხშირად სპარსეთს ეძახდა ბიზანტიური ჭირისაგან სახსნელად, კავშირი ორი საქრისტიანო ქვეყნისა, სარწმუნოებით, კულტურით და ერთობ სულიერად მონათესავისა, აროდეს შეწყვეტილა. ხოლო ბრძოლა ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ზემოხსენებული ხანისა ბიზანტიის გამარჯვებით დამთავრდა კიდევ ქართველთა დახმარებით — და მთელი საქართველო მოექცა ბიზანტიის-მფარველობის ქვეშ. მართალია ეს იყო მიხწევა ქართველთა უმცირესი სურვილისა, — ქართველთა პოლიტიკური იდეალი ხომ ყოველთვის დამოუკიდებლობა იყო. მაგრამ მათმა სულიერმა ნათესაობამ ბიზანტიელებთან და პოლიტიკურმა გამოცდილებამ რაოდენიმე საუკუნის განმავლობაში იგინი ევროპის სფეროში დასტოვა და ამით გახდა შესაძლებელი განგრძობა ქართველთა ეროვნული სიცოცხლისა. ხოლო საქართველოს უხანგრძლივესი დარჩენით სპარსეთის ბატონობი-

სა და მძლავრობის ქვეშ გააზიელების საფრთხემოელოდა: ესე იგი შეიძლება მოსპობილიყო იმ სახის ერი, რომელსაც მაშინ ქართველი ერი წარმოადგენდა, და შექმნილიყო სულ სხვა სახის ერი, რომელთანაც იმ საქართველოს, ჩვენ რომ ვიცით ისტორიულად, არავითარი შესავსება არ ექმნებოდა. ამიტომ ბიზანტიის მფარველობაც დიდი მიხწევა იყო მაშინდელ პირობებში საქართველოსთვის.

დრო არაბთა შემოსევათა, ბატონობისა აღმოსავლეთ საქართველოში და ბოლოს თბილისის საამიროს არსებობისა გაგრძელდა საქართველოში მე-7 საუკუნე-დან მე-12 ს-ის პირველ მეოთხედამდე, როდესაც დავით აღმაშენებელმა იგინი საბოლოოდ განაძევა საქართველოთგან 1122 წელს. და საკვირველია და ერთა ისტორიაში ძვირად შემჩნეული მოვლენა: მიუხედავად მათი ბატონობის სიმკაცრისა, განსაკუთრებით მე-8 საუკუნე-ში, ქართული გროვენილი საზოგადოების ზრდა, ქართული კულტურის განვითარება, საქართველოს სახელმწიფოებრივობის განმტკიცება, საქართველოს ვარდაქცევა ძლიერ პოლიტიკურ ორგანიზმად ისე ხდება, თითქოს არაბნი მხოლოდ სუსტნი დამაბრკოლებელნი ყოფილიყვნენ ამ ხანგრძლივი და რთული პროცესისა, და ვეროდეს დამხშობნი იმ ძალთა, რომელნიც გამოსჩქეფდნენ ქართველი ერისაგან და ჰქმნიდნენ კულტურულად და პოლიტიკურად ძლიერ ევროპულ ქვეყანას კავკასიის მიწა-წყალზედ. ისე როგორც წინად სპარსთ ვერ შესძლეს ქართველი ერის ცეცხლის-თაყვანის მცემლად გარდაქცევა, ვერც ახლა არაბთ შესძლეს ქართველობის გამაჰმადიანება, გარდა მისი მცირე რაოდენობისა. სამაგიეროდ, როგორც წინადვე, ქართველთა გავლენით მტერნი გაქრისტიანდნენ. და თუ წინად წმ. რაქდენი და წმ. ევსტათე მცხეთელი სპარსნი იყვნენ, აბო თბილელი, მე-8 საუკუნე-ში ნაწამები არაბთაგან გაქრისტიანების გამო, რომლის ცხოვრება ისე ნიჭიერად აღწერა იოანე საბინის-ძემ, ბაღდადელი არაბი იყო. ხოლო რაოდენი სხვა ერი გაამაჰმადიანეს არაბთ მათ ბრწყინვალე გამარჯვებათა და მრავალ ქვეყანათა დაპყრობის შემდეგ! — არაბთა დროს წარმოშვენ საქართველოს ძლიერნი სამეფონი და სამთავრონი, რომელთა შორის დასავლეთისა და დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზმებს ძველი და მჭიდრო კავშირი და განსაზღვრული პოლიტიკური დამოკიდებულება ჰქონდათ ბიზანტიის იმპერიასთან. თვით საქართველოს სამთავროთა და სამეფოთა ურთიერთ შორის ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის ხდებოდა ერთი რომელიმე მათგანის ჰეგემონიით. ამ ბრძოლაში საქართველოს მეზობელნიც ადასრულებდნენ იმ როლს, რომელსაც მათ გარემოება აკუთვნებდა. და ამ რთულ პირობებში ბრძოლისა და საერთაშორისო დამოკიდებულებათა მოხდა არა მარტო გაერთიანება საქართველოსი, არამედ საფუძველი ჩაეყარა კავკასიის სახელმწიფოს საქართველოს ბაგრატიონთა. კავკასიის სახელმწიფოსაც ისე ჰქმნიდა ქრისტიანულ-ევროპული საქართველო, თითქოს არაბთა იქ არსებობა მისთვის ხელის შემშლელი ფაქტორიც არ ყოფილიყო.

ხოლო იყო სხვა ძლიერი ხალხი, რომელიც მე-9 საუკუნე-დან იჭრებოდა წინა-აზიაში აღმოსავლეთითგან და



მე-11-ში მის უმიტეს ნაწილს ბატონობდა,—ხალხი, რომელმაც ბიზანტიის იმპერიის საზღვრები მცირე აზიაში შორს დასავლეთისაკენ მოხაზა, განაშორა საქართველო ბიზანტიას, შეიქმნა საქართველოს მოსაზღვრედ და შეუდგა მის აოხრებას: ეს ხალხი იყო საღჩეუები მათ, უკვე გამაჰმადიანებულთ, სპარსეთში და მცირე აზიაში სასულთნოები შექმნეს და დიდი სამხედრო ძალაც ჰქონდათ. აი ამ ძალასთან მოუხდა ბრძოლა საქართველოს, როგორც ნამდვილ საქრისტიანო ევროპულ ქვეყანას. ეს იყო დრო ჯვაროსანთა ომებისა, როდესაც მთელი საქრისტიანო ევროპა მთელ სამუსულმანო აზიას დაუბირდაპირდა, და საქართველოსაც დაუდგა ჟამი არა მარტო თავის დაცვისა აზიის ამ უზარ-მაზარი ძალის წინააღმდეგ, რომლისგან მას სრული მოსპობა მოელოდა, არამედ აგრეთვე დიდი ჟამი იმ როლის აღსრულებისა, რომელიც მას მინიჭებული ჰქონდა, ვითარცა საქრისტიანო ერს, კავკასიის კიდევად ევროპისა. და საქართველომ ბრწყინვალედ შეასრულა ეს როლი. საქართველოს დიდმა მეფემ, გენიოსმა მეთაურმა ქართველი ერისა, დავით აღმაშენებელმა დაუღალავი შრომით, უდიდესი სამხედრო ნიჭით, უგონიერესი პოლიტიკით, ერის ძალთა ორგანიზაციით და მიზანშეწონილად მიმართვით, გამოუთქმელი გამბედაობით და დაუცხრომელი ბრძოლებით არა თუ უკუ-აგდო მრავლის-უმრავლესი იერიში თურქთა, არამედ მან დიდგორის ბრძოლაში 1121 წელს მთელი ცოცხალი სამხედრო ძალა საქართველოში შემოჭრილ მაჰმადიან ერთა კავშირისა გაანადგურა. ისლამის სტრატეგიამ იცოდა რასაც შერებოდა საქრისტიანო ევროპის წინააღმდეგ, როდესაც მან განიზრახა მისი დიდი დასაყრდნობი ნიადაგის, საქართველოს მოსპობა, მაგრამ დავითმაც იცოდა თვისი როლი და შედეგი მისი გამარჯვებისა და დამარცხებისა მისი ქვეყნისთვის და მთელი ქრისტიანობისთვის. და მან მთელ თვის ძალთა უგონიერესად მიმართვით მოიპოვა გამარჯვება, და ეს გამარჯვება იყო წინასწარი პირობა გიორგი მე-3-ისა და თამარის დიდი და ძლიერი სახელმწიფოს არსებობისა, მთელი კავკასიისა და სომხეთის ჩრდილო ნაწილის საქართველოს ბაგრატიონთა სკიპტრის ქვეშ მოქცევისა, მათ გამარჯვებათა აზიაზედ და ევროპულ-ფეოდალური საქრისტიანო საქართველოს გავლენისა მაშინდელ სერთაშორისო ცხოვრებაში.

მაგრამ ეს ძლიერი საქართველო გახდა მსხვერპლი მონღოლთა შემოსევისა მე-13 საუკუნეში, და თვით კავკასიის სახელმწიფოს არსებობასაც ამით მოელო ბოლო. საქართველოს გატეხა მისი ხერხემლის გატეხას მოასწავებდა. აღმოსავლეთი და სამხრეთი კავკასიის ხალხთა ბედი ამიერიდან სხვა რთულ გარემოებათაგან შეიქმნა დამოკიდებული, მათი კავშირი საქართველოსთან მრავალ-გვარად დაბრკოლებული, დღესაც კი სანატრელად გამხდარი კავკასიის ყველა შეგნებულ პოლიტიკოსთათვის, ხოლო ძნელად მოსაგვარებელი. — საქართველოს მთლიანობა დაიშალა, იგი დანაწილდა სამეფოებად და სამთავროებად. თითქოს ამო იყო ორასი წლის ბრძოლა მისი პოლიტიკური გაერთიანებისათვის! ბრწყინვალე კულტურა ფეოდალურ-ქრისტიანული საქართველოსი თითქმის კატასტ-

როფიულად დაიღუპა. თუ მე-13 საუკუნეში შემოსულ მონღოლთა დროს მაჰმადიანი მეზობელნი ბიზანტიისა და საქართველოსი, განიცდიდნენ რა საერთო ჭირს მონღოლთაგან, ხშირად თავს იცავდნენ მათთან ერთად საერთო მტრის წინააღმდეგ, თემურ-ლენგის დროს მე-14 საუკუნეში მე-15 საუკუნის დასაწყისამდე მონღოლნი, თუმცა უკვე გამაჰმადიანებულნი, აგრეთვე არ ზოგავდნენ არც მაჰმადიან თურქებს და არც საქრისტიანოს. განსაკუთრებით საქართველომ განიცადა მათგან უდიდესი ჭირი. მაშინ დასრულდა საქართველოს დაქვევა, მაშინ მიახწია მისმა ქვე-სლვამ უდიდესი სიმალითგან მისი პოლიტიკური სიძლიერისა და კულტურული განვითარებისა დაცემის უფსკრულამდე. მას აღარ ღირსებია კავშირი იტალიის რენესანსთან, აღარც მონაწილეობა მაშინდელი ევროპის აღორძინების დიდ მოძრაობაში. ამიერიდან საქართველოს აღარ ჰქონია ძალა თავ-დაცვითგან შეტევაზედ გადასულიყო და ძლიერი სახელმწიფოს შექმნით ეპასუხა მტერთათვის, როგორც ეს მოხდა დიდი დავით აღმაშენებლის დროს. ბიზანტია მაშინ თვით იყო დამდგარი დაშლის გზაზედ, — ამის შემდეგ მას ერთი საუკუნის სიცოცხლე-ლა შერჩა — და მას არ შეეძლო აზრიც კი კავკასიის საქრისტიანო კუთხის შველისა — იგი მეზობელი აღარ იყო მისი — და საქართველოც დასავლეთ ევროპისაგან მოითხოვდა ხსნას. უფლებაც ჰქონდა ასეთი მოთხოვნისა: იმ საერთო დიდი ბრძოლების დროს, რომელსაც ევროპა აწარმოებდა მე-11—12 საუკუნეებში ქრისტიანულ-ევროპულ იდეისათვის აზიის წინააღმდეგ, საქართველოს ზღვა სისხლი ჰქონდა დაღვრილი, უდიდესი მსხვერპლი გაღებულნი, განუზომელი ენერჯია დახარჯული. საქრისტიანოს უმადლესი უფროსისაგან, პაპისაგან, და ევროპის უძლიერეს ხელმწიფეთაგან მოელოდა საქართველო შველას, მათ უგზავნიდნენ საქართველოს მეფენი ელჩებს და წერილებს, და მზად იყვნენ მათთან ერთად შებრძოლებოდნენ საერთო მტერს, მაგრამ მათგან პასუხად ან ლოცვა-კურთხევის წერილები მოდიოდა მისიონერთა ხელით, ან უარი, ხოლო მათგან შველა ან მათთან საერთო მოქმედება საქრისტიანოს მოზღვაებულ მტერთა წინააღმდეგ მაშინდელ მდგომარეობაში ევროპისა შეუძლებელი იყო, და საქართველოსაც, ყოველი მხრითგან მტერთაგან შემორტყმულს, თვისი ძალით უნდა განეგრძო ბრძოლა სასოწარკვეთილებისა, და აგრეთვე მუდმივი, შეუწყვირელი თხოვნა ევროპისაგან შველისა.

მონღოლთა წასლვის შემდეგ საქართველომ სცადა კვლავ გაერთიანება და ძველი მდგომარეობის მოპოვება, მაგრამ მონღოლთა ბატონობამ მას ისე გამოუღია ძალა, რომ ვეროდეს შესძლო ამ მიზნის მიხწევა. ხოლო თურქთა და სპარსთ სახელმწიფოთა გაძლიერება თან მოჰყვა მონღოლთა წასლვას. თურქ-ოსმანთ მთელი იმპერია ბიზანტიისა დაიპყრეს, აიღეს თვით კონსტანტინოპოლი 1453 წელს. და ამ ხნითგან საქართველოს ორი უზარ-მაზარი იმპერია გაუჩნდა მტრად, რომელთათვისაც კავკასიის დაპყრობა და იქ ქრისტიანული ევროპული კულტურის აღმოკვეთა უდიდესი პოლიტიკური მიზანი იყო. კავკასიის ხალხნი ისლამის აღსარებისა მათი მოკავშირენი გახდნენ, და ამ

გვარად საქართველო ვადიქცა მცირე ქრისტიანულ-ევროპულ კუნძულად მაჰმადიან-აზიურ ზღვაში. საქართველით, როგორც ოდესმე ბიზანტიელთა და სპარსთა, ახლა ოსმალთა და სპარსთა შორის ბრძოლის გამოყენებით, პოლიტიკის მოქნილად წარმოებით, დიპლომატიით ცდილობდა საქართველო ოთხი საუკუნის განმავლობაში თავის გადარჩენას, და ამავე დროს ევროპის იმედი მას აროდეს დაუკარგავს. კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ სამცხის ათაბაგმა მთელი კოალიცია შექმნა ქართველ დინასტია. მას მიემხრენ ტრაპიზონის „იმპერატორი“, კავკასიის ბატონი და თვით სპარსეთის ბატონიც. მათ ელჩები გაგზავნეს ევროპაში გეგმით ოსმალურ ძალთა მოსპობისა ევროპიელთა დახმარებით. მაგრამ ელჩები ახლაც ხელ-ცალიერნი დაბრუნდნენ, როგორც ყოველთვის. ხოლო საქართველოსათვის ერთად ერთი დახმარება ევროპისა მე-13 საუკ-ითგან მე-18 საუკ-ის ბოლომდე კათოლიკურ მისიონერთა გამოგზავნა იყო ვატიკანის მიერ. ესეც კარგი იყო: კათოლიკე მისიონერები კავშირის გამბეზონი იყვნენ საქართველოსა და ევროპის შორის, ხშირად ელჩების მისიასაც ასრულებდნენ. ხოლო გაკათოლიკება მთელი საქართველოსი მათაც ვერ შესძლეს, არამედ მხოლოდ ქართველთა მცირე ნაწილისა. — შედეგი ამ ხანგრძლივი სასო-წარკვეთილი ბრძოლისა საქართველოსთვის ორი მხრით შეიძლება განხილულ იყოს: ა) ბრძოლა გათავდა მე-18 საუკუნის დასასრულს საქართველოს გამარჯვებით მხოლოდ იმოდენად, რაოდენადაც ქართველი ერი, ვითარცა ერი ევროპულ-ქრისტიანული სახისა, გადარჩა სრულ გააზიელებას და აღმოსავლურ კულტურის სფეროში შესვლას; ბ) ხოლო შედეგი ამ ბრძოლისა იყო მეორე მხრით სასტიკი დამარცხება მისი: ტრაპიზონი აიღეს თურქებმა 1561 წელს. ამის შემდეგ იწყება სწრაფი პროცესი საქართველოს დაკნინებისა. მთელი სამხრეთ-დასავლეთი და სამხრეთი ნაწილი საქართველოსი გაამაჰმადიანეს ოსმალებმა იქ მათი ხანგრძლივი ბატონობის განმაილობაში და მოსწყვიტეს იგი სულიერ-კულტურულად საქართველოს; აღმოსავლეთი საქართველო პერიოდულად განიციდდა სპარსთაგან დარბევას, ხოლო შაჰ-აბბაზმა ასიათასობით ქართველი გადაასახლა სპარსეთში და გაააზიელა და მოსწყვიტა საქართველოს აგრეთვე სულიერ-კულტურულად; ამის შემდეგ თვით მეფენიც აღმოსავლეთი საქართველოსი ვითარცა მაჰმადიანნი ისხდნენ საქართველოს ტახტზედ; და ამგვარი რამ არა თუ აროდეს ახსოვს საქართველოს ისტორიას, არამედ ეს იყო უდიდესი სირცხვილი და ტრაგედია მისი, ტრაგი-კომედიაც კი — ბაგრატიონთა, ისლამის აღსარება და დავით აღმაშენებლის ტახტზედ ჯდომა და თან მაჰმადიანთაგან დანგრეულ ეკლესიათა აღდგენა და სხვა ამგვარი; ერთობ ზნეობა მთელი ქართული საზოგადოებისა დაცემული იყო აღმოსავლეთის გავლენით — ქალ-ვაჟთა წარცემით ხონთქართა და შაჰთა კარზედ, ტყვეთა გაყიდვითა და მრავალი სხვა ამგვარით, რაიცა ღრღნიდა ქართველი ერის სხეულს და ხრწნიდა მის სულს. კიდე მცირე დრო სამუსულმანო იმპერიათა მძლავრობისა საქართველოზედ და ქართველი ერი გააზიელებოდა და გასწყვეტდა ყოველივე კავშირს იმ ქართველ ერთან, რომელიც წარმოიშვა და განვითარ-

და ევროპულ ქრისტიანულ კულტურის სფეროში. — თუ მე-13—14 საუკუნეები იყვნენ საქართველოსთვის დრონი ნგრევისა, რომელთა შეცვლას აღდგენის ხანად შეეცადა მე-15 საუკუნე და ვერ შესძლო, მე-16—მე-17 საუკუნეები იყვნენ დრონი საქართველოს დაკნინებისა, ქართული კულტურის სრული დაცემისა, ქართული შემოქმედებითი ენერჯის შემცირებისა. არც მე-18 საუკ-ში ყოფილა არავითარი „ალორძინება“ და არავითარი „ვერცხლის ხანა“ არ დასდგომია საქართველოს. ეს იყო უკანასკნელი ცდა რამოდენიმე ნიჭიერ ქართველ მეფეთა, პოლიტიკოსთა, მწერალთა და სხვათა, საქართველო ძველ, თავისუფალ ეროვნულ გზაზედ დაეყენებიათ პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებისა, განეთავისუფლებიათ იგი როგორც აზიის პოლიტიკური მძლავრობისაგან ისე მისი დამლუბველი კოლოზორული გავლენისაგან. მათ ეს ვერ შეესძლეს, როგორც ბიზანტიელ პალეოლოგთა ვერ შესძლეს მსგავსი მიზნის მიხწევა მე-15 საუკ-ში მტერნი ძლიერნი იყვნენ. ერთ მათგანს შეეწირა მსხვერპლად ბიზანტია, უდიდესი სულიერი მოკავშირე საქართველოსი, და მისი მემკვიდრე ხიდად ვერ გახდებოდა საქართველოსა და დასავლეთი ევროპის შორის, რომლისაგან საქართველო ამაოდ ითხოვდა მუდამ შველასა, ხოლო განშორებული მისგან ვერც შველას იღებდა და ვერც მის კულტურას ეზიარებოდა, რომ ამით საკუთარი, ეროვნული კულტურის განვითარებისათვის ახალი შესაძლებლობა შეექმნა.

ესე ყოველი კარგად ჰქონდათ განცდილი და შეგნებული „ალორძინების ხანის“ კაცებს საქართველოში და მათაც ბოლოს რუსეთისაკენ მიაპყრეს თვალი, რომელთანაც საქართველოს მე-16 საუკ-ითგან ჰქონდა დამოკიდებულება, და მასთან პოლიტიკური კავშირით განიზრახეს ერის გადარჩენა აუცილებელი დაღუპვისაგან. — რუსეთი, მიუხედავად მისი გავერობიელებისა, არც ნამდვილი ევროპა იყო, — ის ევროპა, რომელთანაც კავშირი საქართველოს სწყუროდა, და არც ბიზანტიის მემკვიდრე, როგორც ეს რუსეთს ეგონა და ბევრ რუსს ჰგონია დღემდე. ესეც კარგად იცოდა უდიდესმა ქართველმა იმ ხნისა მეფე ერეკლე მეორემ, რომელმაც თითქოს კავკასიის სახელმწიფოსაც კი ჩაუყარა საფუძველი, და უკანასკნელ წუთამდე თვისი უკანასკნელი პოლიტიკური აქტისა იგი დასავლეთ ევროპასთან ეძებდა კავშირს, მაგრამ დარწმუნდა რა საბოლოოდ, რომ ეს შეუძლებელი იყო, მან გადასწყვიტა „ბედი ქართლისა“ მისი „ერთ-მორწმუნე“ რუსეთთან შეერთებით, რომელიც თუ ევროპა არა, არც აზია იყო და საქართველოს იმ ბედს ვერ არგუნებდა, რომელიც მას მოელოდა დიდი ხნითგან განმანადგურებელ ძალითგან მისთვის უცხო თვისებისა. და უკანასკნელი დიდი მეფე საქართველოსი არ შემცდარა თვის პოლიტიკაში, როდესაც მან 1783 წლის ხელშეკრულებით რუსეთის მფარველობა სცნო, — მეფემ მართლაც ძლიერმა და მტრებზედ გამარჯვებულმა.

რუსეთმა მოატყუა საქართველო, — მოატყუა უქკუოდ: საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლება უნდოდა მისი მფარველობით და სამაგიეროდ ერთგულ-

ბისა და სამსახურის ფიცსა სდებდა მის წინაშე. ეს იქმნებოდა ნამდვილი „პატრონ-ყმობა“, ე. ი. განწყობილება ურთი-ერთის სამსახურისა, ორივე მხარისათვის სარგებლის მომტანი. საქართველოს საქრისტიანო იმპერიის ერთობა სწადა, როგორც წარსულში მის ნაწილთ ხშირად ასეთივე განწყობილება ჰქონიათ ბიზანტიასთან. ხოლო რუსეთმა საქართველოს სახელმწიფო მოსპო, მოსპო დინასტია ბაგრატიონთა, მოსპო დამოუკიდებლობა უძველესი მართლმადიდებელი ეკლესიისა, „გუბერნიებად“ გადააქცია საქართველო და ქართველი ერის გარუსებაც კი დაიასხა მიზნად. და ეს არც „იმპერიული“ საქციელი იყო მისი და არც საზოგადოდ გონიერი. არც არავითარი სარგებლობა მოუტანია ამ პოლიტიკას რუსეთისათვის, ვნება კი დიდი, და ყველგან, სადაც რუსეთი მსგავსად მოპყრობია მის იმპერიაში მოქცეულ ერებს.

მაგრამ აქ გამოჩნდა სრული სიმრთელე ქართველი ერის ძველ ძირთა: ქართველმა ერმა, რომელსაც მთავარი ბოლო იტიკური და სხვა საზოგადოებრივი ორგანონი მოჰკვეთა უცხო ძალამ, დროს შესაფერი სხვა ორგანონი შეჰქმნა და განაგრძო ცხოვრება. მოიშორა რა აზია და მისი მძლავრობა თავითგან, მან არა თუ მოისვენა, დაფლეთილმა მტერთაგან, არამედ მისმა ევროპიულმა ძირებმა ისეთი სიძლიერით ამოიყარა, რომ ერთი საუკუნის განმავლობაში შეიქმნა ახალი ქართული კულტურა, არა გადაღებული უცხოთაგან, არამედ ეროვნული, რომელიც ისევე ჰგავდა ახალ ევროპიულს, ვითარცა ძველი ძველ ევროპიულს. მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოება და კულტურა აღარა ჰგავდა იმ ეპოქის საზოგადოებას და კულტურას, როდესაც აღმოსავლეთის ჰანგებზედ მღერა და წერა და „-იანთა“ თარგმანები გადაგვარებით ემუქრებოდნენ ქართულ სულს. კულტურულად და ნივთიერად გამაგრებულ ერს კვლავ დაებადა ბუნებრივი საჭიროება პოლიტიკურ ორგანოთა, — სახელმწიფოსა, და საქართველომაც თვისი პოლიტიკური მოთხოვნილება კვლავ ქვეყნის წინაშე დააყენა: ავტონომია საქართველოსი რუსეთის იმპერიის საზღვრებში. — საქართველოს უფლება ჰქონდა ამისა საერთაშორისო სამართლის ძალითაც. მაგრამ ბედმა მას სუვერენობა არგუნა, — პოლიტიკური იდეალის განხორციელება საქართველოს მებრძოლ პარტიათა დღითგან საქართველოს სახელმწიფოს დამხობისა მე-19 საუკუნის დასაწყისში. წარსულ დიდ ომში დამარცხებულმა რუსეთმა, რევოლუციის ცეცხლში გახვეულმა, კავკასია დასტოვა და საქართველომ პირველად ნახა შველა და დახმარება ევროპისაგან, — ევროპის კონტინენტის უძლიერესი სახელმწიფოსაგან, რუსეთის მებრძოლისა და დამამარცხებელი გერმანიისაგან. ჩვენი 26 მაისი 1918 წლისა უგერმანიოდ შეუძლებელი იყო. და ამ პირველმა შველამ ევროპისა, უშუალო კავშირმა მისი კონტინენტის უდიდეს ერთან და სახელმწიფოსთან ნათელ-ჰყო ბუნებრივობა იმ პოლიტიკურ ზრახვათა, რომელთაც საქართველო მე-13 საუკუნითგან ატარებდა გულში და ატარებს მუდამ, ვიდრე ვისიმე მძიმე ბორკილი მონობისა ადევს მას ქედზედ.

ბოლშევიკურმა რუსეთმა, სადაც ყოველი ევროპული, რაც რუსეთს ჰქონდა შეთვისებული, აღმოფხვრა და გამეფდა ისეთი რამ, რაც ერთი ჯიშის, სარწმუნოების

ან ქვეყნის ადამიანთა საზოგადოებას არ უხილავს, კვლავ დაიმონა საქართველო და 22 წლის განმავლობაში მეტი ანუ მას, ვიდრე, მონგოლებმა 200 წლის განმავლობაში. ხოლო ვინც კიდე დარჩა საქარველოში პოლიტიკური აზროვნებისა და ბრძოლის ნიჭის მქონე, რას უნდა ფიქრობდეს დღეს, როდესაც ეშმაკის სამფლობელოს, სადაც საქართველოა დატყვევებული, იგივე გერმანია ებრძვის, რომლის გამარჯვებამაც შესაძლებელ ჰყო აღდგენა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობისა 1918 წელს? სად უნდა ხედავდეს დღევანდელ მებრძოლთა შორის თვის ადგილს ქართველი, შთამომავალი იმ წინაპართა, რომელთაც საუკუნოებით მოჰქონდათ იდეა ერისა და სახელმწიფოსი და შეუქმნიათ ის საქართველო, რომელიც მუდამ იყო ნაწილი ევროპისა? თუ ქართველი ბოლშევიზმმა ისე გააველურა, რომ თვის ადგილს ბოლშევიკურ რუსეთში ჰხედავს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას დავიწყებია ვინც არის და ისევე შეუწყვეტია ყოველივე სულიერი კავშირი ისტორიულ საქართველოსთან, როგორც ესაა ვითარებაში ისლამის სფეროში გარდასულ და სამუდამოდ დაკარგულ ქართველთ. ინტერნაციონალიზმის საქარველოში, ქართველი ერი მალე სრულიად განქრება, თუ ბოლშევიზმმა გაიმარჯვა ამ ომში, და ამგვარი მოვლენა ხომ „კაცობრიობის“ პროგრესისა ბოლშევიკური ინტერნაციონალიზმის მოძღვრებისათვის. ინგლისისა და ამერიკის, გვერდით არ შეიძლება იყოს ბრძოლის ადგილი შეგნებული ქართველისათვის, რათა განაც ინგლისი და ამერია, სადაც მღვდლები და ეპისკოპოსებიც კი ბოლშევიზმს ქადაგებენ, ბოლშევიზმის მოკავშირენი გახდენ. ბოლშევიკებს მათ სიმხეცი-თაც გადააქარბეს და მის წინაშე მუხლ-მოყრილნი არიან, განმზადებულნი, მთელი ევროპის კონტინენტი მოადონ ბოლშევიკურ მხეცს საძიძვად, — არა მარტო დაუტოვონ რუსეთი და მის იმპერიაში მოქაიოლი ერები, მათ შორის ქართველი ერიც. რა ხალხია ის ხალხი, რას უნდა მოელოდეს ვინმე იმ ხალხისაგან, რომელიც ბოლშევიკებზედ დაბლა დგას! — რჩება ამ რიგად ნაციონალ-სოციალისტური გერმანია, მებრძოლი ბოლშევიზმის წინააღმდეგ ევროპის კონტინენტის ერთა დაცვისათვის, მათი ცხოვრების მოწესიოგებისათვის, მათი მომაროისათვის, რომლის გაირღმია ოოის ათილი სოძოლისა ყოიოი ქართველოსათვის, რომელმაც იცის, თუ რა სული ედგა მის წინაპართ მათ აღორაცხელ ბრძოლობაში საუკუნეთა სივრცეზედ.

როდესაც რომის იმპერიის ნაცვლად ევროპაში ახალნი ერნი გაჩნდნენ, მემკვიდრეობად მათ ბერძულ-რომაული კულტურა დარჩათ და მასზედ დამყნილი ქრისტიანობა შეიქმნა იმ სულიერ სფეროდ, რომელშიც იგინი ვითარდებოდნენ და სცხოვრობენ დღესაც. მიუხედავად მათ შორის განუწყვიტოი ბრძოლისა, იგინი მაინც წარმოადგენენ ერთს მთელს რასმე ამ სფეროში. აქ შევიდა საქართველო, წინადაც რომის იმპერიასთან დაკავშირებული, აქ ვითარდებოდა იგი. აქ იყო იგი მუდამ თვისი სარწმუნოებით, ეკლესიით, თვისი კავშირებით „იმპერიასთან“, თვისი კურაპალატებით და სხვა კაცებით იმპერიისა, აგრეთვე დიდი მეფეებით. აქ იყო იგი მთელ საქრისტიანოში ნაშენი თვისი მონასტრებით, თვისი ხუროთ-მოძღვრებით, მწერლობით,

—თვისი რუსთაველით, —თვისი „პატრონ-ყმობით“, რომელიც თითქმის სრულიად მსგავსი იყო დასავლეთი ევროპის პატრონ-ყმობისა, და სხვა. —ჯვაროსანთა ომები არც „ეკონომიური მიზეზით“ აიხსნება და არც სარწმუნოებრივი ფანატიზმით, არამედ მამოძრავებელი ძალა ჯვაროსანთა იყო დიდი იდეა ევროპის სულიერ-კულტურული სფეროს დაცვისა, რომელსაც დაუპირდაპირდა მეორე დიდი სულიერ-კულტურული სფერო ისლამისა საშუალო საუკუნოებში, განასკუთრებით დიდი სულტნის სალადინის მეთაურობით, —და არა მხოლოდ დაცვისა, არამედ გაფართოებისა წინა-აზიაში. საქართველო ამ ბრძოლაში დიდ როლს ასრულებდა „წარძღუნებითა ჯუიარისა პატიოსანისათა“ ანუ „ძელისა ცხოვრებისათა“. ეს გამოთქმა ახლა შეიძლება ბევრ უმეცარს წარსულ საქმეთა სასაცილოდაც კი ეჩვენება, მაშინ კი მას უდიდესი აზრი ჰქონდა და მართლა მიიღო თუ არა დიდ-გორის ბრძოლაში მონაწილეობა 1.000 ფრანგმა რაინდმა, ან მართლა მოდიოდნენ თუ არა დავით აღმაშენებელთან თაყვანის ცემად „ფრანგნი მეფენი“, ამას მნიშვნელობა არა აქვს. საქართველო მაშინ ჩაბმული იყო ევროპის ბრძოლაში, ჯვაროსნებთან მას საერთო მიზნები ჰქონდა და რასაკვირველია კავშირიც. ევროპა აფასებდა მის ბრძოლას. აღფრთოვანებით მოუთხრობდნენ ევროპიელები მოამბენი აზიითგან საქრისტიანო ევროპას დიდ-გორის ამბავს, და თვით დავით აღმაშენებლის პიროვნების სიდიდეს, რომლის წარმოდგენითაც შეიქმნა შემდეგ ლეგენდა ქრისტიანობის განმათავისუფლებელი იოანე ხუცესისა. ევროპიელები თხზავდნენ აგრეთვე ლეგენდებს თამარის შვილზედ, რომელსაც მართლა უნდოდა მონაწილეობა მიეღო ჯვაროსანთა ომში, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა, ხოლო მუსულმანთაგან შეჭირვებულ ევროპიელ ქრისტიანთა თქმულებით იგი დიდი ძალით მოემართებოდა იერუსალიმისაკენ, სადაც უნდა დაემარხა საქართველოთგან წამოღებული ძვლები თვისი დედისა, დიდი თამარ მეფისა, თანახ-

მად თამარისავე ანდერძისა. —როდესაც ძლიერი საქართველო გიორგი მე-3-ისა და თამარისა განუწყობიებლად აწარმოებდა და იმარჯვებდა, ეს ომებიც ევროპის ომები იყო, მის დასაცავად. თამარის ევროპიული პოლიტიკის უკანასკნელი დიდი აქტი იყო აგრეთვე ტრაპეზუნდის იმპერიის დაარსებაში უმთავრესი როლის აღსრულება და მის ნათესავ კომენენტო დასმა ახალი სახელმწიფოს ტახტზედ. ეს ახალი სახელმწიფო იყო საქართველოს მისაყრდნობი კედელი ერთი მხრითგან, და ბიზანტიისა მეორე მხრივ, საერთო მტრის წინააღმდეგ. —და როდისაც საქართველოს სიძლიერე დაამხვეს მონგოლებმა და შემდეგ ეკრქთა და სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლა დასჭირდა მას საუკუნეთა განმავლობაში, ვისთვის უნდა მიემართა მას შევლისათვის, თუ არა ევროპისათვის, რომლისათვისაც იგი მუდამ ირძოდა? თვით ბიზანტია, ოსმანთაგან შეიწრებული, დასავლეთ ევროპას სთხოვდა მუდამ შეველას, და ყოველთვის მეტი თავის დამცირებითაც, ვიდრე საქართველო. ხოლო როდესაც აღარც ბიზანტია არსებობდა და ევროპაც საქართველოს ვერ უშველიდა, ვის უნდა შეფარებოდა ქართველი ერი, თუ არა რუსეთს, რომელიც გაევროპიელების გზაზედ იდგა და დიდ ხიდსაც წარმოადგენდა საქართველოსა და ევროპას შუა გადაბოლს? მაგრამ დღეს, როდესაც ბოლშევიკურ რუსეთს ევროპის მოსპობა განუზრახავს, საქართველომ მის მიერ განვილი 2.000 წლის გზას ევროპასთან ერთობისა უნდა გადაუხვიოს, მტრად გადაუდგეს მას სწორედ მაშინ, როდესაც ევროპის ახალნი ჯვაროსანნი ქვეყნის ამომგდებ ახალ ბარბაროსობას ისევე ებრძვიან როგორც საშუალო საუკუნის ჯვაროსანნი ძველს? საქართველოსთვის ძველ ბრძოლათათვის „მუდმივ ჯვაროსანთა“ ქვეყანა უწოდა ევროპამ, და თუ მან იცის წარსულის მისსია თვისი, აწმყოშიაც მიხედება, რომ ევროპა მას იმავე მისსიას აკისრებს დღეს, მისი უდიდესი გაჭირვების დროს.

მ. წერეთელი

რამდენიმე სურათი ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრებითგან (ისტორიული მოთხრობა)

„რაჟამს ვესმოდენ ბრძოლანი და საქმენი ბრძოლათანი,
ნუ შეძრწუნდებით, რამეთუ ჯერ არს ესრედ ყოფად.“
სახარებითგან

I
„ერის ცხოვრებას სქედავენ
რაინდნი ურჩინი მტრისანი“.

ნიშნად მეფის მრჩეველთა კრების დასრულებისა გიორგი მე-13-მ მუხლზედ შემოდებული ქუდი დაიხურა და წამოდგა. ბატონიშვილები და დიდებულები მდაბალი სალამით დაიშალნენ.

მეფესთან, დარბაზში, დარჩა მხოლოდ ალექსანდრე ბატონიშვილი. მეფემ განზრახ არ შენიშნა მისი იქ ყოფნა, ფანჯარასთან მივიდა და შუბლი მინას მიაბჯინა. მასთან ლაპარაკს ერიდებოდა. იცოდა, რომ მასთან საერთო ენას ვეღარ გამოიხატავდა, რათგან საქართველოს უკუღმართ ბედს ორი ძმის შორის შეურთიგებელი მტრობა ჩამოეგდო. წარბებ-შეკრული, ტუჩებ-შეკუმშული ალექსანდრე



სდუმდა. მაგრამ მისი რისხვით მოელვარე თვალები ამხელდნენ, რომ მის სულს აფორიაქებდა დაგროვილი ბოლმა, რომელიც საცაა მეხივით უნდა გამსკდარიყო. ამას კარგადა გრძნობდა მეფე გიორგი, რათგან არის დუმილი, რომელშიაც მეტი მუქარაა ვიდრე უმკაცრეს სიტყვებში, ვიდრე მოქნეულ ბასრ ხანჯალში.

ალექსანდრე მისჩერებოდა ირაკლი მეფის, ოქროს ჩარჩოში ჩასმულ სურათს, თითქოს იგი მამას შვილთა შორის საბედისწერო დაპირდაპირების მოწმედ იხმობსო.

ბატონიშვილი ფეხზედ იდგა, უძრავად, შავ ჩოხაში, შავი ხმალ-ხანჯლით აღჭურვილი, თითქოს თავის უბებურ მომავალს წინასწარ გლოვობდესო.

სალამო მიწურული იყო. გარემო მთების ჩრდილები თბილისის ქუჩებზედ ნელ-ნელა წვებოდნენ. ჩამამავალი მზის უკანასნელი სხივი მამადავითის ჯვარზედ ცეცხლად დანთებულყო. სიონითგან მოისმოდა სევდიანი მწუხრისა ზარი: გორგასლანის ქალაქი მხურვალე ლოცვაში ეძებდა სულიერ სიმშვიდეს. . . ხოლო აქ კი, საქართველოს მეფეთა სასახლეში, ორ ძმათა შორის მზადდებოდა საშინელი დრამა, რომელს გრძელი ხნის განმავლობაში, მთელი საქართველო შფოთისა და ბრძოლის კორიანტელში უნდა გაეხვია.

სიჩუმე აუტანელი ხდებოდა. იგი ალექსანდრე ბატონიშვილმა დაარღვია. მან ძმას შეხედა ისეთი ძალით, რომ გიორგის მისი თვალები ზურგში დაშნასაგით დაესო და უნებლიეთ შემოტრიალდა. მის მკრთალ, თითქმის ყვითელ სახეს უკიდურესი სულიერი დაქანჯროლობის და უიმედობის ბეჭედი აჯდა. ქართლ-კახეთის თვით-მპყრობელს უკვე შეხებოდა სიკვდილის ფატალური ხელი.

„გიორგი, — მიმართა ალექსანდრემ ძმას, და ყოველი მისი სიტყვა ჩაქუჩივით ურტყავდა — მაშ ასეთია შენი საბოლოო გადაწყვეტილება? მაშ მ.რ.ჩ.ა? ამიერიტგან ჩრდილოეთის დათვს უღებ საქართველოს კარებს? რა უფლებით? ბაგრატიონთა გვირგვინი დასაცავად გადმოგეცა თუ მის გასაბოძებლად?“

მეფე ძმის თვალებს ერიდებოდა და ხან ძირს, ხან განზედ იყურებოდა. კარგა ხანს სდუმდა და ბოლოს მოკრძალული, თითქმის აკანკალებული ხმით უპასუხა: „ჩემო ალექსანდრე, საქართველოს ბედი მე კი არა, მამა-ჩვენმა დაუკავშირა დიდს და ძლიერს რუსეთს“.

ამ სიტყვებზედ ბატონიშვილი აბედივით აენტო, ძმას სიტყვა გააწყვეტინა და გულს ნადები უკიდურესი სიმკაცრით და უდიერობით პირში ახალა: „სტყუი, საკუთარი დანაშაული დიდ ირაკლის გინდა აკისრო! მას სურდა რუსეთთან კავშირის გამოყენება საკუთარი მოქმედებისათვის, საქართველოს გაერთიანებისათვის და განდიდებისათვის, დაკარგული მიწა-წყლის მოპოებისათვის. გარნა ლტოლვილება შენი ჩრდილოეთისადმი გამოწვეულია შენი უმოქმედო ბუნებით და სულიერი სისუსტით. შენ რუსთა მფარველობას ეძებ საკუთარი სიმშვიდისათვის, პირადი არსებობის უზრუნველ-ყოფისათვის. ირაკლის კავშირი რუსეთთან მაინც საქართველოს შინაგან ხელმწიფობას ნიშნავდა. შენ და გარსევან ჭავჭავაძის მიერ დაწერილი ხელშეკრულება კი საქართველოს და მთელი კავკასიის ხელ-ფეხის გაკერას ნიშნავს და სხვა არ-

აფერს! აწმყო და მომავალი საქართველო დაგვმოვთ და შევაჩვენებთ შენც და საქმეთაც ავნაქნართა შენთა!“

მეფე გიორგიმ მოიკრიფა უკანასკნელი ენერგია და ძმას განრისხებით უპასუხა: „სიტყვებს ვერ სწონავ, ბატონიშვილო, შენი მეფის წინაშე!“

— „არა არს მეფე იგი ვის გვირგვინი უმძიმს, ვის გვირგვინის ტარებისა ეშინია. შენ ბრმად ემორჩილები ხვედრს, ხოლო იცოდე: ბედის მორჩილი მონობაში მოკვდება! ეხლა მშვიდობით! მე ჩემი გზა ამირჩევია! ეს გზაა ბრძოლისა მტრის წინააღმდეგ! დღეთგან მე შემიმართავს მახვილი რუსეთისა და მის მომხრეთა შესამუსკრელად! მე, ალექსანდრე ბატონიშვილი ჩემის ხმლით აღვადგენ და აღვამაღლებ, შენს მიერ შეურაცყოფილს, ბაგრატიონთა გვირგვინს!“

და, ბატონიშვილი, ურჩი მტრისა, ურჩი ბედისა სალამშიუცემლად გაბრძანდა დარბაზითგან და კარები ისეთი ძალით გამოიხურა, რომ მეფის სკიპტრა ტახტიტგან ძირს გადმოვარდა და გიორგის ფეხთა წინ გაგორდა. მეფე თავზარ-დაცემული და გაფითრებული დააშტერდა ძირს განართხულ სკიპტრას და მთლად მოწყვეტილი, წელში მოხრილი მძიმედ დაეშვა ტახტზედ.

იმავე დღეს, შუა-ღამისას, თბილისის გალავანის აღმოსავლეთის კარებს მიადგაცხენოსანთა პატარა რაზმი. მათ, შავ ცხენზედ მჯდომი, შავ ნაბად მოსხმული ალექსანდრე ბატონიშვილი მიუძლოდა. რაზმს კარის დარაჯთა მეთაური გადაეღობა: — „გასვლის ბრძანება და ვინაობის ქალაქი“. ამ დროს, ბატონიშვილის მხლებელმა, ახრისელმა გლეხმა, ალექსა ქართველიშვილმა, მას ცხენი მიაგდო და მიამხა: — „თავხედო, როგორა ბედავ ალექსანდრე ბატონიშვილს ვინაობის დაკითხვას?“ და მათრახის ტარი ჩაართყა. კარები გაიღო. ბატონიშვილმა თავისი მერანი შემოატრიალა, საქართველოს სატახტო ქალაქს უკანასკნელად თვალი გადაავლო, სიონზედ, რომლის გუმბათს მთვარის სხივები ვერცხლის ვარაყით ფერავდენ, პირჯვარი გადაიწერა და ჩქარი კამარით ყარაიაზისაკენ გაჰკურცხლა.

II

„გზედავ, შენ, ხმალო, პაპისა ჩემის, ჩემგან შემკობა და მორთვა გშვენის.“

1812 წელია. სოფელ შატილში, ალექსანდრე ბატონიშვილი ხევსურებს ეთხოვება. კახეთის ამბოხების შემდდეგ ბატონიშვილმა შატილს შეაფარა თავი, სადაც რამდენიმე თვეს დაჰყო. ეხლა ისევ სპარსეთში აპირებს დაბრუნებას. ბატონიშვილის ამაღა უკვე მზათაა და მასაც თავისი ბედაური მიაართვეს. „მშვიდობით, ძვირფასო ხევსურებო! თქვენ მუდამ იყავით და დარჩით ერთგულნი ბაგრატიონებისა. თქვენ შემინიხნეთ და დამიფარეთ. არ დავივიწყებ თქვენს პატივისცემას. აი სიგელი, ნიშნად ჩემი მადლობისა. — და ბატონიშვილმა გადასცა ხევის ბერს, თოთია არაბეულს, საკუთარი ხელით დაწერილი მადლობის და ჯილდოთა შეპირების წერილი — მალე ისევ შემოვბრუნდები და ბრძოლის დროშას კვლავ ავაფრიალებ. არ დავცხრები, სანამ რუსებს საქართველო-



თან არ გავსდევნი!“ — „აგრე, შენი კვნესა ჩვენ!“ ერთ-ხმად შესძახეს ხევსურებმა. ამ დროს მის წინაშე წარსდგა ხუთი თავი კაცი და საყვარელ ბელადს მთელი ხევსურეთის სახელით ძველებური ხმალი მიართვეს. „ბატონი-შვილო, — მიმართა მას ბარისახოს ხევის-ბერმა, სულხანა გოგოთურმა, — ეს ხმალი საქართველოს მტრის სისხლითაა დაფერილი. იგი ეახლა დავით მეფეს ჯვაროსნობაში, იბრძოლა სპარსთა და ოსმალთა წინააღმდეგ, მარაბდის ველზედ ამ ხმლით გაუპო თავი სარდი ხანს დათვია ჭინჭარაულმა, ახლდა ირაკლის ყველა მის ლაშქრობაში, ნაკურთხია საუკუნეთა ბრძოლებით. . . დღეს შენთვის მოგვითმევია! წმინდა გიორგიმ ამ ხმლით შეგამუსვრინოს რუსნი!“ და ბატონიშვილს ხმალი მხარზედ გადაჰკიდა.

ალექსანდრე ბატონიშვილმა გადალახა მალხისტიის ქისტეთი, მთის ჩიჩნეთი და ვედნო, ანდი, ბოთლინის და წუნტის გზით კახეთში ჩამოვიდა. ნახა თავისი საყვარელი მხარე, წინაპართა, ირაკლისა, თეიმურაზ მე-2-ისა, თეიმურაზ პირველისა, ქეთევან წამებულისა, რუსების მიერ გაოხრებული, ნანგრევებად ნაქცევი და სული, ვერაგი მტრისადმი განახლებული რისხვით და შურის ძიების გრძნობით აღევსო. „არ შეგარჩენთ ამას, მუხთაღწო!“ ეს იყო მისი უკანასკნელი მრისხანე მუქარა, როდესაც მისმა შავმა მერანმა კახეთის საზღვარი გადალახა და პირი სპარსეთისაკენა ჰქნა.

III

„ეროვნული იდეალისთვის მებრძოლის სულში სამშობლოსადმი სიყვარული სჩრდილავს ყველა სხვა სიყვარულს, ყველა სხვა გრძნობას.“

1830 წლის გაზაფხულზედ ალექსანდრე ბატონიშვილი დაბრუნდა თავის თავრიზის სასახლეში ოსმალეთითგან, სადაც იგი 6 თვის განმავლობაში პოლიტიკურ მოლაპარაკებას აწარმოებდა. მრავალ სახელმწიფოებთან ჰქონდა დამოკიდებულება გაბმული მხნეს და დაუდევარ ბატონიშვილსა. იგი აწარმოებდა მოლაპარაკებებს ნაპოლეონთან, პრუსიისთან, პაპთან, სპარსეთთან, ოსმალეთთან, და სხვა. ეს უცნაური ადამიანი არა მხოლოდ დაუღალავი მხედარი იყო, არამედ ამავე დროს, დიდი ნიჭის და დაუშრეტელი ენერჯის პოლიტიკოსიც. პირდაპირ გასაოცარია რა ვრცელი მიწერ-მოწერა ჰქონდა მას გაბმული საქართველოსთან და ქართული საზოგადოების ყველა წრეებთან. მისი შიკრიკები განუწყვეტლივ დარბოდნენ ჩიჩნეთ-ინგუშეთ-ქისტეთში, დაღესტანში, ყაბარდოში, ყარა-ნაგაიში, კავკასიის სახანოებში, ყარსის, არდაგანის, ერზრუმის ფაშებთან, ლაზისტანის ბეგებთან და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონიშვილი შუა-ღამისას ჩამობრძანდა, უკვე მეორე დღეს დილა ადრიათ გახურებულ მუშაობაში იყო გაბმული. ივნისის დამდეგი იყო. ალექსანდრე აივანზედ იჯდა. მხურვალე მზის სხივებს ისე გაეხურებინათ სასახლის ბაიის ყვავილმცენარეები, რომ გამაბრუებელ სუნელობათა ოშიგარი ასლიოდათ. აღჯანბადის, მაგნოლის, იასამანის, ზამ-

ბახის, მიხაკის და ვარდების სუნთქვამ თითქოს დაათვრო ბატონიშვილიო. . . კალამი ხელითგან გააგდო და ფიქრების ოკეანეში ჩაეშვა. წარსულის სურათები ერთი მეორეზედ ხორცს ისხავდენ, ცოცხლებოდნენ მის წინაშე. . . აი საქართველო მისი მამის, მეფე ირაკლის დროს, თავისი ბრწყინვალეობით, როდესაც პატარა კახის ბასრი ხმლის წინაშე ძრწოდა დიდი ირანი და მას კავკასიის სახანოები ემორჩილებოდნენ. იმ დროს ალექსანდრე ჯერ კიდევ ნორჩი ყრმა იყო და სასახლის ბაღებში უდარდელად დარბოდა ან ცხენოსნობა-ჯირითში ვარჯიშობდა. . . აი თვით სასახლე, უცნაური, ზღაპრული სიმშვენიერისა, აგებული დიდი როსტომ მეფის მიერ. . . სასახლე სავესე მოსამსახურეებით, მცველი ხევსურებით თავის რკინის პერანგებში სასახლის კოშკებთან და კარებებთან ჩუმ და უძრავ ქანდაკებად აყუდებულნი. . . ირაკლისგალაშქრებანი და თბილისელების აღტაცება სახელოვან გამარჯვებათა გაგონებაზედ . . . ასპინძის ომი და იქ რუსების ღალატი, მაგრამ, მიუხედავად ამ შავი ღალატისა, მაინც ირაკლის გასაოცარი გამარჯვება. . . და აი კრწანისის ბრძოლაც 1795 წელს, მთელი თავისი შემზარავი საშინელებით და თანაც სავესე შეუდარებელი ვაჟკაცობის მაგალითებით! რუსების ღალატის წყალობით სპარსელებმა შესძლეს თბილისის აღება და მისი გადაწვა. . . ეხლაც თვალწინ უდგია ბატონიშვილს ცეცხლის ალი და კომლი სასახლეს რომ ასლიოდა. . . ოცი დღის შემდეგ იგი თავის მამას ახლდა გვერდით, როცა მან სპარსელნი თბილისითგან გასდევნა და საზღვრამდე ზურგზედ ბოლი ადინა. . . მაგრამ სატახტო ქალაქი გადაბუგული დარჩა! და, აი, კიდევ ახალი ღალატი რუსებისა: 1802 წელს მათ ვერაგულად დაარღვიეს საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება, გააუქმეს მმართველობა, საქართველო პოლიტიკურად მოსპეს, მოსპეს ბაგრატიონთა გვირგვინი, რომელს იგინი ათას წელზედ მეტს ატარებდნენ შეუდარებელი ღირსებით და უბადლო სიგმირით. . . აქ, კი თვით ალექსანდრემ ამოიღო ხმალი და მისმა ბრძოლის ბუკმა მოიხმო ქართველობა რუსეთის წინააღმდეგ ასამბოხებლად და დაიწყო ბრძოლები, განუწყვეტელი ბრძოლები, მთელი 30 წლის განმავლობაში; სასტიკი, დაუნდობელი ბრძოლები, სისხლის წვიმები და რამდენჯერმე საქართველოს აკლება და აოხრება რუსის ჯარის მიერ! . . გავიდნენ წლები სავესე უცნაური მოვლენებით, სავესე დრამატიზმით. . . გრძელი და თან მოკლე წლები! . . გრძელი მით, რომ ათასი ბრძოლა, ხიფათი და ალიაქოთი გადახდა ალექსანდრეს ამ ხნის განმავლობაში; ხოლო მოკლე მით, რომ არასდროს თავის პირად კეთილდღეობაზედ, პირად ცხოვრების სიტკობებაზედ და განცხრომაზედ არ უზრუნია მას. ისე უცბად, ისე შეუშინეველად გაჰქრა ეს დრო, გაირბინეს წლებმა, რომ მას პირადი ნეტარება ამა ქვეყნად არ განუცდებოდა. ცხოვრების ნეტარი არ შეუესვია, არც უგემნია და არც დასცალდება მათ საძებნელად. . . და აი ეხლა, უკვე ხანში შესულს, მხოლოდ გლოვა და ვალალი-და დარჩენია ყოველივე იმისა, რაც მას უყვარდა, რაც მას გულს უთბობდა: დაჰკარგა მთელი თავისი სამეფო საგვარეულო, რომელიც რუსებმა ან ამოუწყვიტეს ან რუსეთს გადასახლეს. . . თვით მისი ღრმად



მოხუცებული დედა, დარეჯანიც კი არ დაინდეს ბოლოს საყვარელი ცოლშვილიც კი, მისი მშვენიერი, მზეთუნახავი მეუღლე, მარიამი, და ჯერ უსუსური ირაკლიც კი გაატაცებინა რუსის მთავრობამ და ეხლა ტყვეობაში იმყოფებიან.

ცოლ-შვილის გახსენებაზედ ბატონიშვილს გულზედ სევდამ მუხრუჭივით მოუჭირა, თვალზედ ცრემლი მოაღდა და თავი ჩაღუნა: ვეღარ გაუძლო მზერა სასახლის ბაღს და აივანს, სადაც მის ცოლ-შვილს მასთან დრო გაუტარებია და სადაც ეხლა მათი საყვარელი ლანდები ცოცხლად სდგებოდნენ მის თვალთა წინაშე.

ამ ნაღვლიან მოგონებებში იყო წასული ბატონიშვილი, როცა მხლებელმა წერილი მიართვა. ცოლის ხელი იცნო, დახვეულ ქაღალდს ლუქი შემოამტვრია და მშვენიერი მარიამის წერილი რამდენჯერმე გადაიკითხა. ტყვეობაში მყოფი ცოლი შემდეგსა სწერდა:

„მუდამეამს სანატრელო, ჩემო დამტირებელო ბატონო და ბატონიშვილო ჩემო! პირველ ყოვლისა გაახლებთ სალამს, და თქვენი მორჩილი და ერთგული მეუღლე გეამბორები ხელზედ. თუ ჩვენს ამბავს იკითხავთ, არა გვიჭირს რა ნივთიერად. გარნა სულიერად განვიტანჯეთ თქვენთან განშორებისა გამო. და მაქვს ბრძანება იმპერატორისა გთხოვით დაცხრომა და მორიგება მასთან. თანაც აღგიტყვათ მათმა უმაღლესობამ არ მოგაკლოსთ პატივი და სიმდიდრე და მოგიალერსოთ ვითა შვილსა მშოსა თვისსა ჩვენც გვიხილავთ და გვადირსებთ თქვენს ხილვას და გაგვადენიერებთ მით. ხოლო თუ არა ჩვენი კვლავ შეყრა აღარ იქნების და ურთერთს დამორებულნი განვალთ ამა სოფლითგან ბედკრულნი და გულ-დასერილნი. გარნა თუ არ ინებებთ მორიგებას და მობრძანებას, იყოს ნება თქვენი, ვინაითგან თქვენ უკეთ მოგეხსენებათ რა არს უმჯობესი ქვეყნისათვის, საკადრისი ირაკლის შვილისათვის და ქართველ მებრძოლთა მთავარ მხედრისათვის. ესეც იცოდეთ: სანამ პირში სული მიდგია დავრჩები თქვენი ერთგული, მარად მოსიყვარულე მეუღლე და ერთგული ქვეშევრდომი ამა ქვეყნად და იმა ქვეყნადაც ზეციურ მეუფის წინაშე წარვსდგები მხურვალე ლოცვითა და ვედრებით თქვენთა დიდ ზრახვათა გამარჯვებისათვის“.

კარგა ხანს დაჰყო ბატონიშვილმა აღელვებულ ფიქრთა მორევში. . . მის წინ იხსნებოდა საუკეთესო საშუალება ცხოვრების გამოცვლისა. . . მოსცილდეს ამ ტანჯულ, მოუსვენარ არსებობას და თავისი უკანასკნელი წლები გაატაროს საყვარელ არსთა შორის. . . ვანა ამდენ ნაბრძოლს, დაღლილს და ქრილობებით სავსეს კიდევ დიდი ხნის სიცოცხლე დარჩენია? ! .

ბატონიშვილმა დაიბარა თავისი მრჩეველი ელიზბარ შიუტაშვილი, კაცი ბრძენი და ქველი, შეგირდი დიდი სოლომონ ლეღვიასა.

—„ელიზბარ, წაიკითხე ეს წერილი და მითხარ რას ფიქრობ.“—

ელიზბარი ბატონიშვილის ფერხითით მოიკეცა შირახულ ხალზედ და წერილის გადაკითხვის შემდეგ ღრმად ჩაფიქრდა. მერე თავისი დინჯი ხმით მიუგო და გტყობოდა ყოველ სიტყვას სწონიდა ბრძენთა ზნისამებრ.

—„ბატონიშვილო, აწ კმარა ბრძოლა. . . რუსეთმა დროებით გაიმარჯვა ჩვენზედ. . . საქართველომ სხვა დროს უნდა უცადოს. როგორადაც ადამიანთა, ერების ბედიც ცვალებადია. სხვა დრო სხვა ბედს მოუტანს ჩვენს სამშობლოს. . . მომავალი იქნება ნაყოფი აწ თქვენ მიერ დათესილისა. . . მაგრამ შორეული. . . ეხლა კი დროა თქვენს საკუთარ თავზედ და ოჯახზედ იზრუნოთ. . . აწ ესაა თქვენი მოვალეობა.“

ამ სიტყვებით შიუტაშვილმა ნესტარი სწორედ შიგ გულში ჰკრა ბატონიშვილსა და აუშულა უმწვევავი ტკივილები. . . ტკივილები, რომელთ საბოლოო დაყუჩება არ იციან. . . ტკივილები სამშობლოთგან გადახვეწილი ადამიანისა! და ადამიანურმა გრძნობებმა ბუნებრივად გაიღვიძეს მასში და წამოიშალნენ შეუბრალებელი მშფოთარე ძალით: რასაკვირველია მასაც აქვს უფლება, ეხლა მაინც, მისი სიცოცხლის მიწურულზედ, იფიქროს პირად ბედნიერებაზედ! . . დაიბრუნოს თავისი დაკარგული სამოთხე: ჯერ კიდევ ნორჩი, 25 წლის ცოლი, მშვენიერი მარიამი და მისი ჯადოსნური მწვანე თვალების ალერსში დაივიწყოს სიმწარენი ამა სოფლისა. . . და ბატონიშვილის სულში ხდებოდა სასტიკი ბრძოლა. . . ხოლო არა ხანგრძლივი. უცბათ წამოიჭრა იგი ვით დაჭრილი ლომი უკანასკნელი ნასკუბისათვის მის მოსაკილოად მოსული მტრის წინააღმდეგ: „არა, ელიზბარ, დღეს შენს სიტყვებში ვერა ვხედავ სიბრძნის სინათლეს! შეჩერებული ბრძოლა უდრის დამარცხებას! სამშობლოსათვის განწირულსა პიროვნულიც განწირული აქვს! არა და არა! ბრძოლა მძაფრი, დაუცხრომელი! ესა არს მხოლოდ ჯიბდესი სიბრძნე ცხოვრების. ეს დიდი სიბრძნე შთამამავალთ უნდა გადავსკე, და მხოლოდ მაშინ, რა მოვიხდი ამ დიდ ვალსა სამარადისოდ განვისვენებ მე. . . სამარეში!“

IV

„კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოწყდებიან, ჯავრი არ სჭამონ მტრისანი!“

1842 წელს, თეპერანში, ქალაქ გარედ, ქრისტიანების პატარა სასაფლაოზედ, ერთ მშვენიერს, სპარსეთის მხურვალე მზით გაჩირაღდნებულ დილას, მიახვეწეს ალექსანდრე ბატონიშვილის ცხედარი.

მგლოვიარეთა ჯგუფი უცნაურ სურათს წარმოადგენდა. იგი შესდგებოდა თავითგან ფეხამდე იარაღში ჩამსხდარ, ძალზედ მოხუცებულ რაინდებთგან. ესენი იყვნენ სიყრმიტგან ალექსანდრეს თანამებრძოლნი, მრავალ ლაშქრობითგან და განსაცდელითგან რალაც სასწაულით გადაარჩენილნი. აგერ ღრმად მოხუცებული ჩოლოყაშვილი, რომელს საბუესთან ბრძოლაში რუსის ტყვიამ კარჭი მოამტვრია. დაღვრემილი, გულ-დათუთქული, ხმალს ებჯინება და ძლივს მისდევს საყვარელი ბატონიშვილის კუბოს. მის გვერდით, სიბერისაგან წელში მოხრილი ვაჩნაძე. რკინის პერანგი აცვია, მუზარადი ხურავს. ეს ის მუზარადი ბატონიშვილმა რომ მისთვის გამოჩენილ ქირმანელ ოსტატს გააკეთებინა. წელზედ არტყია ხმალი, რომლით მისმა წინაპარმა, ქეთევან დედოფლის ერთგულმა რაინდმა, მოღალატე კონსტანტინე მოკლა ალაზანზედ გაშმა-



გებულ ბრძოლაში. კაცს ეგონება, რომ ეს ძველი კახელი მეომარი ბატონიშვილს დასასაფლავებლად კი არ მისდევს არამედ სალაშქროთაო. და, აი, ალექსა ქართველიშვილიც ბატონიშვილთან თანაშემზრდილი და მუდამ მისი ჭირ-ვარმის მოზიარე. წილში ვერცხლის დამბაჩა ურჭვია. ამ დამბაჩით ბარე ას რუსს გაუცივა მან თავი და ამავე დამბაჩით გაუგმირა გული რუსის პოლკოვნიკ მალინოვსკის 1812 წელს რომ დიდი ბრძოლა მისცა ალექსანდრე ბატონიშვილმა გურჯაანთან ყაზახ-რუსებსა. შატილელი ხევსური გელა ჭინჭარაულიც მათ შორისაა. ის ჯერ სულ ახალგაზრდა მეფე ირაკლის ახლდა ხოლმე ომებშია. გელაც იმ მცირე რიცხოვან რაზმში ერია, რომლით პატარა კახმა, კრწანისის ველზედ მტრის რიგები გაარღვია და ალა-მაჰმად-ხანის კარავში შეიჭრა. ის ჭრილობა, რომელიც ახლაც ისევ ამჩნევია შუბლზედა, თითქოს გუთანს გადაუხანავსო; სწორეთ შაჰის კარავთან მიიღო. ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლის ბუკის პირველსავე დაძახილითგან მას აღარ მოშორებია და მასთანვე ბრძოლებში დაბერდა.

ბატონიშვილი უცხო მიწას მიიბარეს. მოხუცებულმა რაინდებმა მუხლთ მოიყარეს, პირჯვარი გადაიწერეს და გამობრუნდნენ. სასაფლაოს კარებთან შეჩერდნენ. ერთმანეთს შეხედეს. ყოველ მათგანს უნდოდა რაღაც

ეთქვა, გულის სევდა გადმოეშალა... მაგრამ ყელში მოწოლილი ბოლმა-ნალველი ახრჩობდათ და სიტყვის წართმეპას ვერ ახერხებდნენ. ბოლოს ვაჩნაძემ ქვითინით წამოილულლულა: „აღსრულდა!.. მასთან ერთად საქართველოს იმედებიც დავასამარეთ... და ჩვენც...“ ხმა ქვითინში ჩაუწყდა. „არა, თავადო, —თვალეზედ ცრემლით, მაგრამ მთის შვილის სიმტკიცით მიუფო ხევსურმა, ბატონიშვილის ამოღებული ხმალი გაუმარჯვებლივ არ ჩაიგების! მას სხვა მებრძოლნი აიღებენ ხელში, და ადრე თუ გვიან, იგი შეასრულებს დიდი ალექსანდრეს დიად ბრძანებას: „განიწმინდოს საქართველო რუსებისაგან!“

სასაფლაოზედ მხოლოდ ახალგაზრდა, 17 წლის, ვახტანგ ყაფლანიშვილი დარჩა. ის იყო შვილი ალექსანდრეს თანამებრძოლის, დიმიტრისა, სპარსეთში დაიბადა და სამშობლო ჯერ არც კი ეხილა.

ვახტანგი, ბატონიშვილის საფლავზედ, დიდ-ხანს იმყოფებოდა მუხლ-მოყრილი, თავ-დახრილი და მხურვალედ ლოცულობდა. ბოლოს წამოდგა. თავი მალა ასწია ისეთი მეფური სიამაყით და მედიდურობით, თითქოს გმირი ბატონიშვილის სული შთაჰბერვიაო, ხელი ხმალზედ დაიდო და რისხვით სავსე თვალებით საქართველოსკენ გაიხედა.

ძველი ლეგიონერი

სტალინის საიდუმლო ბრძანება

გერმანიის სარდლობას ხელში ჩაუვარდა სტალინის საიდუმლო ბრძანება მიმდინარე წლის 16 თებერვლის თარიღით, რომელიც მიმართულია წითელ არმიის იმ ხელმძღვანელებისადმი, რომელთაც დავალებული ჰქონდათ სამხრეთის ფრონტის გარღვევა და გერმანულ ჯარებისაგან უკრაინის გაწმენდა.

ამ ბრძანებაში სტალინი, ახასიათებს რა ომის მსვლელობას, ჰყოფს მას სამ ეტაპად. პირველ ეტაპს იგი უწოდებს საბჭოთა ჯარების უკანდახევის ეტაპს. ომის მეორე ეტაპი, რომლის განხორციელება ებრძანა სამხედრო მეთაურებს, ვისდამიც ეს საიდუმლო ბრძანება არის მიმართული, მისი აზრით, არის იტაპი გამარჯვებებისა და ფაშისმის განდევნისა საბჭოთა ტერიტორიიდან. მესამე ეტაპის დასახასიათებლად მოუხსმინოთ თვით ამ ბრძანების ავტორს: „როდესაც წითელი არმია ღრმად შეიჭრება ფაშისტურ ქვეყნებში და მისგან დამონებულ პროლეტარიატს გაანთავისუფლებს, მაშინ ჩვენ ამით შევასრულებთ არა მარტო იმ ამოცანას, რომელსაც მამულისათვის ბრძოლა გვისახავს, არამედ ჩვენ ვიდგომებით უკვე ომის მესამე ეტაპში, რომელიც მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისაკენ წაგვიყვანს. თქვენ ამ ამოცანას შეასრულებთ და დამტკიცებთ, რომ თქვენი ხელმძღვანელობით წაყვანილი წითელი არმია იმ იმედს ანაღდებს, რომელსაც მთელი ქვეყნის პროლეტარიატი თქვენზე ამყარებს“...

ასეთია ბრძანებაში ომის ეტაპები. ამ ეტაპთა შორის ბოლშევიზმმა პირველი ეტაპი კარგად შეასრულა და მას შესწირა 4 მილიონი ტყვე, მრავალი დაჭრილი და დახოცილი, აურაცხელი სამხედრო მასალა, დაჰკარგა ყოფილი პოლონეთის ტერიტორია, ბალტიის ქვეყნები, ზედ მიაყოლა: ბელორუსია, უკრაინა და ყირიმი. ასეთი იყო პირველი ეტაპი. მეორე ეტაპში, ბრძანების ავტორის თქმით, უნდა გაწმენდილიყო არა მარტო ყოფილი საბჭოთა ტერიტორია „ფაშისტურ ბანდებისაგან“ არამედ წითელი არმია ღრმად უნდა შეჭრილიყო თვით ფაშისტურ ქვეყნებში და ეს იქნებოდა უკვე მესამე ეტაპის დასაწყისიც. თუ ვივლისხმებთ, რომ ეს საიდუმლო ბრძანება მიმდინარე წლის 16 თებერვლით არის დათარიღებული და გავითვალისწინებთ ამის შემდეგ წითელი არმიის მიერ მიღწეულ სამხედრო „გამარჯვებებს“, დავარწმუნდებით, რომ მეორე ეტაპის შესრულებას მეტად ცუდი პირი უჩანს. განუწყვეტელი შემოტევები ყუბანის ფრონტზე, რასაც მრავალი დივიზია და სამხედრო მასალა შესწირა ბოლშევიზმმა, დღემდე უშედეგოდ დამთავრდა. დიდი მასშტაბის სამხედრო შემოტევამ მთელ ფრონტზე ლადოგის ტბიდან — ნოვოროსიისკამდე, რომელიც ამ ზაფხულს დაიწყო და რომელიც უეჭველად მიზნად ისახავდა სწორედ ამ მეორე ეტაპის თუნდაც ნაწილობრივ შესრულებას, ჯერჯერობით საბჭოებს ტერიტორიალურადაც ხელშეშახები შედივი არ მისცა.

გერმანიის მხედრობა ბრწყინვალედ უმკვლავდება მოზღვავებულ მტერს და ამ მოგერიებით ბრძოლაში განუწყვეტლივ ანადგურებს წითელი არმიის დივიზიებს და სამხედრო მასალას. წითელმა სარდლომ უამრავი ჯარი და სამხედრო მასალა შესწირა ამ საზაფხულო აქციას და საგრძნობ შედეგს კი ვერ მიაღწია. ამ რიგად განზრახული მეორე ეტაპის შესრულება ბოლშევიკურმა სარდლობამ ვერ განახორციელა და ვერც კომივალში განახორციელეს.

თითონ ბრძანების ავტორი დაქვეებულია მეორე ეტაპის განხორციელებაში. ამას იგი თავის საიდუმლო ბრძანებაშიაც ამჟღავნებს. ის ამბობს: „თუ წინააღმდეგ მოლოდინისა მეორე ეტაპის გაშლა გაძნელდა, მაშინ ჩვენ ესაჭიროებთ ჩვენი ეხლანდელი მოკავშირეების დახმარებას, განსაკუთრებით მეორე ფრონტის გახსნის სახით, რათა ფაშიზმი წაეპქიოთ“. აქედან სჩანს, რომ სტალინის მართა წითელი არმიის იმედი მეორე ეტაპის განსახორციელებლად არ აქვს. მისი სურვილია ეს ეტაპი ინგლის-ამერიკის დახმარებით განახორციელოს იმ შემთხვევაში, თუ თავისი ძალებით მიზანს ვერ მიაღწია. ამ მიზნით სტალინი თავის მოკავშირეებს მეორე ფრონტის გახსნას სთხოვს, რათა მას საშუალება მიეცეს საკუთარ ფრონტზე მეორე ეტაპის განხორციელებას შეუდგეს.

ინგლისი და ამერიკა, როგორც სჩანს, მეორე ფრონტად იტალიაზე გამართულ ფრონტს სთვლიან, მაგრამ ბოლშევიზმის ბეღადი ამით არ კმაყოფილდება, კვლავ ამას ვერ გამოუწყევია აღმოსავლეთის ფრონტის განტვირთვა და შესუსტება. თვით სიცილიაზე ჯარის გადმოსხმით და იქ წარმოებულ სამხედრო ოპერაციებით ინგლის-ამერიკამ დიდი ზარალი იწვნია. ამ მიმართულებით ნამდვილი მეორე ფრონტის გახსნის მიზნით ინგლის-ამერიკამ კიდევ ერთი ნახტომი უნდა გააკეთოს და, მაშასადამე, დიდი მსხვერპლი უნდა მიიტანოს, მაშინაც კი ეს არ იქნება ის მეორე ფრონტი, რომელიც ბოლშევიკებს მეორე ეტაპის განხორციელების პირობებს შეუქმნის. ნამდვილი მეორე ფრონტი ატლანტიკის ნაპირზე ჯარის გადმოსხმით და იქედან სამხედრო ოპერაციების დაწყებით უნდა შეიქმნეს. ქვეყანამ უწყის, რომ ატლანტიკის ნაპირი ძალზე გამაგრებულია და ინგლის-ამერიკისათვის ასეთი ნაბიჯი მეტად საბედისწერო იქნება; ეს ინგლისმა და ამერიკამ კარგად იციან და ამიტომაც ასეთ რისკზე ვერ მიდიან.

ამ რიგად ომის მეორე ეტაპის დავერიგება ბოლშევიკების წარმატებით განუხორციელებელი რჩება. საკუთარი ძალით, როგორც დავინახეთ, ბოლშევიზმი ამ მიზანს ვერ აღწევს; მოკავშირეები კი ამ საქმეში მას ჯეროვან დახმარებას ვერ უწყვენ.

მეორე ეტაპის შესრულებლობა თავისთავად გამოიწვევს ლაპარაკს მესამე ეტაპის შესახებ. მიუხედავად ამისა, საჭიროა აღვნიშნოთ ამ ეტაპის შინაარსი და, მა-

შასადამე, ბოლშევიზმის საბოლოო ბნელი მიზანი. ქართველი მკითხველისათვის ბოლშევიზმის ბუნება ცნობილია. ცნობილია აგრეთვე მის მისწრაფებათა და მიზანთა უცვლელობა, და თუ ამას მაინც აღვნიშნავთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ გავითვალისწინოთ ის ჯოჯოხეთი, რომელსაც ბოლშევიზმი უმზადებს მთელ კაცობრიობას.

„ჩვენ კომუნისტებმა ვიცით“, — ამბობს სტალინი ამ საიდუმლო ბრძანებაში, — „და ჩვენთან ერთად იციან ეს მთელი ქვეყნის მშრომლებმა, რომ ჩვენი მთავარი ამოცანა დაიწყება მაშინ, როდესაც ამ ომის მეორე ეტაპი საბჭოთა სამშობლოს განწმენდით ფაშისტურ ბანდებისაგან დასრულდება. მაშინ დაიწყება ჩვენთვის მესამე, უკანასკნელი და გადამწყვეტი ეტაპი ბრძოლისა, ეტაპი მსოფლიო კაპიტალის განადგურებისა. მეორე ეტაპში შესვლის მომენტში ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ მესამე ეტაპი. ჩვენ ეხლავე ზომები უნდა მივიღოთ, რომ კაპიტალისტურმა ქვეყნებმა ჩვენი საბოლოო მიზანი არ განსჭვრიტონ“. იგი განაგრძობს: „ჩვენი ერთად ერთი მიზანი არის და დარჩება მსოფლიო რევოლუცია, პროლეტარიატის დიქტატურა მთელ ქვეყანაზე, და როგორც მე მუდამ მესმომება ჩემი ფიცი, რომელიც მე დავდევი ჩვენი მასწავლებლის ლენინის კუბოსთან, ასევე არ უნდა დაივიწყოთ თქვენ ეს ფიცი... გახსოვდეთ მუდამ რომ ჩვენი მიზანია: მსოფლიო დიქტატურა პროლეტარიატისა“.

აი შინაარსი და მიზანი მესამე ეტაპისა, რომლის განხორციელებისათვის იბრძვის ბოლშევიზმი. ამ სატანური მიზნის განხორციელებაში მას შეგნებულად თუ შეუგნებლად დახმარებას უწყვენ კაპიტალისტური ქვეყნები, ვინაიდან მათი ბრძოლა გერმანიის წინააღმდეგ და მისი დამარცხება არის მომასწავებელი ბოლშევიზმისა და მსოფლიოში ქაოსის დამკვიდრებისა. საბედნიეროთ, ომის სამი ეტაპიდან ჯერ სავსებით განხორციელებულია პირველი ეტაპი, ეტაპი ბოლშევიკების დამარცხებისა, მათი ათასკილომეტრიან მანძილზე უკუქცევისა. დანარჩენი ორი ეტაპის განხორციელება — ბოლშევიზმის ოცნებაა და ეს ოცნება განუხორციელებელი დარჩება. ბოლშევიკები დაუზოგავად ჰგზავნიან ბრძოლაში თავის უკანასკნელ რეზერვებს. ამ მსხვერპლით ისინი ცდილობენ ბედის სასწორი თავის მხარეზე გადახარონ და მესამე ეტაპი, ეტაპი პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურისა განახორციელონ.

ამ ბნელ მიზანს ბოლშევიზმი ვერასოდეს მიაღწევს. ამის გარანტიაა მამაცი გერმანელი მხედარი და მისი მოკავშირე ერები. ამ კავშირში შესულია დღეს საქართველოც თავისი ლეგიონების ათასეულებით და იგიც იბრძვის ბოლშევიზმის ამ ბნელი მიზნის წინააღმდეგ, რათა განახლებულ ევროპაში სრული თავისუფლება და ბედნიერი მომავალი დაიმკვიდროს.

გრიგოლ რობაქიძე

გერა

პაოლო იაშვილის ღოგის მოგონება მაისში

თუჯურ ახვეწილ და გაშვეტილ ასპიდის ტანზე
მზე მეწამული გილოკავდა ჭრელ-თვალა ხალებს.
გავარდებოდი არქენილი ტორებით განზე —
თითქო კუნთებით არეკილით თასმავდი ალებს.

შენი თვალები—გადაჰკრავდა სხვა ფერი თვითოს:
ჟღალი და ლუში დამუქული ეგვიპტის ქვები —
შენი თვალები გახელებით იჭერდენ სვითოს,
გველი რომესვრის ყვითელ აღმურს ჯავარირქებით.

აღბათ გაიგე, რომ პაოლოს შაირი ჰგავდა
შენი ფერდების ფორაჯიან ხატულა ლაქებს —
თორემ ვიფიქრო: სხვა პატრონი არავინ გყავდა,
რომ მიეკედლე თავადებულს, ავარად ნაქებს!

უსმენდი ლექსებს: გეშლებოდა ხან ტაროს ხვავი,
ხან დადონდლილი საწნეხელში ყურძენის ტბორი.
ყალყზე დგებოდი უეცარი და ყეფა-ავი,
რომ ლექსებისთვის სიხალისით გაგერთუა ტორი.

მაგრამ მოხანმა უდარდელმა გიმეტა ეგზომ,
რომ გადახარე თავად ღოგის მზიანი ჰუნე —
დაიწყე თრევა კახპასავით ეზო და ეზო
და ფინიებში გატყაული ჩაძაღლდი მუნით.

ლამაზო გერა! ვიცი, ძაღლის წაილე წყენა.
ცრემლს ნუ მიჩვენებ, თუ გიყვარდე, ამასა გვერდი.
ვინ იცის, ეგებ შენი თრევა — მიყვილის ენამ? —
იყოს აგრეთვე მოშხამული ჩემი ძმის ხვედრი.

მიტოვებული, დავარდნილი ღვთის ანაბარად
ეგებ შენსავით იგი ერთხელ ჩაიქცეს ღრეში.
დაიტირებენ შენს პაოლოს კოლხეთის ბარად
ჟუჟუნა წვიმა ჩვენი ყანის და რბილი ხრეში.

დათუთქულ თვალებს დაედებასიმწუხრეცრემლის,
ხილვას შეირჩენს უკანასკნელს უსაგნო ცქერა.
იქნება იქვე ვით ყვავილი ქართული ტყემლის
სხვა სახელებში ერთი ჩუმი სახელიც: გერა.

მაისის პირველი, 1926 წელი
იბეჭდება პირველად.

შემოქმედების იმ მძიმე პირობების შედეგად, რომელ-
შიაც ჩაყენებული იყო საბჭოეთში მოწინავე მწერლობა,
1937 წლის აგვისტოში ტრალიკულად დაიღუპა უნიჭიერ-
ესი ქართველი პოეტი პაოლო იაშვილი. ს. ესენინის და
ვ. მაიაკოვსკის მსგავსად, თვითმკვლელობით დაამთავრა

სიცოცხლე მან, ვინც მთელი თავისი პოეტური აღმაფ-
რებით უმღერდა სიცოცხლეს და სამშობლოს.

როგორც მკითხველი დაინახავს, პოეტ — გრიგოლ
რობაქიძის ეს ლექსი მწვავე წინასწარ-მეტყველებით
აუხდა პოეტს პაოლო იაშვილს.

რედ.

სამხედრო მასალათა უდიდესი ჭიდილი

1943 წლის ზაფხულის დიდი ბრძოლა 5 ივლისს დაიწყო და დღემდის დიდი სიმძაფრით გრძელდება. დღეს უკვე აშკარად სჩანს, რომ ეს ბრძოლა ძალების ისეთი დაპირისპირებაა, რომლის მგზავსი ისტორიას არ ახსოვს. ამ ბრძოლის უმთავრესი სიმძიმის წერტილი ძვეს აღმოსავლეთში, ორიოლისა და ხარკოვის არეში და მის მოსაზღვრე დონეცისა და მიუსის ფრონტებზედ. უკვე ივნისის გასულს ამ არეებში შემჩნეული იქნა ბოლშევიკების დიდი მზადება ზაფხულის შეტევებისათვის.

აქ თავმოყრილი იქნენ ახალი არმიები, რომლებიც ბოლშევიკებმა ზამთრის ბრძოლების შემდეგ შეადგინეს და აღჭურვეს, და ისეთი უამრავი სამხედრო მასალა, რომ აღარავითარი ეჭვი არ იყო იმისა, რომ ბოლშევიკები დიდ იერიშებს ამზადებდნენ. რომ ეს საშიშროება თავიდან ყოფილიყო აცილებული, გერმანულმა სარდლობამ 4 ივლისს გაპზუებულმა გაპლერებულმა მზვერავი ნაწილები იმ ადგილებში, სადაც უნდა ყოფილიყო სიმძიმის წერტილი ბოლშევიკების მიერ წარმოებული იერიშებისა. 5 და 6 ივლისს გადავიდნენ გერმანული ჯარები ბელგოროდთან ძლიერ საწინააღმდეგო შეტევებზედ, რომელმაც სულ მოკლე ხანში მთელი აღმოსავლეთი ფრონტი მოძრაობაში მოიყვანა, საბჭოთა გეგმები ჩაშალა და თავს მოახვია მათ ისე გამცვეთი და დამღლევი ბრძოლები, რომლებიც არავითარ შემთხვევაში ბოლშევიკების ანგარიშში არ შედიოდნენ.

გადავიდნენ გერმანული ჯარები ბელგოროდთან ძლიერ საწინააღმდეგო შეტევებზედ, რომელმაც სულ მოკლე ხანში მთელი აღმოსავლეთი ფრონტი მოძრაობაში მოიყვანა, საბჭოთა გეგმები, ჩაშალა და თავს მოახვია მათ ისე გამცვეთი და დამღლევი ბრძოლები, რომლებიც არავითარ შემთხვევაში ბოლშევიკების ანგარიშში არ შედიოდნენ.

ამის შემდეგ ამ ბრძოლამ აღმოსავლეთში სახე ბევრჯერ იცვალა. უკვე დღეს შეიძლება აშკარად გავსჩიოთ შემდეგი ფაზები: პირველი ფაზა — გერმანული შეტევა ბელგოროდთან, რომელიც უნდა ყოფილიყო სათავე ზათხულის იერიშებისა,

რომელთა მიზანი ალბად გერმანული ხაზების გარღვევა იყო. მეორე ფაზა — გერმანული შეტევებით წარმოშობილი იერიშითი მოძრაობა საბჭოთა ჯარებისა. მესამე ფაზა — გერმანული საწინააღმდეგო შეტევა ბელგოროდის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით, განადგურება მრავალი ჯავშნოსან ჯარებისათვის დაგროვილ სამხედრო მასალისა. მეოთხე ფაზა — საბჭოთა იერიშები ორიოლთან. სასტიკი მოსაგერიებელი ბრძოლები. მეხუთე ფაზა — ბოლშევიკების იერიშები ყუბანში მოგერიებული იქნენ. ბოლშევიკების იერიშები შუა დონეცთან და მიუსთან მკაცრ ხასიათს იღებენ. მეექვსე და ეხლანდელი ფაზა — ბოლშევიკები ცდილობენ საზოგადოდ ყველგან აწარმოონ უდიდესი იერიშები. გერმანელები აწარმოებენ უდიდეს თავდაცვით ბრძოლას, რომლის განმავლობაში ისინი ცდილობენ სასტიკი და აქტიური საწინააღმდეგო ბრძოლებით განაგრძონ მტრის განადგურება.

ამ ფაზაში, ბელგოროდთან ბრძოლის შედეგი უკვე აშკარად სჩანს და მისი სტრატეგიული მნიშვნელობაც უკვე შეიძლება შეფასდეს. ცნობილი გერმანელი სამხედრო საეკიპლისტი ფონ შრამმი გერმანულ საწინააღმდეგო შეტევების შესახებ შემდეგს ლაპარაკობს: „ამ შეტევებმა მტრის იმდენი ძალები დაანგრის და იმდენი ჯავშნოსნები გაანადგურეს, ისე მოკლე დროში და შედარებით ვიწრო ადგილზედ, რომ ისტორიაში მზგავსი მაგალითის პოვა შეუძლებელია. მხოლოდ ბელგოროდის ნაკვეთში 4-დან 16 ივლისამდე, თითქმის ორ კვირაში განადგურებული იქნა მტრის 2108 ჯავშნოსანი. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ამავე დროში, ამავე ფრონტზედ მტერს დაეკარგა 190 ქვემეხი და 33000 მეომარი, რომლებიც ტყვედ იყვნენ წამოყვანილი, დავინახავთ, რომ მტრის მომქმედი ძალა ამ წარმატებითი შეტევების დროს სასტიკად იქნა დაზარალებული. ყველა ტაქტიკური და კარგა დიდი ნაწილი ოპერატიული მარჯათის, საბჭოთა არმიებისა, წინააღმდეგ მათი სურვილისა, ამ ბრძოლაში ჩათრეულნი და განადგურებულნი აღმოჩნდნენ“.



შუა დონეცთან და მიუსთან ბრძოლებმა აგრეთვე ფართო და მკაცრი ხასიათი მიიღეს. როგორც საპაერო ძალების მიერ გამორკვეული იქნა, ამ ბრძოლებში ბოლშევიკები უკვე ისვრიან თავიანთ მარჯაფებს, რაიც უდავოთ ამტკიცებს იმას, თუ რა ზარალი იწვინეს ბოლშევიკების ჯარებმა და სამხედრო მასალამ.

საბჭოების ზარალი დლიდან ამ ბრძოლების დაწყებისა სჭარბობს მათ ყველა დანაკარგს აქამომდე. 20 ივლისამდე დათვლილია 5500 განადგურებული ჯავშნოსანი, 2200 ხელში ჩაგდებული ან განადგურებულ ქვემეხი, 1100 მინების ანგრანატის მტყორცნი და 45000-ზე მეტი ტყვე. აღსანიშნავია დიდრიცხვი ტყვეებისა; ეს ტყვეები წამოყვანილნი იქნენ არა როგორც 1941 წ., როდესაც მთელი საბჭოთა არმიები რკალში ემწყვდეოდენ და ტყვეთ ვარდებოდენ არამედ ისინი მოცილებულ-იქნენ მთავარ ნაწილებს სასტიკი ბძოლების ვითარებაში. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ თავისი ნებით გადქოსულნი და ტყვეები თავიანთი ქვევით ნათლად ამტკიცებენ, რომ მათ აღარავითარი სურვილი არა აქვთ თავიანთი სისხლი დაღვარონ საბჭოებისათვის.

ქართველ ტყვეთათვის

დაიწყო თუ არა გერმანიის ომი საბჭოთა რუსეთთან, ქართულ ემიგრაციას აღეძრა იმედი, რომ საქართველოს კვლავ ბედი გაუღიმებდა, რაკი დიდმა გერმანიამ აღმართა მახვილი ბარბაროსულ ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად მალე წამოიჭრა საკითხი ქართველი ტყვეებისაც, რომელნიც, ძალად გაწვეულნი, კარგა დიდი რიცხვით მოექცნენ ტყვეობაში საბჭოთა დამარცხებულ ჯარებთან ერთად.

ომის გართულებულ პირობებისა და ემიგრაციის სიღარიბისა და სიმციროს მიუხედავად, ქართველობამ მოახერხა, ხელისუფლებასთან შეთანხმებით, ქართველ და საზოგადოთ კავკასიელ ტყვეთა გამოყოფა და გერმანიის ფართე მაშტაბის დახმარებაში თავისი წვლილიც შეიტანა.

დახმარების ინიციატივამ ევროპის ყველა ცენტრებში ერთდროულად იჩინა თავი ქართულ ემიგრაციის შორის და, შეძლებისდაგვარად, პრაქტიკული სახეც მიიღო. ზოგს ეღირსა ბედნიერება სრულიად გაენთავისუფლებინა ტყვეობიდან ქართველი ახალგაზრდობა და ჩაება სამოქალაქო თუ სამხედრო თავისუფალ საქმიანობაში, ზოგმა მოახერხა მორალური თუ ნივთიერი ძალების დაჭიმვა, რომ გაჭირვებულ მოძმეთ დახმარებოდნენ. ამ რიგად, ემიგრაციასა და, ტყვეთა შორის თავიდანვე ბუნებრივი სულიერი ერთობა ჩამოვარდა და ძმებმა, ერთმანეთი არა მარტო ვიცანით, არამედ გავამხნევეთ და გავახარეთ... რამდენადაც ამის შესაძლებლობა გვქონდა.

თუ რა გაკეთდა პრაქტიკულად ტყვეების განთავისუფლებისა და დახმარებისათვის, ამის შესახებ ალბად ჩახედული პირნი თავის დროზედ მიაწვდიან ქართველ საზოგადოებას სათანადო ცნობებს. დღეს კი მოკლედ აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს:

1942 წ. 15 მარტს პარიზის „ქართველ ქალთა კომიტეტის“ ინიციატივით პირველად მოხერხდა მოწვევა კრებისა, რომელმაც — ყოველი პოლიტიკის გარეშე — აიღო თავის თავზე ზრუნვა „ქართველ ტყვეთათვის“, მიმართა საზოგადოებას მოწოდებით და შეუდგა ფულადსა თუ საგნობრივ საშუალებათა შეგროვებას. წინანდელ პატარ-პატარა დახმარებათა შემდეგ, მკათათვის გასულს გაიგზავნა ბერლინში კომიტეტის რწმუნებული, რომელმაც ჩაიტანა ტყვეთათვის, პირველი ამანათები, დაახლოვებით ასი ათასი ფრანკის (უდრის 5.000 მარკის) ღირებულებისა. თანდათან გაცნოველდა მოქმედება ბერლინის „ქალთა კომიტეტისა“, ბრიუსელის „ქალთა კომიტეტისა“, და აგრეთვე პრაგისა (ა ვარშავის კომიტეტებისა. მათ შორის გაიბა კავშირი, გამრავლდა უხვი შემოწირულება ღარიბი ქართული კოლონიებისა თუ ცალკე ემიგრანტებისა, იმატა დახმარების მიმღებთა რიცხვმაც.

აქედან მოყოლებული, — ერთი წლის განმავლობაში, — ე. ი. 1943 წ. 15 მარტამდე დაურიგდა ქართველ ტყვეებს დაახლოვებით 75.000 მარკად ღირებული საჭირო ნივთი (ტანისამოსი, საცვალი, საპონი, ვიცამინები, წამლეულობა, წინდები, თბილეულობა, საპარსი და მოსაწვევი მოწყობილობა, კბილის ჯაგრი, ხელსახოცი, პირსახოცი და სხ. და სხ. წვრილანი საჭურჭრები).



სოლ დარიგა - 7000-ზედ მეტი ნაჭერი და გა-
ნაწილდა 2000-ზე მეტ პირთა შორის. გარდა ამისა,
საექიმო დახმარება გაეწიათ ავადმყოფებს; ტყვები-
სათვის მოეწყო გასართობები; შეძენილ იქნა წიგ-
ნები; ფეხბურთისა და სხ. სათამაშოებისათვის საჭი-
რო ინვენტარი.

ეს მუშაობა გრძელდება შეუწყვეტლივ და
დღეისათვის შემოწირულების ღირებულებამ (ფუ-
ლად, საგნებით თუ საქონლით) გადაამეტა (100.000
მარკას) და იმ ტყვეთა რიცხვი, რომელთაც დახმა-
რება გაეწია „ქალთა კომიტეტების“ კავშირისაგან

და სხ. ორგანიზაციისა, თუ კერძო პირისაგან, მრავალ ათასს აღემატება, მაგრამ ტყვეთა რიცხვი, რომელთაც კვლავ დახმარება ეჭირებათ გაცილებით მეტია. ემიგრაციის დახმარება ჯერჯერობით წვეთია ზღვაში. ამიტომ, მაღლობასთან ერთად აქამდე გაღებული შეწირულებისათვის, კვლავ მივმართავთ საზოგადოებას, ყველა კომიტეტებს, ორგანიზაციებს, თუ კერძო პირებს, — ნუ დაიშურებენ თავიანთ წვლილს ქართველ ტყვეებისათვის კვლავა და კვლავაც.

რ. გაბაშვილი

ახალი ევროპის საფუძვლები

ახალი ევროპის ჩასახვა უკვე ფაქტია ჩვენთვის. ის ეკონომიური და პოლიტიკური კავშირები, რომლებითაც ევროპის სხვა და სხვა ქვეყნები ერთმანეთს გადაებნენ, ამას ცხადჰყოფს. ასეთ განვითარებას ჩვენ ვამჩნევდით ევროპაში ამ მსოფლიო ომის წინეთაც. ამ ომმა მხოლოდ დააჩქარა ახალი ევროპის შექმნის პროცესი. ფაქტურად დღეს ევროპა, როგორც ერთი ეკონომიური მთელი, მუშაობს თავისი ეკონომიური რესურსებით და უმთავრესად კი მისი სამუშაო ძალით ევროპის გამარჯვებისათვის, ვინაიდან ის კარგად გრძნობს, რომ ევროპის დამარცხებას ამ მსოფლიო ჭიდილში მისი დეკადანსი მოჰყვება. უფრო მეტიც! ან დამარცხებას აუცილებლად მოჰყვება რუსული ბოლშევიზმის გაბატონება თავისი ტერორით, სამოქალაქო ომით, რაც უარესი იქნება, ვიდრე ეს მსოფლიო ომი.

ამ საფრთხეს ევროპა, როგორც მთელი, ინსტინქტიურად გრძნობს, და ეს ფაქტორი, ბუნებრივია, უდიდეს როლს თამაშობს ევროპის კონსოლიდაციისათვის.

ევროპის გაერთიანების პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომის დროს 1914 წლიდანვე. ეს გაერთიანება სწარმოებდა ჯერ მხოლოდ ცენტრალური ევროპის ფარგლებში. ამ პროცესს ხელი შეუშალა გერმანიის დამარცხებამ და შემდეგ ვერსალის ხელშეკრულებამ, რომელმაც ხელოვნურად დაასუსტა გერმანია, ეს ხერხემალი ევროპისა, ჩამოაცალა რა მას თითქმის 20 მილიონი მოსახლეობა, დაადო ასტრონომიული ციფრებით გამოსათქმელი სარეპარაციო გადასახადი, 350 მილიარდი მარკა, რომლის მხოლოდ პროცენტები წლიურად უდრიდა 12 მილიარდ მარკას. ეს ზომები იყო მიმართული არა მარტო გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური დასუსტებისაკენ, არამედ აგრეთვე ევროპაში დაწყებული გამაერთიანებელი მოქმედების წინააღმდეგ. იმჟამად მიმართული არა მარტო გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური დასუსტების მიზნით, არამედ აგრეთვე ევროპაში დაწყებული გაერთიანების წინააღმდეგ, იმ ჟამად

ინგლის-ამერიკამ მიახწიეს თავის მიზანს. ევროპაში გაბატონდა ამერიკის დოლარი და ინგლისის გ. სტერლინგი. ამის შედეგი იყო გერმანიის ფულის ინფლაცია, როდესაც უცხოელს შეეძლო ცხოვრება გერმანიაში 4 დოლარად ან 1 გ. სტერლინგად თვეში. საუკეთესო სახლის შეძენა შეიძლებოდა რამოდენიმე ათეულ გ. სტერლინგად. ეს ხანა იყო, კაცობრიობის სამარცხვინოდ, გერმანიის ხალხის, უმთავრესად მისი მშრომელი ნაწილის, ტოტალური გაყვლევისა. და განა ვინმეს შეუძლია სთქვას, რომ გერმანიას არ ჰქონდა უფლება ამ საშინელ, სამარცხვინო მდგომარეობას შებრძოლებოდა?

აქ საინტერესო ის არის, რომ ამ დროს გაბატონებული იყო გერმანიაში დემოკრატია, თვით ეგრედ წოდებული სოციალ-დემოკრატია. და ვინ სცარცვავდა და ვინ შეუქმნა ასეთი მდგომარეობა გერმანიის ხალხს? ვინ ასუსტებდა თვით ამ დემოკრატას? იგივე ინგლის-ამერიკის „დემოკრატია“! ბოლშევიზმზე ჩვენ ხომ არაფერს ვამბობთ! აქ აღარ იყო ლაპარაკი საერთაშორისო დემოკრატის სოლიდარობაზე, არც „მუშათა კლასის“ საერთო ინტერესებზე. ლოზუნგმა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ჩაილულის წყალი დალია. ფსიხოზი გერმანიის ხალხის ქონებრივად გაძარცვისა ისე შორს იყო წასული, რომ თვით სოციალური მუშათა კონგრესები, მუშათა პროფესიონალური გაერთიანების ყრილობებიც კი ვერ იღებდენ ვაბედულად ხმას ამ სამარცხვინო მოვლენის წინააღმდეგ. ისინი კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ უსუსური რეზოლუციებით, რომელსაც ესა თუ ის კონგრესი მიიღებდა ხოლმე ცხარე და მრავალი დავის შემდეგ. სწორედ ამ დროს ეკუთვნის გერმანიაში ამ სამარცხვინო მდგომარეობის წინააღმდეგ ბუნებრივი რეაქციის შედეგად გამოსული ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო გერმანიის ხალხის სამართლიან უფლებების ენერგიულად დაცვისაკენ. თუ ერს უნდოდა სიცოცხლე და არა სიკვდილი, ის უნდა ამხედრებულიყო ასეთი დამამცირებელი უღლის, ასეთი ყაჩაღური



ზომების წინააღმდეგ, და ხალხი უნდა გაჰყოლოდა იმას, ვინც უფრო ენერგიულად, გადაჭრით და უკომპრომისოდ მოუწოდებდა გერმანიის ხალხს ამ უღლის გადასაგდებად. ეს კი იყო ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობა და პირველ რიგში ამ ეროვნულ მოძრაობის ბელადი ადოლფ ჰიტლერი.

მოულო რა ბოლო ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიურ დამონებას და მოაწესრიგა რა შინაური საკითხები, გერმანიაში გამარჯვებული ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობა ენერგიულად შეუდგა ახალი ევროპის კონტურების გამოსახვას. ამით ზღვარი დაედო ამ მისწრაფებას, რომელსაც 400 წლის ისტორია აქვს, როცა ევროპა ფიქრობდა, რომ ოკეანეს გადაღმა ქვეყნების — კოლონიების შექმნის საშუალებით შეეძლო მხოლოდ წინ-სვლა და აყვავება.

ამ ახალი ევროპის მტრად გამოდის სამი სახელმწიფო: საბჭოთა კავშირი, ინგლისი და ამერიკა. ამ სამი სახელმწიფოს ინტერესს შეადგენს დასუსტებული და გათიშული ევროპა. ყველა ამ სახელმწიფოებს, რასაკვირველია, თავისი განსაკუთრებული მიზნები ამოქმედებს. ამიტომ დღევანდელი ბრძოლა, სინამდვილეში, ევროპის ბრძოლაა თავისი პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის, რომელიც თავის მტრებს, პლუტოკრატიულს და ბოლშევიკურ ძალებს, ახალ სოციალურ წესრიგს უპირდაპირებს.

აქ ისმება საკითხი: შეუძლია თუ არა ევროპას თავის თავის გამოკვება, დამოუკიდებელი ეკონომიკის წარმოება? ამ საკითხზე ჩვენ დადებითად უნდა ვუპასუხოთ, ვინაიდან იმ გეგმებიდან, რომლებიც გამოიმუშავეს ევროპის ქვეყნებმა: რუმინეთმა, უნგრეთმა, საფრანგეთმა, ნორვეგიამ, პოლანდიამ და სხვებმა, ნათლად სჩანს, რომ ევროპას ძალიან ადვილად შეუძლია საგრძნობლად აწევა თავისი სასოფლო ნაწარმოებისა. მარტო საფრანგეთს, თანახმად გამოქვეყნებული გეგმისა, განზრახული აქვს წლიურად ოთხი მილიონი ტონა ხორბლეულობის მოყვანა. ის ხომ ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ, ვინაიდან მსოფლიო ბაზრის ხორბლეულობის ფასები ხელოვნურად მდბალ დონეზე იყო დაწეული, რუმინეთს და აგრეთვე სხვა აგრარულ ქვეყნებს ევროპაში არ შეეძლოთ განეითარებინათ სოფლის მეურნეობა. ძველ ევროპაში ადგილი ჰქონდა ისეთ პარადოქსალურ მოვლენებს, როცა ინდუსტრიალურ ქვეყნებს არა აქვე, ევროპაში მყოფი აგრარული ქვეყნებიდან შემოჰქონდათ სასოფლო ნაწარმოები, არამედ ოკეანეს გადაღმა ქვეყნებიდან. ეს დამოკიდებულება ევროპისასოფლიობაზრისაგან ისე შორსმიდიოდა, რომ მეორე აგრეთვე გასაკვირვებელ მოვლენას ჰქონდა ადგილი. იმ დროს, როდესაც ევროპაში ჯერ კიდევ მოიპოვებოდა საკმარისი დარგები და შესაძლებლობა მათი პროდუქტიული ამოქმედებისა; მილიონობით უმუშევარი უიმედოთ სამუშაოს უცდიდნენ. თუ რამდენად წმინდა კაპიტალისტური ექსპლოატაციის საგნად იყო მთელი ქვეყნები გადაქცეული, ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა რუმინეთის მდგომარეობა.

რუმინეთის მთელი ინდუსტრია პრაქტიკულად მუშაობდა უცხო, ოქროს მქონე სახელმწიფოების ვალების დასაფარავად. 1938—39 წლების მთელი სახელმწიფო შე-

მოსავლის ერთი მესამედი ხმარდებოდა ამ ვალების დაფარვას. უკანასკნელი ამ ქვეყნიდან საქონლის გატანის წესით სწარმოებდა და 1932 წელს შეადგენდა რუმინეთის გარეშე ვაჭრობის 280/0. რა საეაზმო სარგებელს იხდიდა რუმინეთი უცხო კაპიტალის სასარგებლოდ, იქიდან სჩანს, რომ 1936 წელს მისი უცხო ვალი შინაურ ვალზე ცხრაჯერ მეტი იყო. სარგებელს კი იხდიდა ხუთმეტჯერ მეტს.


ნორვეგიაც ისე იყო დამოკიდებული ინგლისისაგან, რომ თავისი საუკეთესო შესაძლებლობანი წყლის ენერჯისაგან განავითარა, ვინაიდან ინგლისი დაინტერესებული იყო, რომ ნორვეგიას მისი ქვა-ნახშირი ეხმარა თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. შეიძლება ითქვას, რომ მთლად ევროპა და განსაკუთრებით სამხრეთ ევროპა ფინანსიური კაპიტალის ბრჭყალებში იყო მოქცეული. გერმანია რა ყოფაში იყო ჩვენ ზემოდ დავინახეთ, ვიდრე ნაციონალ-სოციალისტურმა ხელის-უფლებამ არ განათავისუფლა იგი ასეთი უღლისაგან. იტალია ხომ უკვე 1922 წელს, ფაშისტური ძალის გაბატონებასთანვე შეებრძოლა ასეთ ფინანსურ და ეკონომიურ დამონებას. ასეთი იყო ევროპის სურათი ამ ომის წინ.

ახალი ევროპის უმთავრესი იდეა, და აგრეთვე მისი მოკლე დროის პრაქტიკა რას გვიჩვენებს? რა საფუძველზე უნდა აშენდეს იგი და ნაწილობრივ უკვე შენდება?

უმთავრესი საფუძველი ახალ ევროპისა არის ცნობა ერთა მიერ ერთი-მეორის ინტერესებისა, ანუ, უფრო პროზაულად რომ ვთქვათ: შესაძლებლობა საკუთარი ნაწარმოების გასაღების და საქირო საგნების შემოტანის, ამ შესაძლებლობის სამართლიანი პრინციპებით უზრუნველყოფა. და ეს ხომ იგივე ეროვნული-სოციალისტური პრინციპია, რომელიც ერს მთლიან სხეულად სახავს, ერთი ინტერესებით მომქმედს, რომლისათვისაც მისი შემადგენელი ნაწილები ერთნაირად ძვირფასია. აი ეს სალი პრინციპი უდევს საფუძველად ახალი ევროპის იდეას. ევროპა წარმოდგენილია აქ ერთ სამეურნეო ერთეულად. ამიტომ ყველა შემავალი ნაწილი ამ ერთეულისა ერთნაირად დაინტერესებულია სხვა ნაწილების ყოველნაირ აყვავებაში. რამდენად ძლიერია თვითეული ნაწილი, იმდენად ჯამი ყველა შემავალ ნაწილებისა, ე. ი.

—**ევროპა** ძლიერია ყოველ მხრით. აქ შეუძლებელია ერთის მეორის მიერ დაჩაგვრა, დამონება, მისი ეკონომიურ-პოლიტიკური უკან დაწევა, რათგან ერთი რომელიმე წევრის უკან დახევა ავადმყოფ მდგომარეობაში ჩააყენებს, აუცილებლად ზიანს მიაყენებს მთელს, მასასადამე მის ძლიერ ნაწილსაც. გერმანიის პრესის შეფის დიტრიხის თქმისა არ იყოს: „გერმანიამ თუ თავის შიგნით სოციალური სამართლიანობის პრინციპი წამოაყენა და უკიდურეს კონსეკუენცამდე გაატარა ცხოვრებაში, მას არ შეუძლია ეროვნებებთან დამოკიდებულებაში სხვა პრინციპით იხელმძღვანელოს“.

მეორე ადგილს დიტრიხი ამბობს: „ინგლისის პრინციპია: „ჩაიღინე თუ გინდა უსამართლობაც, თუ ეს სასარგებლოა ინგლისისათვის“. ეროვნული სოციალიზმი აყენებს ამის საწინააღმდეგო პრინციპს: **უფლება წინ უძღვის ძალას**. სახალხო სახელმწიფო, რომელიც წარმოშვა ეროვნულმა სოციალიზმმა, არ შეიძლება იყოს დამონებელი



სხვა ერისა, ვინაიდან მან თავის შიგნით მოსპო ყოველივე უპირატესობანი დაბადებისა, წოდებისა და მდგომარეობისა. ყველას აქვს თანაბრად საშუალება და შესაძლებლობა, თანახმად თავისი უნარიანობისა, ცხოვრებაში წინ სვლის, ცხოვრების გზაზე გამარჯვების. და თუ ეს პრინციპი სახელმწიფოს შიგნით ინტერესთა ჰარმონიას ჰქმნის სხვა და სხვა ნაწილთა შორის, ამასვე განახორციელებს ის ხალხთა შორის ურთიერთობის სფეროში. მხოლოდ ცნობას ამ უნარიანობის პრინციპისა შეუძლია ძალმომრეობის მაგიერ ხალხთა და ერთა შორის მშვიდობიანი შეჯიბრების პრინციპის გაბატონება“.

ამ პრინციპიდან გამომდინარეობს უკვე პრაქტიკული საქმიანობა, რომელსაც დღევანდელი გერმანია ევროპის მრავალ ქვეყნებთან აწარმოებს.

თუ თვალს გადავავლებთ იმ ეკონომიურ ხელშეკრულებათ, რომელნიც ნაციონალ-სოციალისტურმა გერმანიამ დასდვა უმთავრესად სამხრეთ ევროპის ქვეყნებთან, როგორც ბულგარეთთან 24 ნოემბერს 1933 წელს, იუგოსლავიასთან 1 მაისს 1934 წ., ჩვენ დავრწმუნდებით, რომ გერმანიამ გამონახა ერებთან და სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაში სამართლიანი და ამავე დროს მიზანშეწონილი პრინციპები. ამ ხელშეკრულებათა მთავარი აზრი ის იყო, რომ გერმანია იძენდა ამ ქვეყნებრიდან სასოფლო ნაწარმოებს ისეთ მაგარ ფასებში, რომელიც სოფლის მეურნეობას საშუალებას აძლევდა მკვიდრ საძირკველზე დამდგარიყო და სარგებლის მომტანი შექმნილიყო. სამხრეთ ევროპის ქვეყნების სოფლის გამაგრება, მათი შემოსავლიანობა პირდაპირ გერმანიის ინტერესს შეადგენს, რათგან ეს თვით გერმანიას ხდის დამოუკიდებლად ოკეანეს გადაღმა ქვეყნებიდან. ამ ხელშეკრულებათა გამოქვეყნების შემდეგ იუგოსლავიის პრესა აღნიშნავდა იმ დროს, რომ ეს იუგოსლავიისათვის სრულიად მოულოდნელი რამ იყო.

ამ ხელშეკრულებებს მოჰყვა ის, რომ უკვე 1937 წელს რუმინეთის, ბულგარიის, უნგრეთის და იუგოსლავიის ხორბლეულობის რაოდენობამ წლიურად 10 მილიონ ტონამდე აიწია. მაგრამ ყველაზე სწორი გამომხატველი ახალი ევროპის სახელმწიფოთა შორის ეკონომიური დამოკიდებულებისა ის ხელშეკრულებაა, რომელიც რუმინეთის და გერმანიას შორის დაიდვა 1940 წელს, 4 დეკემბერს. ეს ხელშეკრულება იმდენად დამახასიათებელია და ჩვენთვის, ქართველებისათვის, მომავალში სასარგებლო, რომ მე მომყავს იგი მთლად. ეს ხელშეკრულება შეიცავს 10 მუხლს, 10 წლის ვადით არის დადებული. აი ეს მუხლები:

1. გერმანიით აძლევს რუმინეთს 10 წლიანი გეგმის ცხოვრებაში გასატარებლად მთელი ამ დროს განმავლობაში განუწყვეტლივ კრედიტს განსაკუთრებულ პირობებში.
2. გაგრძელებულ იქმნას უკვე არსებული ხელშეკრულება სასოფლო და სატყეო პროდუქციის ასაწვად. ამ მიზნით გერმანია მიცემულ კრედიტის ფარგლებში გამოუგზავნის საკმარის მანქანებს და ყოველივე ხელ-საწყოს, აგრეთვე აძლევს ყოველივე დახმარებას ჭაობების ამოშრობასა და წყალსადენი მიწების გაყვანაში.

3. რომ რუმინეთის ინდუსტრია სათანადო სიმაღლეზე ავიდეს, გერმანია აღუთქვამს, რუმინეთის ინდუსტრიალურ წრებთან შეთანხმებით, ყოველივე ტექნიკურ და ფინანსიურ დახმარებას.

4. რომ რუმინეთის რკინის გზების ქსელი, აგრეთვე შარა გზები და ნავთ-სადენი მიწები სათანადო სიმაღლეზე აყვანილ იქმნას, გერმანია აძლევს ამისთვის მრავალ საჭირო საშუალებათ.

5. გერმანია მზათაა განზრახულ კრედიტის გარეშე დამატებითი კაპიტალი დაუთმოს რუმინეთს მისი ინდუსტრიის, ბანკების და გამსესხებელ ამხანაგობების ასაყვავებლად.

6. ორივე ქვეყნის მთავრობანი იზრუნავენ იმისათვის, რომ, ისე როგორც გერმანიის ბაზარი რუმინეთის ნაწარმოებისათვის ეკონომიურ კრიზისებისაგან დაცული იქნება, აგრეთვე რუმინეთის ბაზარი გერმანიისათვის სტაბილური დარჩება და მათი მნიშვნელობა დროთა განმავლობაში უფრო გაიზრდება.

7. გერმანიის მთავრობა გამოუგზავნის სასოფლო მეურნეობისათვის, ინდუსტრიისათვის, და სხვა დარგებისათვის საკმარის სპეციალისტებს, თანახმად რუმინეთის მთავრობის სურვილისა.

8. ორივე ქვეყნების მთავრობები სიამოვნებით აღნიშნავენ, რომ გერმანია-რუმინეთის საერთო მუშაობა ყოველ დარგში უკვე დაიწყო და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ეს ფრიად ნაყოფიერი მუშაობა კვლავაც განაგრძონ ორივე ქვეყნების საკეთილდღეოთ.

ეს კეთილდღეობა რუმინეთისათვის, ამ ორ-ნახევარ წლის განმავლობაში ცხადი შეიქნა. ამას წინათ ქალაქ ბუქარესტის თვით-მართველობამ მოიწვია მთელი ევროპის მთავარი ხელმძღვანელები მიწის გაზისათვის (ერდ-გაზ) გაყვანილ მიწების და ელექტრონის ქარხნების დასათვალისწინებლად და გასაცნობად. მრავალ ბუნებრივი სიმდიდრით დაჯილდოებულ რუმინეთს, რომელსაც აქვს ნავთის წყაროები, წყლის ძალა, ხე-ტყე, ნახშირი და „განსაკუთრებული გაზი“ (ზონდერგაზ) ახლა მოემატა, მიწის გაზის მოხმარებით, უდიდესი სიმდიდრე, რომლის სწორი გამოყენება არა მარტო რუმინეთის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს, არამედ მეზობელ ქვეყნებსაც მისცემს მათი სარგებლობის საშუალებას.

ეს მიწის ქვეშ არსებული გაზი იმყოფება ზიბენბიურვერის მაღლობის სივრცეზე. მეცნიერების დასკვნით, მისი რაოდენობა 600 მილიარდ კუბიკურ მეტრს შეადგენს. მისი მარაგი გასწვდება რამოდენიმე ასეულ წელიწადს. ამ ჯამად უკვე გამოყვანილია გაზსადენი და ამ გზით სარგებლობენ შემდეგი ქალაქები: შესბურგი, ჰერმანსტადტი, კრონსტადტი და ფავარაში. დაწყებულია და ჩქარა დამთავრდება გაზსადენის გაყვანა რუმინეთის დედა-ქალაქ ბუქარესტამდე. გაზ-სადენის სიგრძე 350 კილომეტრი იქნება. ბუქარესტის მოდერნულად მოწყობილი ელექტრონის ენერჯის ქარხანა ახლა სარგებლობს მიწის გაზით, მისი ტურბინები აღარ საჭიროებენ ნავთს ან ქვანახშირს. ამის გამო მარტო ქალაქ ბუქარესტს ენახება წელიწადში 120 ათასი ტონი ნავთი.



რუმინეთის თითქმის მთელი მოსახლეობა სარგებლობს ახლა ამ გაზით. ამას უნდა დაეუმატოთ ისიც, რომ ამ ბოლო დროს **მატაჰან-გაზის** ქიმიური გამოკვლევის შედეგად დიდი მიხვევებია აღნიშნული, რაც ინდუსტრიას მთელ რიგი დარგების აყვავების შესაძლებლობას უქმნის. ეს ქიმიური გამოკვლევანი უმთავრესად გერმანიაშია წარმოებული, გერმანიიდანვე გაიგზავნა რუმინეთს გაზ-სადენისათვის სპირო მილები და სხვა მასალები, ზემო მოყვანილ ხელშეკრულების თანახმად. როგორც ვხედავთ, გერმანია-რუმინეთის თანამშრომლობა ეკონომიურ დარგში და ისიც ამ მსოფლიო ომის პირობებში, პატარა ქვეყნისათვის დიდად სასარგებლო აღმოჩნდა და რუმინეთის და მისი ხალხის წინაშე ახალი საუცხოვო პერსპექტივები გაშალა. ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებიდან ნათლად გამოსკვივის ის გზები, რომლითაც მიიმართება ახალი ევროპა. თუ დაახლოვებით ასეთივე თანამშრომლობა განხორციელდება ევროპის დიდსა და პატარა ქვეყნებს შორის, მივიღებთ ახალ ევროპას ეკონომიურად მტკიცეს და ძლიერს. ქვეყნების სამართლიანი და თანასწორი სარგებლიანობა ეკონომიურ დამოკიდებულებაში არის ახალი ევროპის ეკონომიკის დედა-ბოძი.

ახალ ევროპის მეორე საფუძველი არის ის, რომ, თუ აქამდე მისი თვითეული სახელმწიფო გარეშე ქვეყნებთან ცალკე ურთიერთობაში იყო, ახალი ევროპის ოჯახი, როგორც ერთი დიდი ეკონომიური ერთეული, იაუპირდა-პირდება ოკეანეს გადაღმა ალბათ ასეთსავე დიდ ეკონომიურ ერთეულს. ის წარსდება მასთან **მ ვ რ ო პ ი ს** ყველა ერთა საერთო ინტერესების წარმომადგენელად. ცხადია, რომ ამ დიდ ეკონომიურ ერთეულს უკეთესად და ნაყოფიერად შეეძლება დაიცვას საერთო ეროვნული ინტერესები. სანთლითაც რომ ვეძებთ, აქ იმპერიალიზმის ჩანასახსაც ვერ ვნახავთ. და სწორედ გასაოცარია, როცა ევროპის განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურ სახელმწიფოებს „იმპერიალისტობას“ სწამებენ. პირიქით! ნამდვილად ძველი ევროპის მდგომარეობის გაუქმების შიში ამოქმედებს, სხვათა შორის, ამერიკას და ინგლისს, როცა ასე სამკვდრო-სასიცოცხლოთ გადაეკიდნენ ევროპის ახალი იდეების მატარებელ გერმანიას. მათ კარგად იციან, რომ ახალი ევროპის გაყვლეფას ისე ადვილად ვეღარ შესძლებენ.

პოლიტიკური სახე ევროპისა გამომდინარეობს, იმ ეკონომიური ურთიერთობიდან, რომელსაც ახალი ევროპა იმუშაებს და ნაწილობრივ უკვე ცხოვრებაში ატარებს. რასაკვირველია, ჯერ ეს მუშაობა არაა დასრულებული. დღევანდელი მსოფლიო ომი ერთი მხრით თუ აჩქარებს ამ პროცესს, მეორე მხრით ამ ტიტანური ომის მოთხოვნილებები და თვით ომის ტოტალური ხასიათი ამ პროცესის ნორმალურ განვითარების სახეობას ხშირად არა-სასურველ გამოხატულებას აძლევს.

ჩვენთვის ქართველობისათვის, ისმება საკითხი: რა დამოკიდებულებაში იქნება ჩვენი ქვეყანა კერძოდ და საერთოთ კავკასია ახალ ევროპასთან? შევა თუ არ იგი ევროპის სამეურნეო და პოლიტიკურ მოცულობაში? ჩვენ-და საბედნიეროდ, სამეცნიერო და კვლევა-ძიების საზოგადოება, როგორც არის „**ევროპის მეურნეობის დაგეგმვის და დიდ-სამეურნეო მოცულობის საზოგადოება**“, სადაც თანამშრომლობენ ევროპის თითქმის ყველა ქვეყნების გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტები, თავის კვლე-

ვა-ძიებით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კავკასია თავის მდგომარეობით ევროპას ეკუთვნის და რომ ის მომავალ ევროპის ერთ ნაწილს შეადგენს.

ამრიგად ჩვენ ქვეყანას უდგება ბედნიერი დღე, როდესაც თავის ისტორიულ ლტოლვას ევროპისაკენ ხორცი ესმება. წარსულში ჩვენი ქვეყანა, მტერთაგან შეწუხებული, ევროპისაკენ იხედებოდა და მასთან კავშირის დასაქერად თავის დესპანებს აგზავნიდა.

თუ ჩვენი ქვეყნის ევროპის სფეროში შესვლა ვერ მოხერხდა მაშინდელი ევროპის პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობის და აგრეთვე გეოგრაფიული სიშორის გამო, დღეს სურათი რადიკალურად შეიცვალა. დღეს ევროპა ტენზიკის მაღალ საფეხურზედ ასული, დღევანდელი გაადვილებული სწრაფი მიმოსვლის საშუალებით ჩვენს ქვეყანას საგრძნობლად დაუახლოვდა; მისი მეზობელი გახდა.

შავი ზღვა შემაერთებელი ხილია ევროპისა და აზიისა, ხოლო მისი ჩრდილო-დასავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი სავსებით ევროპას ეკუთვნის. ბათუმიდან კონსტანტამდე გზა უდრის 1.050 კილომეტრს. ქალაქ გორსკამდე, მდინარე დუნაის შესართავთან 1.000 კილომეტრს (ორივე რუმინეთის ქალაქებია). ამ მანძილის გადალახვა ჰაერით შესაძლებელია 2 საათის განმავლობაში, გემით ერთი დღის სავალი გზა, ანუ დაახლოვებით, იმდენივე, რაც ბათუმიდან ბაქომდეა სპირო. ჩვენი ქვეყანა ხომ მისი შავი ზღვის ნაპირით, ე.ი. ბათუმიდან სოჭამდე, 450 კილომეტრის მანძილზე უშუალოთ ევროპას ეკვრის. ამიტომ, ყველა შემთხვევაში საქართველო **ბ მ ი მ რ - კ ა ნ მ კ ა ს ი ი ს დ ა ს ა ვ ლ მ ი ი** ერთობ ევროპის მოცულობაში შედის. ამ გეოგრაფიული მდგომარეობით აიხსნება, რომ საქართველომ ასე ადვილად მიიღო ევროპა-ბიზანტიის იმ დროის ახალი კულტურულ-მორალური მოძღვრება — ქრისტიანობა, რომელმაც ის კულტურულად და სულიერად საქრისტიანო ევროპის ოჯახის წევრად გახადა. ეს კულტურული და აგრეთვე ეკონომიურ-პოლიტიკური დამოკიდებულება ძალიან მჭიდრო იყო მრავალ საუკუნეთა გასწვრივ; და ეს გაგრძელდა 1453 წლამდე, ე.ი. ვიდრე კონსტანტინეპოლის დაცემამდის, რის გამო ჩვენი ქვეყანა სრულიად მოსწყდა ევროპას. მონგოლთა შემოსევით საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარება ერთი დაკვრით შეწყვეტილი იქმნა, მაგრამ უეჭველია საქართველო მაინც მას შემდეგ კვლავ ფეხზე წამოდგომას, რომ იგი თითქმის 350 წლის განმავლობაში არ ყოფილიყო მოწყვეტილი ევროპას. რუსეთის საშუალებით ამ შეწყვეტილი კავშირის აღდგენა 1801 წლიდან არ იყო ევროპასთან უშუალოდ დამოკიდებულების აღდგენა. პირიქით, რუსეთთან კავშირის მრავალი თავისი უაღრესად უარყოფითი მხარე ჰქონდა.

მხოლოდ ეხლა უხდება ჩვენ ქვეყანას, თითქმის 470 წლით შეწყვეტილი თავისი ისტორიული გზის გაგრძელება და ეს ხდება ახალი ევროპის საშუალებით, მისი ახალი მორალით, კულტურულ და ეკონომიურ-პოლიტიკური იდეების საფუძველზედ. ამიტომაც, რომ ქართველი ერის ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ ახალი ევროპის იდეის დროშის ქვეშ შემოკრებილ სხვა კულტურულ ხალხებთან ერთად გამარჯვებას გვარგუნებს და დასახულ წმინდა ეროვნულ მიზანს მიგვანწევინებს.

დ. თბილისელი

„ახალგაზრდებს გზა ხსნილი აქვთ ყველგან ჩვენში“

თბილისი. 1942 წელია. ომი მძვინვარებს. შევ-
დივარ „საზოგადო სასადილოში“, მუშაობით დაღ-
ლილი, მშვიერი. ერთ-ერთ კუნჭულში ადგილსაც
ვიჭერ...

რამდენიმე ბიჭი — სულ ბავშვი, დაგლეჯილი,
დაუბანელი, გაწეწილი დაძვრება სუფრიდან სუფ-
რამდე, მსუნაგად იტაცებს და სკამს ნასადილევი
სტუმრების მკლავსასუფრალს. სასადილოს ღიბიანი
მსახური გარედ აგდებს, უყვირის, მაგრამ როდი
ეპუებთან მას მშვივრები; მოსადილენი კი ამას გულ-
გრილად უყურებენ.

ლუკმა ყელში მეჩხირება... გვერდით მოვისვი
ერთი ბიჭუნა, ვადევნებ თვალს მის გამხდარ სახეს.
მის მგლის თვალეხსავით მბრწყინავ მშვიერ თვა-
ლებს... როგორა სკამს!... გული მიკვდება.

— ვინა ხარ? ვეკითხები.

— უპატრონო, მარიუბოლიდან, დაკარგული...

— სადა გაქვს ბინა?

— ბინა? არსად და ყველგან... სადმე ალაყაფის
კარებთან, ქუჩაში, ნანგრევებში, რა ვიცი სად. ორ-
სამ დღეის მილიციაში გვაკმევენ, მერე გაგვყრიან
ხოლმე ქალაქიდან, უსახლკარობის გამო. მივდი-
ვართ სხვაგან და იქაც ესევე, მეორდება... ასე... ზამ-
თარში ვარჩიეთ წამოსვლა სამხრეთისაკენ.

ბიჭუნა, გაფაციცებითა სკამს... მაგონდება 1932
წლის ზამთარი. სუსხი სიცივე რუსეთში... ყველგან
ყველა წლოვანობის ათასობით უპატრონო ბავშვე-
ბის ჯგუფებს ვხვდებოდი... მშვიერი, ჩამოძონძი-
ლნი, გაყინულები... ისინიც სამხრეთზე ოცნებობ-
დნენ... მაგრამ ბედი და უგულო ხალხი სხვანაირად
სწყვეტდა... მილიცია ყოველდღე ასობითა ჰკრეფდა
ქუჩებში გაყინული ბავშვების უმწეო გვაშებს, გან-
თიადისას, სანამ ხალხი გამოვიდოდა კარში... და აი,
ერთხელ... გაქრნენ „უპატრონო“ ბავშვები და ეს
ჭირიც მოისპო თითქო...

ეხლა-კი, ათი წლის შემდეგ, იგი ისევ გაჩენილა?
ამან ჩამაფიქრა.

— მიმართეთ სადმე?

— დიას, რაიკომს, მიემართეთ პიონერებსაც, —
მეც პიონერი ვარ, — ვითხოვეთ სამუშაო, ბინა,
მაგრამ მილიციაში გვეზავნიან. იქ ხელს გვაწერი-
ნებენ ქალაღლზე და გარედ გვაგდებენ... არ იფიქ-
როთ, ძია, რომ ვქურდობთ, ჩვენში თითო-ოროლა
ასეთიც არის, მაგრამ სამუშაოს არავინ გვაძლევს
და მითხოვრობით, აი ასე ვირჩენთ თავს... სულ
გვშიან...

მე ვუყურებ სხვებსაც... შემოდის სასადილოს
გამგე, ახოვანი გატიკნილი ადამიანი, ბავშვები
იფანტებიან. შეშინებულნი... ასე ჩამოფხრე-
წილნი რომ არ იყვნენ და მოუვლელნი, გეგონებათ
სკოლის შეგირდები არიან. ეტყობა, ჯერ ქუჩას არ
გაურყენია... ბავშვები 14 წლისა და მეტისაც არიან,
არიან 8-9-წლიანებიც, სხვა და სხვა ეროვნებისა.
ამათზე პატარანი აღარ არიან... ამათ გაჭირვებას
გაუძლეს... სხვები-კი დაიხოცნენ...

ვეცნობი ჩემს „სტუმარს“, ვესაუბრები: ვანია
სინიციანია. მამა არ ახსოვს, დედა მასწავლებელია
საშუალო სკოლისა, ერთი და ჰყავს სვეტლანა, ბე-
ბიაც ჰყოლია, სადღაც სადგურზე დედამ ცხელ
წყალზე გაგზავნა და რომ დაბრუნდა, მატარებელი
უკვე წასულიყო. 24 საათს ამაო ლოდინის შემდეგ
(აბა როგორ უნდა ეპოვნა პატრონი?) დაიკარგა,
დარჩა ატირებული, ცხელი წყლით ხელში და სი-
ცივით — გულში... მისთვის ყველა უცხოა, ვისა
აქვს მისი თავი, ყველას თავისი დარდი აწუხებს;
ვინ გაიგოს დაკარგული ბავშვის განცდები?!... მისი
შეუმჩნეველი შინაგანი ტრალედია?!

იქვე ნახა ასობით სხვა ბავშვები, ეხლა და სხვა
დროს მასავით „ტრანსპორტის დეზორგანიზაციუ-
ლი მუშაობის“ მსხვერპლი... დაუმეგობრდა უკე-
თესებს და გადასწყვიტეს წასვლა სამხრეთისა-
კენ. მაგრამ არც სამხრეთმა გაუმართლა იმედები:
საშინელი სინამდვილით გატანჯული ხალხი ყველ-
გან უგულოდ და ცივად ხვდება მას. სამხრეთში მზეც
თითქო ისე აღარ ანათებს, როგორც „ამბობ-
დნენ“... ან რა გასაკვირია?: დახეული შარვალი და
სიფრიფანა ხალათი-ლა შერჩენია, ძველი პიჯაკი

დიდ ა ხანია გადაუცვლია ერთ ნატეხ პურსა და კიტ-
 რზედ...

საწყალი ვანია. მალალი, გამხდარი, ნაზი სახისა,
 დაღონებული თვალებით; ქვევა-ლაპარაკზედ ეტ-
 ყობა კარგი ოჯახის აღზრდილია.

ვეკითხები სხვებზედაც...

— ო, ბევრი არიან... აგერ ის ბოშაა. მითითებს
 უკვე მოზრდილ ბიჭზედ, თექვსმეტ წლიანს რომ
 ჰგავს, — ვანო-კი „14-საც არ არის“, მხრებზე
 სცემს წაბლის ფერი ფაფარი, საესე მკბენართ, პა-
 ქუა ცხვირი აქვს და ცისფერი, კეთილი თვალები...

— ის „ვირთავვა“, ის „ჩინელი“...

და ასე ჩამომითვალა ათიოდე მეტსახელებით
 ყველა, ვისაც ქუჩამ დაუკარგა თავისი საკუთარი
 სახელი...

— შენ რაღას გეძახიან?

— „მხატვარს“... რადგან მე ვხატავ ხანდახან და
 ვცვლი ნახატს ბაზარში ხან ხახვზედ, ხან კომბოს-
 ტოსა და კარტოფილზედ, რომლებსაც უმაღლა
 ვჭამთ... ერთხელ ვაშლიც კი მომცეს — გაუბრწყინ-
 ნდა თვალები სიამაყითა.

სული მეხუთება... ვინ იცის რა ნიჭი იკარგება და
 რამდენი ათასი იღუპება ასე. რა შემოძლიან, ულო-
 ნო ვარ, რითი ვუშველო ან რომელ მათგანს... მივ-
 დივარ... გულში ბოღმა მაწვება.

— მილიციაში აღარ მოხვდეთ!... ან იქნება
 სჯობდეს კიდევ: პურს მაინც გაძლევენ?..

ბავშვს უტბად სახე ეცვალა, თითქო ბევრად უფ-
 როსი გახდა:

— ყოველთვის არა... ხანდახან 24 საათს არა-
 ფერს გვაჭმევენ, ხან მის ნახევარსაც არ გვაძლევენ,
 რაც გვერგება... დანარჩენს ჰყიდიან ბაზარში.

მივდივარ გონება-არეული. სად, რომელ ქვევა-
 ნაში მივლენ ასეთ უზნეობამდე — ბავშვს გამოჰ-
 გლიჯონ პირიდან ლუკმა... ულონო ვარ მეც თი-
 თონ ისევე როგორც ათი წლის წინად... ჩემი შვე-
 ლა არაფერია ამ საცოდაობის ზღვაში... რას ფიქ-
 რობს მთავრობა ასეთი მდიდარი ქვეყნისა? ნუთუ
 ვერ მოაწყობს თავშესაფარებს? რათ რყენის და აჩა-
 ნაგებს ბავშვებს?! რას შვრები შენ, ბრძენო ბრძენ-
 თაგანო, „ხალხთა მამავ“, რათ ღუპავ შენს
 შვილებს?!

თუ 1932 წელს ქუჩაში დარჩნენ ბავშვები
 „ხალხის მტრებისა“ და „კულაკებად“ მონათლულ
 მთიელებისა, ყაზახების, გლეხების, ეხლა ხომ სულ
 სხვა სურათია?! ამ ახალი „უპატრონოების“ და

უსახლკართა მდინარეში — მრავალია შენი პიო-
 ნერი, შენი „ოქტომბრელი“... და ყველას სჯეროდა,
 რომ შენ გიყვარდა ისინი... შვილებივითა. რას
 შვრები? — ვუიქრობ ბოღმა მორეული და გონე-
 ბაში განვაგრობ.

ნუ თუ არ იცი რომ შენი მილიცია ათასობით ამ-
 შვეს ბავშვებს და კრიმინალებად აქცევს? ეს ხომ
 დაღუპვაა ახალი თაობის, ნორჩი ახალგაზრდობის!..

მეორე დღეს, შემთხვევით შევდივარ ეკლესიაში,
 წინანდელ წლებთან შედარებით, აქ ბევრი ახალ-
 გაზრდობაა, ზოგი სამხედრო ფარაჯებითაც-კი.
 ერთ კუთხეში ხატის წინ სდგას მუხლებზედ დაჩო-
 ქილი ბავშვი და ლოცულობს, რუსულად, შუბლს
 იატაკზედ სცემს. ჯერ გამეცინა, მეგონა თვალმაქ-
 ცობს, მაგრამ მერმე შემოცხვია; ფაროე სახე
 მთლად გამოცვლილი აქვს, თვალები ხატისათვის
 მიუშტერებია, ლოცულობს ჩურჩულით... ვიცანი
 გუშინდელი ბოშა... ეკლესიაში სიჩუმეა, არაფერი
 ისმის... მიკვირს... ამდენი ხალხი! წინად ხომ დიდე-
 ბიც არ დადიოდნენ, ახლა-კი ბავშვებიც აქ მოსუ-
 ლან. სჩანს ბავშვს გაუცრუვდა ყველა იმედი და...
 ღმერთთან მივიდა...

უცებ ისევე გაქრნენ „უპატრონოები“, როგორც
 1932-ში. გავიდა ხანი. ელისტაში ვარ (ჩრდილო
 კავკასია) — გერმანელების საოკუპაციო ზონაში,
 მრავალი ცნობა მოდის რომ „იქიდან“ ტყვეობაში
 ვარდება ბევრი 14-15 წლის ბიჭი, მეც მინახავს...
 მთვრალეები იყვნენ...

აი, სად გაქრნენ თურმე უსახლკარო ბავშვები:
 ბელადებს გამოსავალი უპოვიათ მდგომარეობიდან:
 უთელავი „ცოცხალი ძალა“ მხოლოდ საბჭოების
 გაზვიადებული პროპაგანდაა. მილიონი „უპატრო-
 ნო“ ბავშვებისა ბელადებმა „ზარბაზნის ლეშად“
 აქციეს. აჭამეს, ჩააცვეს, ცოტათი ასწავლეს თოფის
 სროლაცა და თავი... ფრონტისკენ უკრეს.

— მაგრამ ისინი ხომ მცირე წლოვანები არიან,
 გაისმა მორიდებული ხმა.

— უპასპორტოებს არ უწერიათ წლოვანობა და
 გამომეტყველებით უფროსნი არიან. ეხლა ბედნიე-
 რებაც ელირათ: ჩააცვეს, აჭამეს — გესმით?, —
 აჭამეს! იერიშების წინ ნახევარ ბოთლს არაყსაც აძ-
 ლევენ და „ზარბაზნის ლეში“ ზარბაზნის აწყდება...

ო, რა მძიმე იქნება თქვენი გამოფხიზლება, ვი-
 საც გელირსებათ უმაგალითო ბრძოლისაგან გადარ-
 ჩენა: ნამდვილი კოშმარი, საშინელება: უხელო,
 უფეხო, მძიმედ დაჭრილნი, კვლავ ნაძირალებად



იქცევით პროლეტარების სამოთხეში, რადგან მაშინ „ზარბაზნის ლეშადაც“ აღარ გამოდგებოდა.

ძალა უნებურად მაგონდება 1932 წელი და მაშინდელი „უპატრონო ბავშვები“. ზემოთ ვწერდი: „გაქრენ“ — მეთქი. არ იფიქროს მკითხველმა, რომ დახერიტეს ან ამოსწყვიტეს. მთავრობამ მაშინაც, როგორც ახლა, იპოვნა გამოსავალი.

მაშინ მილიონები უსახლკაროებისა გაიგზავნა კატორღაში თეთრი ზღვის, — სტალინის სახელობის, — არხისა და სხვა ეგვიპტურ სამუშაოების შესასრულებლად, იქ ძვლების ჩასაყრელად... არც მაშინ ეწერა მათ პასპორტებში მათი წლოვანობა და

უცხოეთში ეს ამბავი ვერ გავიდა ხეირიანად. — მარტო ზოგმა უცხოელმა კორესპონდენტმა ასტეხა... მიჩქმალული განგაში: — „ბავშვები იხოცებიან ვოლგის არხის მშენებლობაზედა“—ო.

ეს იყო 1932 წელს. და, აი, დღესაც, — ათი წლის შემდეგ, — საბჭოებმა იპოვეს გამოსავალი: „უპატრონოები“ დღეს ბრძოლის ველზედ გაისტუმრეს.

პირველად — საკატორღო, აუტანელ მძიმე სამუშაოზე.

მეორედ — ომში სასიკვდილოდ, დასაღუპავად... იერიშებზედ საუკეთესოდ გაწვრთნილ, ალკურვილ „მტრის“ წინააღმდეგ.

6. ზანდუკელი

ხმა დასახვერეტო საკანითგან

(მიხეილ ჯავახიშვილის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები)

1937 წელი. საბჭოთა კავშირში მძვინვარებდა ბოლშევიკური რიგობა. ჯალათები სისხლში აღრჩობდნენ და ბნელ ჯურღმულებში საობდნენ ეროვნულად მოაზროვნე ადამიანებს. ხალხში ყოველდღიურად დადიოდა ხმები ახალ-ახალი დაპატიმრებებისა და თვითმკვლელობის შესახებ. ჯალათური მოქმედება საბჭოთა მთავრობისა და მისი ერთგული შინსახკომისა ხდებოდა ღამით. შინსახკომის სატრაპები მშვიერ ძაღლებივით დაძრწოდნენ დაცარიელებულ ქუჩებში და საპატიმროებში ერეკებოდნენ უდანაშაულო ადამიანებს. თბილისში ციხეები გაივსო პატიმრებით. რა ხდებოდა გამოკეტულ ოთახში — ეს ღრმა საიდუმლოებად რჩებოდა. მხოლოდ მეორე დღეს „მოპარვის“ შესახებ ხალხში ხმები გამოდიოდა და ყველამ კარგათ უწყიდა თუ რას ნიშნავდა ეს „მოპარვა“. იმ დღიდან მოპარულის ასავალ-დასავალს ვედარავინ გაიგებდა; იგი უგზო-უკვალოდ იკარგებოდა ოჯახისა და ნათესავ მეგობრებისათვის.

„დააპატიმრეს მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი!“ — ასეთი ხმა გაისმა ერთხელ თბილისში. თითქოს გასაკვირველი აქ არაფერი იყო. ხალხი დიდი ხნიდან მიჩვეული იყო ასეთი ხმების ხშირად გაგონებას. მაგრამ არა!. ამ ხმამ სხვანაირი სიმწვავეით იმოქმედა ქართველ ხალხზედ, ღრმა ჭრილობა მიაყენა მის სულსა და გულს და საბოლოოდ დარწმუნდა იგი, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ შეიბრალებდა არავის, რა წონისა და ღირებულების არ უნდა ყოფილიყო იგი. ხალხი მიხვდა რომ ერს განგებ ართმევდნენ და უსპობდნენ მოწინავე მოღვაწეებს. „მიხეილ ჯავახიშვილი დაუპატიმრებიათ“ „არსენა მარაბდელის ავტორი წავგართვეს“, ისმოდა შიშრეული ხმა ყველგან, სადაც მიდგებ-მოდგებოდით:

კინოებში, თეატრებში, სასადილოებსა და სასტუმროებში, ქუჩებში, ტრამვაიში... ჩურჩულდნენ მალულად სიფრთხილით და გულში იკლავდნენ ბოლშას და გულის წყრომას. ხალხს ძალადობის ბოქლომი ედვა ბავებზედ. იგი ეძებდა მართლის მთქმელს, რომელიც ვააგებინებდა მას დიდი მწერლის ამბავს. მაგრამ ბნელეთის მოციქულები სდუმდნენ.

მიხეილ ჯავახიშვილის დაპატიმრებიდან რამოდენიმე კვირის შემდეგ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველო“-ს ერთე-ერთ ნომერში დაიბეჭდა მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების „კრიტიკა“. „კრიტიკა“ ეკუთვნოდა ბესო ჟღენტს. ამ სტატიამ ხალხი დაარწმუნა სინამდვილეში: რომ მიხეილ ჯავახიშვილი ნამდვილად იდგა ბოლშევიკური სამსჯავროს წინაშე. ცილის მწამებლური სტატია ცინიზმით იყო აღსავსე და „შინსახკომის“ ხმებზედ ამღერებული სტროფები ნათელს ჰფენდნენ მიხეილ ჯავახიშვილის ბედსა და მომავალს. ამ ცილისმწამებლურ წერილში ავტორს განხილული ჭონდა თითქმის ყველა მთავარი ნაწარმოებები მიხეილ ჯავახიშვილისა და საერთო შეფასება ჰქონდა მიცემული მწერლის შემოქმედებას. კრიტიკული სტატიის ავტორი იწუნებდა მათ არა მარტო პოლიტიკური და იდეოლოგიური თვალსაზრისით, არამედ ყოველ მხრივ: ენის, თხრობის წერის ტექნიკის და სხვათა მხრივაც, რაც მეტად სასაცილოდ მოეჩვენება მას, ვინც ყოველ მხრივ იცნობს ჯავახიშვილის შემოქმედებას. კრიტიკოსმა „მიწასთან გაასწორა“ (რა თქმა უნდა თავისი თვალსაზრისით), „კვაკვი კვაჭანტირაძე, ჯაყოს ხიზნები, გივი შადურის, თეთრი საყელო“ და სხვანი. აღიარა ისინი ანტიკომუნისტური სულით გაჯღენთილ ნაწარმოებებად (ეს ასეც

იყო!) ჯავახიშვილის უმეტესი თბუზულებანი საუკეთესო და უმაგალითო სიმახვილით აღმსახველი იყო კომუნისტური რეჟიმისა და მთელი საბჭოთა ცხოვრებისა. „კრიტიკოსმა“ ხაზი გადაუსვა ყოველივე ღირსებას დიდი ქართველი მწერლისას დაიწუნა მათში გატარებული მორალი. შეუბღალა ღირსება იმ მწერალს, რომელიც რამოდენიმე თვით ადრე საბჭოთა მთავრობამ ორდენით დააჯილდოვა. ვერ ბედავს „არსენა მარაბდელის“, ამ დიდი ქმნილების და ღირს შესანიშნავი ნაწარმოების ლაფში ამოსვრას — დანარჩენებით. იგი რამოდენიმე სიტყვით აღნიშნავდა: „მიხეილ ჯავახიშვილმა ბოლო დროს თემატიურად უკან დაიხია და დასწერა ისტორიული რომანი „არსენა მარაბდელი“. ეს იყო და ეს. მეტს ვერც ვაბედავდა! ხალხს უკვე ურყევი მსჯავრი ქონდა დადებული ამ რომანზედ და საბჭოთა „კრიტიკოსები“, რაც არ უნდა ცდილიყვნენ, მის ფასს ვერ დასცემდნენ, ისევე, როგორც მწერლის წრფელ სიყვარულს ვერ აღმოფხვრიდნენ ერის გულიდან. მ. ჯავახიშვილის დაპატიმრების შემდგომ განვლო რამოდენიმე ხანმა. ხალხის ყურადღება ყოველდღიურმა ამბებმა მიიპყრო. აღარც აღარავინ მოელოდა მწერლის შემდგომი ბედის გაგებას. მაგრამ მკვლევლების ღრმად და გულმოდგინეთ ჩაეკეტილი სარდაფებიდან მაინც გამოვიდა ამბავი სინამდვილესა, ამბავი, რომლისაც ქვემოდ მოგიტხრობთ. ეს გადმომცა 1937 წელს ერთმა ქუთაისელმა სტუდენტმა, რომელმაც თავი დააღწია ჯურღმულებიდან და მზის სინათლეზედ გამოიტანა მწერლის მკვლელობის ამბავი. სტუდენტი იყო ბოლშევიკური პარტიის წევრი. იგი სწუხდა ამის გამო. სანანებლად ქონდა გადაქეუული იმ პარტიის წევრობა, რომელიც უმაგალითო ტირანიით მართავდა ხალხს. გულს იმშვიდებდა მხოლოდ იმით, რომ იგი მექანიკურად და „მოდის“ ვაგლენით იყო შესული პარტიის რიგებში. სასიხარულოდ სთვლიდა გარდატეხას თავის ცხოვრებაში, რომელიც გამოიწვია შინსახკომის სარდაფებში ყოფნამ და იქ ნანახმა სინამდვილემ. მან, როგორც ვსთქვით საკმაო მხატვრობით და სიმართლით გადმომცა ის, რაც მას თავს გარდახდა. „ერთი მძიმე და ტანჯვა-წამებით აღსავსე დაკითხვის შემდეგ — ასე დაიწყო ახალგაზრდამ საუბარი, — რომელიც ჩემი დაპატიმრების პირველ დღეებში მოხდა, ჩამავდეს ბნელს სარდაფში. შესვლისას პირველად ვერაფერი ვავარჩიე. ხელები მოვაფათურე, რომ არაფერს წავდებოდი. კარებთან ვიღიქი მანამ, სანამ სიბნელეს კარგათ შევაჩვევდი თვალს. ვგრძნობდი სარდაფში ძალიან ბევრნი იყვნენ. ჰაერი ისე იყო ხაშვით დამძიმებული და რახმული, რომ კინაღამ სუნთქვა შემეკრა.

— აჰა, ერთ ობიდურიც მოგიმეტა! — მომქმამ ბნელი კუთქოლითან ხმა, რომელმაც ელვასავით დამი რა ტანში, მუხლები მომეკვეთა; ბოლოს სიბნელეს თვა-

ლი შევაჩვიე. ადამიანები ჩაყვითლებულნი, მშვიერი და წვერ გაუპარსელნიც, ძონძებით შემოსილნი ერთმანეთზე იყვნენ მიყრილნი. ფეხის დასადგმელი ადგილიც კი სჭირდა, არამც თუ დასაჯდომი და დაახლოებით ასამდე კაცი იქნებოდა ამ კუბოსავით ჩახურულ, დაბალთალიან სარდაფში. ზოგმა სიბრაღულით, ზოგმა გულცივად მომაპყრო თვალი და ზოგს თავიც კი არ აუღია და არ შემოუხედავს. დავრწმუნდი ადგილს ვერ ვიშოვიდი და სასო-წარკვეთილი, როგორც იქნა იქვე ახლოს ჩავჯექი, ხმას არავის იღებდა. შერძწუნებულს მსურდა ვინმე გამომლაპარაკებოდა, მაგრამ ჩემი მეზობლებიდან არავინ ჩქარობდა, ლოდინსაც მოელო ბოლო და ჩემს მეზობლად მჯდარმა საუბარი გამიბა. მისი ხმა იყო სუსტი და მიმქრალი, ამავე დროს გულში და გრძნობაში ჩამწვდომი. თითქოს სამარიდან ამოდიოდა ეს ხმა — ამ კაცის ჩურჩულმა გული ამიღულა და თვალზედ ცრემლი მომგვარა. თითქოს მას უცდიდნენ, ყველამ ყური მომიგლო და გულდასმით ისმენდნენ ჩემს ამბავს, რომელსაც ვუყვებოდი დაინტერესებულ მეზობელს. დავამთავრე თუ არა მოთხრობა, თუ რისთვის დამაპატიმრეს და რა გადახდა დღემდე, ახლო მყოფებმა უიმედოთ ჩაიქნიეს ხელი. „გათავებულა, ძმაო, შენი საქმე. ეს საკანი დასახვრეტთა საკანიაო“, ამ სიტყვების გაგონებაზედ თვალი დამიბნელდა, თითქოს გონება დამეკარგა. ვგრძნობდი კი ამ სარდაფში ჩამოვდებამდე, რომ დიდს სასჯელს მომანიჭებდნენ, მაგრამ თავს არ ვაჯერებდი იმაში, რომ დასახვრეტად მისჯილებთან ვიჯექი. ჩემს ცხოვრებაში ციხე და პატიმრობა არ განმეცადა... ეხლა კი ვხედავდი უდანაშაულოს სიცოცხლის მისობადნენ. ტირილი მიწოდდა, მაგრამ ცრემლი გამშრალი მქონდა. სიტყვის თქმა მსურდა და ხმა ვეღარ ამომელო, ხაზი გადააუსვი ჩემს ახალგაზრდობას, ჩემს ცხოვრებას და სრულიად მოშვეებული, გარინდებული, ტომარით მივეგდე. ეხლა უკვე ბევრმა თანამიგრძნო და თვით უნუგეშობებმა ნუგეშის-ცემა დამიწყეს.

გადიოდა დღეები და მე თანდათან ვუახლოვდებოდი ამ ხალხს. ჩვენს საკანს ყოველდღიურად ემატებოდნენ ახლები, მაგრამ სამაგიეროდ ყოველდღიურად გაყავდათ დასახვრეტნიც. ოჰ, რა მძიმე და აუტანელი იყო ეს სურათი... გამომძახება გვარისა მეხვიით ეცემოდა არა მარტო გამომძახებულს, არამედ ჩვენც, დანარჩენებსაც. გამომძახებულთაგან ზოგნი მდუმარედ გადიოდნენ და ზოგნი ლანძღვა-გინებით და უშიშრად. ზოგნი ღონე-მიხდილნი და მუხლ-მოკვეთილნი თვითონვე გაყავდათ ჩეკისტებს; ვინც ხმის ამოღებას ვაბედავდა და ყვირილს დაიწყებდა, მას კისერში, თხემთან ახლოს დაუზოგველად დაჰკრავდნენ ხოლმე მაჯის სისხო რეზინის მათრახს ან რკინას და ენა-ჩავდებულს ლეშივით მოთენთილს გაათრევდნენ სარდაფიდან.

საინტერესო იყო ჩვენი საკანის პატიმართა სულიერი

განწყობილება. ნაწილი უკვე სულით იყვენ დაცემულნი. ბნელი კუთხეებიდან მოისმოდა ისტერიული ქვითინი. ერთი პატიმარი ჩემი იქ ყოფნის განმავლობაში ჭკუაზედ შესცდა. ასეთი სურათი საშინლად მოქმედებდა ჩემზე. სულით დაცემულებს ერთად მოეყარათ თავი და სარდაფის ერთ კუთხეში იყვენენ მიყრილნი. იყო ჯგუფი პატიმრებისა, რომელიც სრულიად არ ერეოდნენ არავითარ საუბარში, გამოლენჩებულნი უმოქმედოდ ეყარენ ძირს. მხოლოდ მაოცებდა სარდაფის ერთი კუთხე, სადაც თავი მოეყარა ხალხს, რომელნიც ჩოჩქოლს ატეხდა ხოლმე, როდესაც კარს შემოაღებდნენ ჩეკისტები. ამ კუთხეში მყოფნი შეუდრეკლობას იჩენდნენ სულიერად.

— მკვლელბო!.. სისხლის მსმელებო!.. ჯალათბო!.. — გაპყვიროდნენ ისინი და მუშტ-მოკუშულ ხელებს უღერებდნენ კარებში მდგომ ჯალათებს. ასეთი სპეციულის გამო მათ ხშირად დაუმსახურებიათ ჩეკისტების შეუბრალებელი ცემა. ამ გულოვანი და მოიოვარე კუთხიდან ყოველთვის გულადად გადიოდნენ დასახვრეტად... მიკვირდა: იმ კუთხიდან მოიამ ისმოდა ხან ჩემი ჩურჩული, ხან ხმამაღალი მსჯელობა და ხან, როგორც ესთქვი, აღშფოთებული დრტინვა. ვფიქრობდი თუ რა ქონდათ ამდენი საჩურჩულო და სალაპარაკო მათ მაშინ, როდესაც სარდაფის უმეტესობა მდუმარეთ შესცქეროდა სიკვდილს თვალებში და მდუმარედვე ელოდა გამოძახებას. ერთხელ გულმა აღარ მომიტოინა და ვიკითხე: „რა არის იმ კუთხეში, რომ ყოველთვის ჩურჩულებდნენ. მალე მეზობლად მყოფმა პატიმარმა სრულიად მოულოდნელი და გასაკვირველი რამ მაცნობა. იმ კუთხეში ზის მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც ახალგაზრდა პატიმრებს განუწყვეტლივ ესაუბრებო. ამ სიტყვების გაგონებაზედ შეეკრთი. მაშ მიხეილ ჯავახიშვილის დაპატიმრება მართალია — გამიელვა გულში. მე წაკითხული მქონდა თითქმის ყველა ნაწარმოებები მიხეილ ჯავახიშვილისა. განსაკუთრებით მიყვარდა რომანი „არსენ მარაბდელი“, რომელიც რამოდენიმეჯერ მქონდა გადაკითხული და ჩემს მაგიდაზე მუდამ წინ მედვა. მართალია მიხეილ ჯავახიშვილი არ მენახა არას დროს, მაგრამ მიყვარდა მე იგი თავისი მიშვიდველი ნაწარმოებებით. ვერ წარმომედგინა თუ ეს ახალგაზრდობის საყვარელი მწერალი ჩვენთან იმყოფებოდა ამჟამად, აქ სასტიკ ჯურღმულებში. გული აღარ დამიდგა და დაუყონებლივ მივედი იმ ჯგუფთან. თვალწინ წარმომიდგა შემადრწუნებელი სურათი: კუთხეში მიმჯდარი იყო ძვალტყავად ქცეული, ჩია ტანის მოხუცი, ღრმად ჩაცვინული თვალებით, საშინლად გაყვითლებული, წვერებ-გაბურღული... პირველად შეეკრთი კუთხეში მიწყობილი ჩონჩხის შეხედვაზე. დიახ, ჩონჩხი, ნამდვილი ანატომიური ჩონჩხი იყო. ჩონჩხი ლაპარაკობდა, ჩონჩხი ჩურჩულებდა... აი,

ამ ჩონჩხ — ადამიანზედ მითხრეს მიხეილ ჯავახიშვილი არისო. ცოტა დამაკლდა კინალამ ქვითინი დავიწყე, მაგრამ როგორღაც თავი შევიმაგრე. მალე გავეცანი და დაუფახლოვდი ჯავახიშვილს და მის გარშემო მყოფთ. დიდის გულთბილობით მიმიღეს, როგორც მან ისე სხვებმა. იმ დღიდან სულ მათთან ვიყავი მოუცილებლად, ხსოვნიდან არ ამომეშლება მიხეილის სახე, მისი ნათქვამი სიტყვები და ნაქადაგები. საუბედუროდ ეს ქადაგება არ სცილდებოდა საპატიმროს გაუვალ ნოტიო კედლებს და სიკვდილით დასჯილთ, რომლებიც მის ნააზროვნებს მხოლოდ ცივ სამარეში თუ ჩაიყოლებდნენ, თორემ ვერ გაიტანდნენ ხალხში. მე ვარ ერთადერთი ადამიანი, ცოცხალი მოწმე, რომელიც ამ საკნიდან გამოვედი და შემიძლია სიმართლე ესთქვა.

— „მე ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის არ დამიზოგავს ჩემი სუსტი ძალღონე. ქართველი ერისათვის არ დამიშურებია და არც დავიშურებდი არაფერს. ბევრს ვფიქრობდი მის მომავალზე და ველოდებოდი ჩვენი განთავისუფლების დღეს ბოლშევიკური და რუსული უღლისაგან. მართალია მე ამ დროს ვერ მოვესწარი და ვერც მოვესწრები, მაგრამ, მალე სულ მალე, ქართველო ახალგაზრდებო, დადგება ჟამი ჩვენი ერის განთავისუფლებისა, დადგება დრო სანეტარო, როდესაც ქართველი ხალხი გადაიგდებს მონობის უღელს თავის ქედიდან და იცხოვრებს ისე სახელოვნად როგორც უცხოვრია თავისი ძლიერების ხანაში. ჩვენ აღვსდგებით!... სულაც არ ვნაღობ, რომ სამშობლოსათვის ასე ვკვდები, იმედად ის მრჩება, რომ ჩემს ასეთ ნაირად დაღუპვას ქართველები არ დაივიწყებენ“; ასე ლაპარაკობდა მიხეილ ჯავახიშვილი. მის მოწოდებას მეც გულისყურით ვისმენდი დიდი სულიერი განმამტკიცებელი ძალა ქონდა ამ სიტყვებს ამიტომ იყო მის გარშემო მყოფნი გაკაჟებულნი გადიოდნენ დასახვრეტად. მიხეილი მოგვითხრობდა ამბებს საქართველოს ისტორიიდან, ლიტერატურითგან და საზოგადოებრივი აზროვნებითგან. აგრეთვე ბოლშევიკურ რეჟიმის დამახასიათებელ მომენტებს, რომელსაც ჩვეული დამახასიათებელი გონება მახვილობით აღსახავდა და—თვალ-ნათლივ გვიდგენდა წინ, მის შიშველ ჯალათურ სახეს... ჯავახიშვილი გვარიგებდა, გვირჩევდა და გვამხნევებდა „ეგება რომელიმე თქვენგანს ათასში ერთს მაინც გაგლიძოს ბედმა — და ცოცხალი გადაურჩეთ ამ მხეცებს. ნუ დამივიწყებთ... გადაიკით ქართველ ხალხს, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მისი ვიყავი, მასზედ ვფიქრობდი... გადაეცით, რომ იმედით სავსე ვკვდები სამშობლოსათვის—“.

დასახვრეტათ გამოძახებულნი მოდიოდნენ მასთან დასამშვიდებებლად. მიხეილი წამოიწვედა თავის კუთხიდან, ჩონჩხად ქცეულ მკლავებს შემოხვევდა მასავით



მიღწეულ პატიმარს, ეამბორებოდა და თვალ ცრემლიანი კვლავ მიჩნეულ კუთხეში მიიკუნჭებოდა. ეს სურათი: დამშვიდობება მიხეილ ჯავახიშვილთან დიდს მგრძობიარე სურათს წარმოადგენდა. ასეთი სურათები ყოველდღიურად იმართებოდა მრავალჯერ დღეში. ყოველივე ამის ცქერამ, მოლოდინმა და შიმშილმა ისე დამაძნო, როგორც სანთელი. ასე დნებოდნენ ჩვენი ბედის თანაზიარნიც. ელოდნენ გამოძახებას, ელოდნენ სიკვდილს... ელოდებოდა ჩვენი მიხეილიც. მე ვიცი პატიმართა მაშინდელი სურვილები. მათ სურდათ თავისი თვალთ არ დაენახათ მიხეილ ჯავახიშვილის გაყვანა დასახვრეტად. არ სურდათ შესწრებოდნენ ამ დღეს. ამიტომ გულის ფანჯრულით ელოდნენ იმ წუთებს, როდესაც ჯავახიშვილს წაართმევენ. მძიმე მოლოდინში მყოფნი მწერალს მოსვენებას არ ვაძლევდით. ერთხელ „არსენა მარბაღელი“ და „ჯაყოს ხიზნებიც“ კი ვაამბობინეთ. დრო გადიოდა. გათენება-დაღამებას პატარა სარკმელით ვტყობილობდით, რომელიც სარდაფში შემოსავალ კარებს ქონდა დატანებული. ერთს უბედურ დღეს, როდესაც პაწაწინა სარკმელში სუსტი სინათლე მიქრა და სამარისებული ბნელეთი გამეფდა, ჭრიალით ვაილო კარები. როგორც ყოველთვის, გამოჩნდა ორი ჩეკისტი. ერთს მათგანს ხელში ეჭირა სანათი, რომლის შუქმა ოდნავ განათა სარდაფის კუნჭული. პატიმრებმა კარებისაკენ მიიხედეს. ყველას შეაყრეოლა. კარგათ იცოდნენ რას ნიშნავდა ამ ორის შემოსვლა საკანში. ერთს მათგანს, შედარებით ჯამრთელი აგებულებისას, რეზინის ჯოხი ეჭირა ხელში. მისი სახე ცივი და უხეში იყო. ამღვრეული თვალები ისარივით ესობოდა ჩვენს გულს. მის სახეზე ერთი ძარღვიც კი არ ტოკავდა. მეორეს, რომელსაც სანათი ეჭირა ხელში, დამცინავი ღიმილით ქონდა შეფერილი სახე. და ოდნავ გახსნილი ბაგეებიდან უბრწყინავდა ოქროს კბილი. მოციმციმე სინათლეზედ ორთავეს სახე ჯალათურ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

— მიხეილ ჯავახიშვილი!.. — გაისმა ცივი ხმა. ჰაერი გაიყინა, დამძიმდა და აუტანელი შეიქმნა. სიჩუმემ რამოდენიმე წამი გასტანა. ხალხს სუნთქვა შეეკრა. ნახევრად ბნელი კუნჭულებიდან თავი წამოყვეს ჩონჩხებმა. ისინი იმ კუთხისაკენ მიიხარენ, სადაც მწერალი იჯდა, სამარისებური სიჩუმე უცბად დაარღვია ვიღაცის შეძახილმა: „ჯალათებო!.. სისხლის მსმელებო!“.. ხმას აპყვენენ დანარჩენები და სარდაფი აივსო ყვირილით.

— თქვენ ხვრეტთ მოწინავე ადამიანებს ქართველებისას!.

- თქვენ გვართმევთ დიდ მწერალს!..
- მხეცებო!..
- არ მოგცემთ მიხეილ ჯავახიშვილს!..
- იგი ჩვენიას!..

პატიმრები აირივნენ. რისხვით მიაწყდნენ იმ კუთხეს, სადაც დიდი მწერალი ეგულებოდათ, მას გარს შემოევილენ და არ აძლევდნენ საშვალებას კარებისკენ გა-

სულიყო. გამხეცებული შინსახკომელები დაუზოგავათ დაირივნენ უმწეო და ღონე-გამოლეულ ხალხს. მძიმე რეზინი, თხლამა-თხლუშით ამეტყველდა მათს თავზედ, ერთი ჩეკისტი მივარდა ჩია მოხუცს, ხელი დაავლო და სარდაფის შუაგულში ისროლა. ამის მხილველნი ბოლმით იესებოდნენ.

ნელა წამოდგა მიხეილ ჯავახიშვილი. წელში მოხრილმა თვალი გადაავლო დასისხლიანებულ ხალხს... ღმერთო!.. როგორი გამომეტყველება ქონდა! ოდნავ ქვემოდ ჩამოწეული მარჯვენა ტუჩის კუთხე უცახცახედა. სახეზედ უმწეობისა და შეურაცყოფის ღიმილი ეკერა. რამოდენიმე წამი გვიცქირა და ის იყო რაღაცის თქმა დაგვიპირა, რომ ამ დროს მახლობლად ისტერიული ქვითინი გაისმა. მეც ვიღარ შევიკავე თავი და ბავშვივით ავზლუქუნდი. ჩემს ქვითინს აპყვა თითქმის ყველა. ვისარგებლე მდგომარეობით და პირველი მივიჭერი მწერალთან. გადავხვებო, დავუკოცნე გამხმარი სახე,... მომყვენ სხვებიც, მწერალს ვეხვევოდით. გულში ვიკრავდით, სამუდამოთ ვეთხოვებოდით. რეზინიანმა ჩეკისტმა მოხუცს წიხლი ჩააზილა, ჯავახიშვილი გასავალი კარების ახლოს ჩაიკეცა, ხორციელათ დაუძლურებული ადამიანი მალე ზეზე ადგა, დამქნარი ხელგებით სველი თვალები ამოიწმინდა და გადმოგვძახა: „აწ გზორდებით, საყვარელო ძმებო“,... მაგრამ არ დააცალეს, სიტყვა გააწყვეტინეს. ჩეკისტმა კისერში ხელი წავლო და კარებისაკენ წაათრია. კიდევ საკვირველება! მწერალი კვლავ დაუსხლტა ხელიდან ჩეკისტს, დაჩონჩხილი ხელი მალა აღმართა და არსენასებური ფოლადით მტკიცე ხმით დაგვძახა.

„კიდევაც დაიზრდებიან ქართველში ლეკები მგლისანი, ისე არ ამოწყდებიან ჯავრი შაშქამონ მტრისანი“.

ესლა კი აღმართა ჩეკისტმა ხელი და მძლავრად დაკრა მძიმე რეზინი მხრებზედ ჯავახიშვილს. მწერალმა გონი არ დაჰკარგა. იგი კვლავ ხელს გვიქნევდა დამშვიდობების ნიშნად.

მძიმე ჭრიალით მიიხურა სარდაფის კარი.

ასეთი იყო მიხეილ ჯავახიშვილის სისოცხლის უკანასკნელი დღეები. ქეშმარიტად, ქართველებმა არ უნდა დავივიწყოთ და მტერს არ უნდა ვაპატიოთ ჩვენი ეროვნული სიამაყის შებღალვა. მოვა დრო, სისხლით შეღებილი სარდაფიდან ამოვიტანთ დაღუპული ეროვნული გმირების წმინდა სახელებს და სადიდებლად მივიტანთ ეროვნულ საკუთხეველთან. ქართველმა ხალხმა არ უნდა დაივიწყოს ჯავახიშვილი, ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ბნელეთის მოციქულებმა ხელიდან გამოგვტაცეს და ვერაულოდ მოგვიკლეს დიდი მწერალი და მამულიშვილი.

გ. ხერგაიძე



ქართველი

1

ჰქრებოდა ნათელი
და ჰქროდნენ ქარები,
 ღრუბლების ჯარები
 შავ ზეცას სერავდენ...
ზმუოდნენ ქარები —
გულშესაზარები,
 სწიოდნენ ზარები
 ხეები ღელავდენ.
ბნელოდა, ბნელოდა...
არავინ ელოდა
იმ ღამით ვინმე თუ გამოჩნდებოდა,
ქარი კი ღმუოდდა
 სიკვდილი სწყუროდა
და კლდეებს მთვრალივით მძლედ ეჯახებოდა.

2

და მიდიოდა სახლისკენ იგი
მკრთალი, დაღლილი, ბედისგან კრული;
გზა გასავლელი ჰქონდა მას დიდი —
გზად ხიდი იყო ხიდს ქვეშ უფსკრული...
კუბრივით ღამეში არ სჩანდა ნათელი...
ის მოსწყდა ნიადაგს, ვითარცა ლოდია
შემდეგ მზერა სტყორცნა ცას უკანასკნელი
და ჰნახა ზეციდან რაშები მოდიან!
 მოდიან,
 მორბიან,
 მოქრიან რაშები!..
მღელვარე ფაფარი ღრუბლებად ასხიათ!..
ტორების თქარუნი ჯიშიერ ნაშენის
მუხლების დგანდგარი ქუხილის მსგავსია!..
ქვები და ლოდები
მორბიან გოდებით
ჰე ნუ მოშორდებით! მაგ ხიდზე კაცია!
შავ ციდან მაშვლები
მშფოთვარე რაშები,
ახალი ცხოვრების ქართველია!..
უშველეთ! უშველეთ! უშველეთ საბრალოს
ხიდი ვიწროა და ჩატეხილია!

3. ველიძე

ჯემალ კაკაბაძის ხსოვნას

ამა წლის 19 აგვისტოს ქ. ნოირუპინში ხანგრძლივი და მძიმე ავითმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულე ჯემალ კაკაბაძე. იგი თვრამეტი წლის იყო, როცა ბოლშევიკებმა გაიწვიეს წითელ ჯარში, საიდანაც იგი სხვებთან ერთად ტყვედ ჩავარდა. წინანდელმა ღუბჯირმა ცხოვრებამ და ხელმოკლეობამ ჯემალის

ორგანიზმი დააუძლურა. იგი დაავადა ქლეჩით და მძიმე სენით შეპყრობილი ადრე გამოესალმა სიცოცხლეს.

თავდაბალი, დაუზარელი ახალგაზრდა ჯემალი დიდათ უყვარდა თავის ნაცნობ-მეგობრებს, რომლებიც მუდამ პატივს სცემდნენ მას.

22 აგვისტოს ჯ. კაკაბაძის ცხედარი გადასვენებულ იქნა ვუსტრაუში, სადაც მოხდა მისი დაკრძალვა.

დაკრძალვას ბევრი თანამემამულე და განსვენებულის მეგობრები დაესწრენ. გამოსათხოვარი სიტყვების შემდეგ ცხედარი მიაბარეს საფლავს.

ჯემალ კაკაბაძის სახელი უკვდავთ დარჩება მის მეგობართა გულში.

გ. გოვინიძე

მძიმე მსხვერპლი საბჭოთა ჯარებისა.

ამერიკის გენერალურ შტაბის ოფიცრები და კორესპონდენტები, რომლებმაც უკანასკნელ დღეებში გზად მოსკოვიდან კაიროზე სტამბოლში გამოიარეს, იტყობინებიან რომ რუსებმა უკანასკნელ ბრძოლებში მეტად დიდი მსხვერპლი გაიღეს. წითელი არმიის მსხვერპლმა ჯარისა და სამხედრო მასალის მხრივ გათავაზარა ყოველგვარ მოლოდინს. კომპეტენტურ წრეებში მიაჩნიათ, რომ საბჭოების მსხვერპლი დახოცილების, დაჭრილების და ტყვეთ ჩავარდნილთა სახით მიმდინარე წლის პირველ 7 თვეში შეადგენს არა ნაკლებ 2 მილიონი ადამიანისა. ზამთრის ოპერაციებმა გამოიწვია 1 1/2 მილიონი ადამიანის მსხვერპლი, ხოლო ზაფხულის შეტევამ აქამდე 1/2 მილიონი ადამიანი იმსხვერპლა. მოსკოვი ძალიან დამწუხრებულია, რომ შეუძლებელი გახდა გერმანული წინააღმდეგობის დაძლევა. თუ მიღწეულ იქნა დაკარგული ტერიტორიის ნაწილის უკან დაბრუნება, მაინც გერმანული არმიები შეჭრილი რჩებიან 1000 კილომეტრის სიღრმეში საბჭოთა ტერიტორიაზე, საბოლოო მიზანმდე კიდევ დიდი მანძილია და მოსკოვს მდგომარეობა ოპტიმისტურად არ ესახება პირიქით, სამხედრო და პოლიტიკურ წრეებში იზრდება ცუდი განწყობილება. მთელი რიგი მალალი ოფიცრებისა წითელ ჯარში მოხსნილ იქნენ თავიანთ პოსტებიდან, მას შემდეგ, რაც მათ ვანაცხადეს, რომ შემდეგი სისხლისღვრა უაზროა. მიღწეული შედეგის საფასური არის ასეული დივიზიების განადგურება. კომპეტენტური წრეები გამოსთქვამენ შეხედულებას, რომ საბჭოთა კავშირი სწრაფად უახლოვდება საზღვარს, რომლის შემდეგ კიდევ მეტი მსხვერპლი ადამიანების და სამხედრო მასალისა შეიძლება კატასტროფალური შეიქნეს.

საბჭოები აგზავნიან დღეს აღმოსავლეთის ფრონტზე ჯარებს და სამხედრო მასალას აღმოსავლეთ ციმბირიდან, აცხადებს „აზაჰ“-ის ერთი კორესპონდენტი, რომელსაც შემთხვევა ჰქონია თავის მგზავრობის დროს ამურზე საბჭოთა კავშირის ამ სამხედრო ნაწილიდან შთაბეჭდილებები შეეკრიბა.

გამომცემელი: ქართული ეროვნული კომიტეტი

პასუხისმგებელი რედაქტორი: გიორგი ფრონელი
პასუხისმგებ. რედაქტორის მოადგილე: კ. ბოგაშელი

რედაქციის მისამართი:

„Das Georgische Volk“, Berlin-Charlottenburg, Kantstr. 158,
Telefon: 91 59 01, 91 58 49.

2-941